# საარბიტრო

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 28 თებერვალი 2001 №34 (1307) | ფასი 50 თეთრი

# სავიზო ბრძოლა სარაგბომდე

4 მარტს საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს კრასნოდარში მძიმე ბრძოლა ელის: „ევროპის ერთა თასის" მესამე ტურში რუსეთს დაუპირისპირდება. იქამდე სამი დღეა, თუმცა ქართველებმა ერთი ბრძოლა უკვე გადაიტანეს, ოღონდ არა სარაგბო, არამედ დიპლომატიურ-ბიუროკრატიული.

საქართველოს მოქალაქეებს და, შესაბამისად, ნაკრების წევრებს, ჩვენგან ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის ტერიტორიაზე შესასვლელად ვიზები სჭირდებათ. საფრანგეთში მყოფ ლეგიონერებს ეს ქაღალდი მარსელში მოქმედ რუსეთის საკონსულოში უნდა მიეღოთ, აქ მყოფებს — თბილისში განთავსებულ ანალოგიურ დაწესებულებაში. საქართველოს რაგბის კავშირმა ორივე უწყებაში წარადგინა რუსეთის რაგბის კავშირის ოფიციალური მიწვევა, მაგრამ მეტად უცნაური პასუხი მიიღო:

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ცნობს რუსეთის რაგბის კავშირს (?!). ამდენად, ამ მიწვევას ძალა არა აქვს, თუ სამინისტროს სათანადო, დამატებითი სანქცია არ ადევს.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე რამდენჯერმე დაუკავშირდა თავის რუს კოლეგა იური ნიკოლაევს, მაგრამ ამ უკანასკნელს რუსმა დიპლომატებმა დამატებითი სანქციის გაცემაზე მკვახე უარი უთხრეს.

საქართველოს რაგბის კავშირს ორი გზა რჩებოდა: ან 30-კაციანი დელეგაციისთვის ტურისტული ვიზების გახერხება (რაც, დამატებით, 3 ათას დოლარამდე ჯდება), ან კრასნოდარში არწასვლა და რაგბის საერთაშორისო საბჭოში (ირბ) ჩივილი.

გუშინ სიტუაცია ოდნავ შერბილდა: თბილისის საკონსულომ მოსკოვიდან მითითება მიიღო და ვიზების გაცემას დაყაბულდა. სამაგიეროდ, მარსელში მყოფი რუსეთის კონსული საქმეს ადგილიდან არ ძრავდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ დღეს მარსელის საკონსულო ისვენებს, ამდენად, ქართველი მორაგბეები, უკეთეს შემთხვევაში, კრასნოდარში მატჩის წინა დღეს, 3 მარტს ჩავიდოდნენ და მოედანზე სრულიად მოუმზადებელნი გავიდოდნენ.

საფრანგეთში მოსაქმიანე საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა ბევრი უწყება ააწრიალა და სათანადო დოკუმენტ-არგუმენტებით შეიარაღებული მიადგა რუსეთის საკონსულოს მარსელში. მიზანს მაშინ მიაღწია, როცა სამუშაო დღის დამთავრებამდე სულ ერთი საათი რჩებოდა...

რუსებს ადრეც ჩაუდენიათ მსგავსი რამ. შარშან „ერთა თასის" დაბალი დივიზიონის მატჩების წინ დაახლოებით იგივე ხრიკები დაუხლართეს გერმანიას და ხორვატიას და ორივე გვარიანად აზარალეს. რუსების ბედად, ის ტურნირი ირბ-ს ეგიდით არ იმართებოდა, თორემ მძიმე სასჯელი არ ასცდებოდათ.

ასეა თუ ისე, „ბორჯღალოსნებმა" ვიზები მიიღეს, მაგრამ კაცმა არ იცის, რა ნერვების და დავიდარაბის ფასად. არადა, სანერვიულო სხვაც ბევრი აქვთ: წინა უქმეებზე საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებში დაშავდნენ და კრასნოდარში ვერ ითამაშებენ ფორვარდები გოდერძი შველიძე და გრეგუარ იაშვილი, აგრეთვე შუამარბი ბადრი ხეხელაშვილი. გარემარბ არჩილ ქავთარაშვილს ოჯახური პრობლემები გაჩენია, ხოლო შუამარბ კახა ალანიას ჯერაც ვერ მოურჩენია პორტუგალიასთან მიღებული ტვინის შერყევა. ნაკრებს ესენიც დააკლდებიან. გამოკლებულთა სანაცვლოდ უკანხაზელებს დაემატებიან ლოკომოტიველი ნონო ანდღულაძე და საფრანგეთში მოთამაშე გუჯა იოვაძე, ხოლო ფორვარდებს — ასევე ლოკომოტიველი ბესო უდესიანი. იაშვილს, სავარაუდოდ, გია ლაბაძე შეცვლის, რომელმაც ბოლო ორი მატჩი გარემარბად ითამაშა, ახლა კი ჩვეულ ამპლუას, შერკინების მესამე ხაზს დაუბრუნდება.

ამხანაგური მატჩი. 28 თებერვალი. 21.30 საათი. კიოლნი. „მიუნგერსდორფერ შტადიონი"

## კიოლნი 0:2 საქართველო

0:1 ქეცბაია (74), 0:2 აშვეთია (80)

# ერთმა გააკეთა, ორმა გაიტანა

გუშინ კიოლნში საქართველოს ნაკრები ბუნდესლიგის „კიოლნს" ამხანაგურად გაეჯიბრა და უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ 2:0 გაიმარჯვა. გოლები სამოცდამეთოთხმეტე წუთზე თემურ ქეცბაიამ და მეოთხმოცეზე მიხეილ აშვეთიამ გაიტანეს.

ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გვარამაძე, ხიზანიშვილი (აბრამიძე 46), ქემოკლიძე, სილაგაძე, კობიაშვილი (ასათიანი 46), ნემსაძე (ალექსიძე 46), რეხვიაშვილი, ცქიტიშვილი (თოდუა 46), ქეცბაია, შ. არველაძე (ზ. ჯანაშია 46), ა. არველაძე (აშვეთია 46)

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის მატჩისშემდგომი კომენტარი იხილეთ მეორე გვერდზე



0:1 თემურ ქეცბაია



0:2 მიხეილ აშვეთია

# დაბრუნება სტადიონები და ადამიანები

ეროვნულმა ჩემპიონატმა გაზაფხულს დაასწრო, დღეს, თებერვლისა და ზამთრის მიწურულს საქართველოს 4 ქალაქსა და 5 სტადიონს გამოზამთრებული ფეხბურთი უბრუნდება.

ქართულ ფეხბურთს უბრუნდება „მიხეილ მესხის" 35-ათასიანი სტადიონი, რომელიც ვაკეში „26 მაისის" სტადიონის ნაფუძარზე აიგო.

ქართულ ფეხბურთს უბრუნდება ჩემპიონატის ლიდერის, თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელი გიგი ნოდია.

ქართულ ფეხბურთს უბრუნდება „ლოკომოტივისვე" მცველად მოვლენილი ნაკრების ექს-კაპიტანი კახა ცხადაძე.

თბილისის „დინამოს" (დროებით) უბრუნდება ცოტა ხნის წინ გადამდგარი მთავარი მწვრთნელი რევაზ არველაძე, რომელსაც სამაგიეროდ ფეხბურთელებმა უგანეს და ფოთს შემადგენლობაშესუსტებული სტუმრობს.

ქართულ ფეხბურთს უბრუნდება „შევარდენის" სტადიონიც და, ჩანს, აჩქარებით გამოტირებული სამტრედიის „იბერია".

დღეს საქართველოში გერმანიიდან ბრუნდება რვა ქუთაისის ტორპედოელი ნაკრებისა და ჩემპიონის ორი მთავარი მწვრთნელით, რომელთა გუშინდელმა სანახებელმა მატჩმა მეთვრამეტე ტურის „მერანი" — „ტორპედო" გაურკვეველი ვადით გადადო.

დღეიდან ხუთი ტურიც და ჩემპიონატის ცხრილი სასტარტო სახეს დაიბრუნებს, სხვაობა ერთი იქნება, მონაწილენი და მათი მონაგარი შუაზე გაიყოფიან და ბრძოლა ისე გაგრძელდება.

მონაწილეთა წარდგენა იხილეთ მესამე, მეოთხე და მეხუთე გვერდებზე

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

## 18 ტური

28 თებერვალი, ოთხშაბათი

იბერია — თსუ
დილა — სიონი
კოლხეთი — დინამო
ვიტ ჯორჯია — გორდა
ლოკომოტივი — ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 43 |
| ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 39 |
| დინამო | 17 | 12 | 1 | 4 | 43:17 | 26 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26:12 | 32 |
| კოლხეთი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:14 | 27 |
| მერანი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 24 |
| ბათუმი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | 21 |
| სიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:27 | 16 |
| გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:22 | 16 |
| დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13:32 | 15 |
| თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17:32 | 14 |
| იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3:35 | 2 |

# ერთმა გააკეთა, ორმა გაიტანა

დასაწყისი პირველ გვერდზე

— მთელი თამაში ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა, პირველ ტაიმში რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ შესვენების შემდეგ ყველაფერი ლოგიკურად გაგრძელდა. ჯერ ქეცბაიას გოლით დავწინაურდით, მერე კი, რამდენიმე წუთში აშვეთიამ მეორე გაიტანა. ძალიან კმაყოფილი ვარ. კარგი იყო, რუმინეთთან უპრინციპულეს მატჩამდე ნაკრები, თუნდაც არასრული შემადგენლობით, ერთხელაც რომ შევკრიბეთ. „კიოლნთან" მატჩში საუკეთესონი თემურ ქეცბაია და ზაზა ჯანაშია იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჯანაშიამ მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა, ის აშკარად გამოირჩეოდა. ორივე გოლიც მის აქტიურობას მოჰყვა. შეიძლება ითქვას, გოლები მან გააკეთა. დავკმაყოფილდით არჩილ არველაძის მოთამაშეების დონით, თუმც ის თანაგუნდელების წინააღმდეგ თამაშობდა. თოდუამაც იყოჩაღა და იმედი მომეცა, რუმინეთამდე რომელიმე მცველი თუ დაშავდა, ღირსეული შემცვლელი გვეყოლება. თითქმის უშეცდომო იყო ქემოკლიძეც, რომელიც ამჯერად დაცვის ცენტრში გამოვცადეთ. მატჩი კარგი საცქერი გახლდათ, ჩვენს კართანაც იყო მომენტები და, რაღა თქმა უნდა, მასპინძლებიც არაერთხელ დავაწიოკეთ. ერთი სიტყვით, კმაყოფილები დავრჩით.

შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრები ლიტვასთან 4:0 მოგებულ მატჩამდე, გერმანიაშივე „ფრაიბურგს" ამხანაგურად გაეჯიბრა და 3:2 გაიმარჯვა.

„კიოლნის" დამარცხებაც იქნებ კარგის ნიშანია? დაველოდოთ 28 მარტსა და რუმინეთის ნაკრებს...

**ქობა ინასარიძე**



REUTERS

გუშინ პარიზში:
საფრანგეთი — გერმანია 1:0.
ფრანგი კრისტოფ დიუგარი (№21) და გერმანელი კარსტენ რამელო

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი**

## აზია

**IV ჯგუფი. VI ტური**

**სინგაპური 1:1 ყირგიზეთი**
**ქუვეითი 0:1 ბაჰრეინი**

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაჰრეინი | 6 | 5 | 0 | 1 | 9:4 | 15 |
| ქუვეითი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:3 | 13 |
| ყირგიზეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:9 | 4 |
| სინგაპური | 6 | 0 | 2 | 4 | 3:8 | 2 |

## ინგლისი

**I დივიზიონი**

გადადებული მატჩი

**ტრანმერი 2:0 ჰადერსფილდი**

**II დივიზიონი**

გადადებული მატჩები

**ბორნმუთი 1:2 როვერსი**
**ნორთჰემპტონი 2:1 სუონსი**
**როტერჰემი 3:2 კოლჩესტერი**

**III დივიზიონი**

გადადებული მატჩები

**ჩელტენემი 1:0 სკანთორპი**
**მენსფილდი 4:1 ბარნეტი**
**როჩდეილი — პლიმუთი** გადაიდო

## ამხანაგური მატჩები

**საფრანგეთი 1:0 გერმანია**

1:0 ზიდანი (27)

საფრანგეთი: ბარტეზი, კანდელა, დესაი (სილვესტრი 77), ლებეფი, სანიოლი (ლიზარაზუ 60), ვიეირა, პეტი, ზიდანი (მაკელელე 83), ანელკა (ანრი 60), დიუგარი, ვილტორდი (პირესი 54)

მწვრთნელი: როჟე ლემერი

გერმანია: კანი, ვიორნსი, იერემისი, ლინკე, რემერი (ფრინგსი 81), რამელო, ჰამანი (ნოივილი 46), ბალაკი, ბოდე (ციგე 89), შოლი, იანკერი (ბირჰოფი 67)

მწვრთნელი: რუდი ფიოლერი

გაფრთხილებები: შოლი, ვიორნსი

მსაჯი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)

80 000 მაყურებელი

**ალჟირი 1:1 სლოვაკეთი**

1:0 ბურალი (6), 1:1 შ. ნემეტი (60)

22 000 მაყურებელი

## ახალგაზრდულები

**მალტა 1:3 შვედეთი**

0:1 პრიკა (32), 0:2 იოჰანსონი (41), 0:3 ვილემსონი (45), 1:3 მიფსუდი (52)

**ინგლისი 0:4 ესპანეთი**

0:1, 0:2 პაბლო (13, 21), 0:3 კოლსო (63), 0:4 ხისკო (87)



ნაკრების მწვრთნელთაგანაც დავიწყებული გოგა გახოკიძე „პსვ ეინდჰოვენის" თავკაცმა ერიკ გერეტსმა გაიხსენა

# ციურიხული წყალი შინდისფერი მაისურისთვის

რა უნდა ექნა? რაც დაავალეს, იმას აკეთებდა. სანამ მინდორზე იყო, არ მოსცილებია, გასაქანი მოუსპო და ნერვებიც დააგლიჯა, მაგრამ დამთავრებას 21 წუთი რომ უკლდა, კოჭი ამოიბრუნა და შეცვალეს. „იუვენტუსმა" კი „მილანს" 3:0 მოუგო. „შავ-წითლები" მეცხრე ადგილამდე დაქვეითდნენ, თუმცა ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ბოლო, მეოთხეადგილოსანს მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩებიან.

„კალაძემ ზიდანს ძალიან ეფექტური მეურვეობა გაუწია. ზიდანი, ფაქტობრივად, მხოლოდ მაშინ ჩაერთო თამაშში, როცა ქართველი დაშავდა" — „მილანის" მწვრთნელის, ალბერტო ძაკერონის ეს შეფასება კახას გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო უნდა იყოს. დღეისათვის მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელის წინააღმდეგ ღირსეულად თამაში კი ქართველის მაღალ კლასსა და მყარ ფსიქოლოგიურ განწყობაზე მეტყველებს.

„კახა მრავალმხრივი ფეხბურთელია. მას ერთნაირი სიძლიერით შეუძლია ნახევარდაცვის ცენტრში, სტოპერად და მარცხნივ თამაში" — მილანელთა ვიცე-პრეზიდენტის, ადრიანო გალიანის ეს სიტყვები ყოველ კვირას დასტურდება. ხან დაცვის ცენტრში ათამაშებენ, ხან ნახევარდაცვაში, ხანაც პერსონალურად და ყოველთვის მაღალ შეფასებებს იღებს. მოკლედ, ძაკერონისეულ ექსპერიმენტებში არ ჩაიკარგა. „იუვენტუსთანაც" ხომ მილანელთაგან საუკეთესოდ დაასახელეს.

ჩვენთვის საყურადღებო ამბავი მოხდა ჰოლანდიაში. როგორც იქნა, „ეინდჰოვენის" ძირითადში ამ სეზონში პირველად გამოჩნდა გოგა გახოკიძე. მართალია, სულ ოთხი წუთით გაიყვანეს მინდორზე, მაგრამ მთავარია, რომ ნავსი გატყდა და ეგებ, ნელ-ნელა გერეტსის გუნდში ფეხიც მოიკიდოს.

შვეიცარიაში სეზონი განახლდა. იქ ფინალურ ეტაპი რვა გუნდმა განახევრებული ქულებით დაიწყო. ჯამარაულ-ყაველაშვილის „ციურიხი" „ლოზანას" სტუმრობდა და მსაჯის წამატებულ წუთებამდე ყაველაშვილის გოლით იგებდა, მაგრამ მასპინძელმა გომეშმა 93-ზე გაათანაბრა. მიშას მიზანი არ ეშლება. ბოლო დღეებში „ციურიხმა" ორი მატჩი გამართა, ერთ თასზე „ლოკარნოსთან", მეორე „ლოზანასთან", ქართველმა კი ჯამში სამი ბურთი გაიტანა და ისევე აგრძელებს, როგორც შემოდგომაზე იყო, მაშინ მინდვრიდან ლამის უგოლოდ აღარ გადიოდა. კარგი იქნება ციურიხული წყალი ნაკრების მაისურაზეც გადაესხას. ცოტა უცნაურია, მაგრამ ყაველაშვილს „შინდისფერებში" 38-ჯერ უთამაშია და სულ 9-ჯერ გაუტანია. თავისი ენერგიულობის წყალობით ხშირად ხვდება საგოლე სიტუაციებში, თითქოს ყველაფერს სწორად აკეთებს, მაგრამ ბოლოს, რაღაც სასწაულით ვერ გააქვს ხოლმე.

ჩვენმა გერმანელებმა კი ამ უქმეებზე ვერაფრით გაგვახარეს. „ფრაიბურგმა" ათმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა და შინ „მიუნხენთან" 0:3 დამარცხდა. ფინკეს გუნდს ცუდად უთამაშია. მათგან მხოლოდ იაშვილს გამოარჩევენ და ეს განსაკუთრებით საყურადღებოა. მოგეხსენებათ, „იაშკას" მუხლის ტკივილი აწუხებდა და ამიტომ უკრაინასთან სანაკრებო და „კოტბუსთან" წინა ტურის მატჩები გამოტოვა. ახლა, ჩანს, ტრავმის ამბავი წარსულს ჩაბარდა, თუმცა ეროვნული გუნდის მწვრთნელებს „კიოლნთან" სათამაშოდ არ გამოუძახიათ. ტრავმის გართულებას, ან ბოლომდე ჯერ მოუშუშებელი თავდამსხმელის გადატვირთვას თუ ერიდებიან.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | მიუნხენი 0:3 | 90 | | 19 | 4 | 7 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | მიუნხენი 0:3 | 90 | | 20 | 5 | 7 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | მიუნხენი 0:3 | 60 | შეცვალეს | 19 | 0 | 7 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | მიუნხენი 0:3 | 0 | | C | 0 | 7 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ბაიერნი 1:1 | 0 | | 18 | 4 | 11 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ სავჯაია | როიტლინგენი | შ | ვალდჰოფი 1:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 3 | 0 | 5 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | მაინცი 3:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 4 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ასტონ ვილა 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 1 | 16 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | ლივერპული | | გადაიდო | 2 | 0 | 9 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | ნორვიჩი 0:1 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 3 | 15 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | რეინჯერსი 0:1 | 90 | | 24 | 1 | 8 |
| **იტალია** | | | | | | | | |
| სერია A | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | იუვენტუსი 0:3 | 69 | შეცვალეს, ტრავმა | 4 | 0 | 9 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | |
| პრიმერადივიზიონი | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | ს | ბარსელონა 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 18 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | უტრეხტი 2:0 | 61 | შეცვალეს | 15 | 6 | 3 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | ფეიენოორდი 2:1 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 1 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | ლოზანა 1:1 | 90 | | 21 | 9 | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | ლოზანა 1:1 | 90 | 1 გოლი | 20 | 11 | 8 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა წიტაიშვილი | ი. რიშონი | შ | აშდოდი 0:1 | 90 | | 21 | 12 | 9 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | ს | ათინაიკოსი 1:0 | 0 | | 11 | 0 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# 1. ლოკომოტივი

**სატურნირო** ცხრილის სათავეში მოქცეული თბილისის „ლოკომოტივი" ჩემპიონატს თავის ახალ, თუმც კი ჯერაც მშენებარე „მიხეილ მესხის" სტადიონზე განაახლებს. ახალი მწვრთნელი **გივი ნოდია**, სანახევროდ შეცვლილი შემადგენლობა. აი, ასე ხვდება „ლოკომოტივი" ჩემპიონატსა და „ბათუმთან" სადღეისო მატჩს:

— მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილი ვარ. კვიპროსზე ჩინებული სავარჯიშო და საყოფაცხოვრებო პირობები გვქონდა — გვითხრა რკინიგზელთა მწვრთნელმა გივი ნოდიამ — ვეცდებით, პირველობა შევინარჩუნოთ და ჩემპიონატის ბოლომდე ლიდერებად დავრჩეთ. გუნდში ერთი ფეხბურთელიც დავიმატეთ, რომელიც ჩვენს დაცვის ხაზს ძალიან გააძლიერებს — „ლოკომოტივში" კახა ცხადაძე ითამაშებს, ეს უკვე გადაწყვეტილია. სხვებიც, ვინც კი გუნდშია, „ბათუმთან" მატჩისთვის ემზადებიან, ყველანი ჯანმრთელად არიან, დისკვალიფიცირებული არავინაა. არა მგონია, ახალი მოედნის ფაქტორმა ჩვენზე იმოქმედოს, უფრო იმის მეშინია, რომ ხვალ პირველი მატჩია და იქნებ ფსიქოლოგიურად გაგვიჭირდეს.

**ძოგა ინასარიძე**



გივი ნოდია

### თბილისის „ლოკომოტივი" 2001

პრეზიდენტი: აკაკი ჩხაიძე
მწვრთნელი: გივი ნოდია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ანჩაბაძე | ნ | 04.01.73 | 178 | 74 |
| დავით არჩვაძე | მ | 06.10.79 | 174 | 67 |
| დავით ასლანაძე | მ | 16.11.76 | 194 | 80 |
| გიორგი ბალაშვილი | მ | 07.08.73 | 175 | 69 |
| დავით ბაქრაძე | მ | 06.06.79 | 177 | 71 |
| აქსენტი გილაური | მ | 06.08.79 | 178 | 70 |
| კახა გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | 176 | 70 |
| მანუჩარ ივარდავა | მკ | 23.07.82 | 192 | 77 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | თ | 02.11.78 | 181 | 73 |
| გივი კვარაცხელია | ნ | 11.05.79 | 188 | 82 |
| ზაზა ლაცაბიძე | მ | 05.10.75 | 188 | 75 |
| გიორგი ლომაია | მკ | 28.08.79 | 193 | 83 |
| რონ ონიანი | მ | 14.06.75 | 180 | 74 |
| დიმიტრი პარამონოვი | ნ | 02.08.80 | 196 | 82 |
| მამუკა რუსია | თ | 27.11.74 | 173 | 69 |
| ლაშა სალუქვაძე | ნ | 25.12.81 | 185 | 76 |
| გიორგი შენგელია | თ | 30.01.79 | 176 | 69 |
| დავით ჭიჭველიშვილი | მ | 23.01.75 | 189 | 82 |

#### გასხვისებულები

ლევან სილაგაძე, თოდუა, აბრამიძე, გონჩაროვი (ტორპედო), ხიზანიშვილი (ფულემი, ინგლისი), ძოძუაშვილი (სამსუნსპორი, თურქეთი), ლ. მიქაძე (ცსკა, უკრაინა), ჯელაძე (გორდა), დავითაშვილი (სიონი), გაგუა (იბერია), ხუროძე (კოლხეთი); რევაზ ძოძუაშვილი (მთავარი მწვრთნელი)

#### ახალწვეულები

ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (პუტნიკი, პოლონეთი), ცხადაძე, ანჩაბაძე (დინამო), კაიდარაშვილი (კრივბასი, უკრაინა), კვერნაძე (ტორპედო); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი)

#### საკონტროლო მატჩები

გორდა 0:0, დილა 1:2, გაზოვიკ გაზპრომი (რუსეთი) 1:1, ზემუნი (იუგოსლავია) 0:0, კრისტალი (რუსეთი) 0:2, ანიანგ ელ ჯი (კორეა) 1:1, ტორპედო ზილი (რუსეთი) 0:4, დინამო (რუმინეთი) 2:0, ურალანი (რუსეთი) 1:0, მერანი 1:1

# 2. ტორპედო

**თითქმის** ერთი თვე დაჰყო ჩემპიონმა „ტორპედომ" უცხოეთში. ჯერ იყო მოსკოვი, მერე ბელგია. რვა ტორპედოელი გუშინაც მწვრთნელებთან და ექიმ-მასაჟისტთან ერთად შუა ევროპაში იმყოფებოდა — ნაკრები გერმანიაში თამაშობდა.

რიონისპირელთათვის ჩემპიონატი ცოტა მოგვიანებით, სწორედ ეროვნული გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე დაიწყება.

რვა ფეხბურთელს შეელია „ტორპედო". სანაცვლოდ 13 მოთამაშე და ერთი მწვრთნელი მიიწვია. ესე იგი, ქუთაისურმა კლუბმა სახე იცვალა, სულ სხვა, ახალი და უფრო ძლიერი გუნდია.

სილაგაძე, აბრამიძე, აშვეთია... ეროვნული გუნდის კანდიდატები მოუმრავლდა „ტორპედოს". ყველა სათამაშო რგოლში დიდი კონკურენციაა. გაჭირდება საუკეთესო თერთმეტეულის ამორჩევა.

კოლხთა თავკაც სოსო ფილიას ქუთაისელთა მცველისა და ნახევარმცველის იმედი ჰქონდა, მაგრამ ახვლედიანი და კვეტენაძე ჯერაც ტორპედოელები არიან, ისევე, როგორც ხვადაგიანი.

**მამუკა ძგანტალიანი**



აშვეთია „ტორპედოს" და ნაკრებს დაუბრუნდა

### ქუთაისის „ტორპედო" 2001

პრეზიდენტი: ზურაბ ხინიკაძე
მწვრთნელები: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვალერი აბრამიძე | მ | 17.01.80 | 186 | 79 |
| ზურაბ არჩვაძე | მ | 30.01.72 | 179 | 79 |
| მალხაზ ასათიანი | ნ | 04.08.81 | 184 | 76 |
| მიხეილ აშვეთია | თ | 10.11.77 | 179 | 76 |
| რომან ახალკაცი | ნ | 20.0?.80 | 176 | 72 |
| შოთა ბაბუნაშვილი | ნ | 17.11.80 | 178 | 68 |
| მიხეილ ბობოხიძე | თ | 23.11.81 | 181 | 71 |
| პაატა გვირჯიშვილი | თ | 17.02.78 | 182 | 72 |
| ვალტერ გუჩუა | ნ | 26.06.75 | 183 | 75 |
| გივი დიდავა | მ | 21.03.76 | 184 | 70 |
| ირაკლი ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | 187 | 79 |
| ზაზა ვაჩიბერაძე | ნ | 25.10.73 | 174 | 67 |
| ირაკლი ზოიძე | მკ | 21.03.69 | 181 | 79 |
| ჯაბა თავბერიძე | მ | 08.08.81 | 178 | 70 |
| სევასტი თოდუა | მ | 13.05.76 | 185 | 80 |
| გია იმედაძე | თ | 02.10.80 | 184 | 75 |
| ზურაბ იონანიძე | ნ | 02.12.71 | 183 | 76 |
| კახა კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | 176 | 70 |
| მიხეილ მახვილაძე | მ | 22.07.78 | 182 | 74 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | მკ | 24.01.71 | 188 | 85 |
| რევაზ ქემოკლიძე | მ | 18.03.79 | 185 | 82 |
| ალექსანდრე შეყრილაძე | მ | 30.08.70 | 172 | 67 |
| ვახტანგ ხვადაგიანი | მ | 04.04.72 | 192 | 84 |
| დავით ჯანაშია | თ | 07.08.72 | 174 | 65 |
| პაატა ჯინჭარაძე | ნ | 21.01.74 | 187 | 79 |

#### გასხვისებულები

ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შალამბერიძე (კოლხეთი), თურმანიძე (ნივა, უკრაინა), ჩხეტიანი (ზიმბრუ, მოლდოვა), კვერნაძე (ლოკომოტივი), მეგრელაძე (ლოკ, საბერძნეთი), ძამსაშვილი, ამისულაშვილი (იბერია), გაბიდაური (დინამო), ახვლედიანი (?)

#### ახალწვეულები

დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა, აბრამიძე, გონჩაროვი (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, ვაშაკიძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი)

#### საკონტროლო მატჩები

კოლხეთი 0:0, ყაშტაკი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0, მონტენიე (ბელგია) 3:0, მოლენბეკი (ბელგია) 2:0, როსტსელმაში (რუსეთი) 1:1, შარლერუა (ბელგია) 1:1

# 3. დინამო

**თბილისის** „დინამოს" მთავარი მწვრთნელი რევაზ არველაძე, მოგეხსენებათ, კლუბის რეგისტრაციაში გატარებას და გაპრეზიდენტებას ელოდა. მაგრამ, რაკი იურიდიულად არაფერი გაფორმებულა, „დინამოს" ახალი მწვრთნელის და პრეზიდენტის ვინაობის გარკვევამდე ექსჩემპიონის გაძღოლას ისევ **რევაზ არველაძე** იკისრებს:

— მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილი აბა, როგორ ვიქნები. მთელი ეს დრო ლამის გუნდის რეგისტრაციაში გატარების მცდელობას მოვახმარე და „დინამო" ჯერაც დაურეგისტრირებელია. ერთობ უკმაყოფილო ვარ. ფეხბურთელთა ძველ დავალიანებას ახალიც დაემატა. მოთამაშეებს ფაქტობრივად მოტივაცია არ გააჩნიათ, შვიდი მათგანი წავიდა — მათ არაფრის იმედი აღარ ჰქონდათ. ახლა ბოლო ძალებსღა თუ მოვიკრებთ.

— უახლეს მიზნად რაც შეიძლება მაღალი ადგილისთვის ბრძოლა დავისახეთ. ვთვლი, მოთამაშეთა კონტინგენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს — თბილისის „დინამოს" სახელი უფლებას არ გვაძლევს, სხვა მიზნისთვის ვიბრძოლოთ. მეთორმეტე ეროვნულის პირველი ეტაპის ჩამთავრებამდე მინიმუმ ათი ქულის მოპოვებას ვვარაუდობთ. თუმცა, ეგებ, გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა უკეთესი მონაგარიც დაგეგმოს.

**დავით თავართქილაძე**



რევაზ არველაძე

### თბილისის „დინამო" 2001

პრეზიდენტი:
მწვრთნელი: რევაზ არველაძე (დროებით)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზურაბ ბათიაშვილი | მკ | 06.02.80 | 180 | 77 |
| ვლადიმერ ბურდული | ნ | 26.02.80 | 183 | 73 |
| გიორგი გაბიდაური | თ | 08.12.79 | 180 | 74 |
| იოსებ გრიშიკაშვილი | მკ | 25.12.73 | 186 | 70 |
| დავით დათვაძე | ნ | 09.07.77 | 167 | 60 |
| ზაზა ზამთარაძე | მ | 06.09.76 | 180 | 74 |
| ზაზა ზირაქიშვილი | თ | 13.03.75 | 176 | 68 |
| ილია კანდელაკი | მ | 26.12.81 | 180 | 70 |
| მიხეილ მაზიაშვილი | თ | 12.04.76 | 179 | 64 |
| თორნიკე მაისურაძე | ნ | 14.06.78 | 178 | 72 |
| გიორგი მანჯგავა | ნ | 25.10.81 | 180 | 69 |
| აკაკი მიკუჩაძე | ნ | 30.11.80 | 184 | 68 |
| გიორგი ვ. მიქაძე | თ | 21.08.80 | 180 | 74 |
| ლაშა მონასელიძე | ნ | 02.01.77 | 183 | 76 |
| არჩილ სახვაძე | ნ | 10.08.78 | 181 | 71 |
| რამაზ სვანაძე | ნ | 02.03.81 | 174 | 66 |
| დავით ქარდავა | თ | 12.11.83 | 185 | 73 |
| გიორგი შაშიაშვილი | მ | 01.09.79 | 182 | 64 |
| მურთაზ შელია | მ | 25.03.70 | 185 | 92 |
| ალექსანდრე ჩივაძე | მ | 15.03.82 | 182 | 79 |
| ზვიად ხაჩირაშვილი | მკ | 19.06.73 | 179 | 75 |

#### გასხვისებულები

ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, ვაშაკიძე (ტორპედო), ცხადაძე, ანჩაბაძე (ლოკომოტივი), რუხაძე (ალანია, რუსეთი), სიჭინავა (კრისტალი, რუსეთი), გადელია (ტორპედო ზილ, რუსეთი), შ. ხუჯაძე (მერანი), ჩიხრაძე (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), კ. გოგოლაძე (სიონი)

#### ახალწვეულები

იაგორაშვილი (პროიზენ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანჯგავა, ქარდავა (დინამო 2), თ. აფციაური (ლოკომოტივი), სვანაძე (თსუ), ზ. ხაჩირაშვილი (ს.ა. იბერია)

#### საკონტროლო მატჩები

დილა 4:0, გორდა 4:3, მერანი 1:0, 0:2, სიონი 2:1, 5:0

# 4. ვიტ ჯორჯია

**სოლიდური** შეკრება, იდეალური პირობები, სრული მზადყოფნა ჩემპიონატისთვის და მაღალი მიზნები. ვიცე-ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია" რიხით იწყებს საგაზაფხულო ეტაპს.

ვეტერინარებს შინაური თუ უცხოელი სპარინგ-პარტნიორები არ მოჰკლებიათ. ამხანაგური მატჩების სტატისტიკა ასეთია: 6 მოგება, 2 ფრე და 2 წაგება. ვიტელთა თავკაცი ***თემურ მახარაძეც*** კარგ ხასიათზეა:

— მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ვართ. ჩვენს პირობებში, შეიძლება ითქვას, სრულფასოვანი შეკრება გავიარეთ.

დღევანდელი მატჩის წინ პრობლემა, ფაქტობრივად, არ არსებობს, ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და თავს ჩინებულად გრძნობს.

ჩვენი მიზანი ასეთია — დარჩენილ თამაშებში, ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის დაწყებამდე, ქულების მაქსიმუმი დავაგროვოთ. მერე კი ვნახოთ, ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო.

**მამუკა ძგანტალიანი**



თემურ მახარაძე

### თბილისის „ვიტ ჯორჯია" 2001

პრეზიდენტი: გურამ რუხაძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ადამია | თ | 10.07.81 | 176 | 68 |
| დავით დოლიძე | ნ | 09.02.80 | 183 | 65 |
| ალექსანდრე ინწკირველი | მ | 24.08.81 | 188 | 79 |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ნ | 26.02.76 | 182 | 82 |
| ვლადიმერ გოჩაშვილი | თ | 05.07.76 | 190 | 81 |
| რევაზ გოცირიძე | თ | 17.01.81 | 183 | 75 |
| დავით დილმელაშვილი | ნ | 18.01.81 | 182 | 80 |
| თენგიზ კობიაშვილი | მ | 03.12.75 | 183 | 75 |
| ლევან მელქაძე | თ | 12.12.79 | 185 | 82 |
| მირზა მერლანი | მკ | 05.10.80 | 186 | 75 |
| ჯაბა მუჯირი | მ | 07.06.80 | 185 | 78 |
| ლაშა ნოზაძე | თ | 18.03.80 | 181 | 70 |
| ედიკ საჯაია | მ | 16.02.81 | 183 | 78 |
| საბა სულთანიშვილი | თ | 25.04.79 | 176 | 66 |
| გიორგი ქორიძე | თ | 19.07.76 | 180 | 71 |
| გიორგი ყიფიანი | ნ | 03.08.78 | 180 | 71 |
| გიორგი ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | 180 | 77 |
| სერგო ჭურაძე | მკ | 10.07.77 | 187 | 80 |
| კახაბერ ნუნუნავა | თ | 22.09.81 | 175 | 72 |
| ირაკლი ხაჭაპურიძე | ნ | 11.10.77 | 182 | 75 |

#### გასხვისებულები

დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), ზ. გვაზავა, სტურუა (ორივე თსუ), თაყაძე (დილა)

#### ახალწვეულები

გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), გოცირიძე, ნუნუნავა, ადამია (თსუ)

#### საკონტროლო მატჩები

სიონი 2:1, თსუ 2:0, არაუ (შვეიცარია) 15:1,ასკოლი (იტალია) 6:0, სტიაუა (რუმინეთი) 0:1, ლიტექსი (ბულგარეთი) 0:1, პოლონია (პოლონეთი) 2:2, მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა) 1:1, დილა 4:1, ჭაბუკიანი 5:0

შენიშვნა: აქაც და მეოთხე-მეხუთე გვერდებზეც საბოლოო მხოლოდ მოთამაშეთა დახრილი ტრანსფერებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 5. კოლხეთი

**საგაზაფხულო** ეტაპისთვის ბულგარულ ნესებრში ნავარჯიშევმა ფოთის „კოლხეთის“ თავკაცმა **სოსო ფილიამ** საბოლოო არჩევანი 22 ფეხბურთელზე შეაჩერა:

— ყველაფერი ჩინებულად იყო. დეკემბერში, როცა კლუბის ხელმძღვანელობას ჩემი გეგმა წარვუდგინე, სრული მხარდაჭერა აღმითქვეს და ასეც მოხდა. შემიძლია, ხმამაღლა განვაცხადო, რომ „კოლხეთი“ მზადაა ეროვნული ჩემპიონატისთვის. ფიზიკურად მოვღონიერდით, ტაქტიკურად და ტექნიკურადაც დავიხვეწეთ. ძალიან კმაყოფილი ვარ ბიჭების. ვატყობ, მონდომებულნი არიან.

„კოლხეთის“ მიზანი? ჯერ ექვსეულში უნდა დავიბევოთ ადგილი, მერე კი ყველაფერს დრო გვიჩვენებს. დარჩენილ ხუთ თამაშში, ცხადია, მოგებისთვის ვიბრძოლებთ. პირველი მატჩი „დინამოსთან“ გვაქვს. გამარჯვება უპირველესად ფსიქოლოგიურად მოგვამაგრებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენთან, „ფაზისზე“ ვთამაშობთ. ერთი სიტყვით, „კოლხეთს“ სახელების არ ეშინია, ჩვენ ბევრს გავამწარებთ — იმუქრება სოსო ფილია.

საშუასეზონო მიდი-მოდიში კოლხთა მნიშვნელოვანი შენაძენი გამოცდილი ნახევარმცველი ჯონი შალამბერიძეა, თუმც ფილიას გუნდი მთლიანობაშიც სოლიდურ ძალად გამოიყურება.

**გიორგი ვაჟაძიძე**



სოსო ფილია

### ფოთის „კოლხეთი“ 2001

პრეზიდენტი: ჯემალ ინაიშვილი
მწვრთნელი: სოსო ფილია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლევან აკობია | მ | 13.11.80 | 173 | 66 |
| პაატა ბაჩილავა | თ | 04.12.81 | 170 | 62 |
| ელდარ გვასალია | თ | 15.03.72 | 172 | 67 |
| მამუკა გვასალია | მკ | 02.10.67 | 185 | 79 |
| კახაბერ გოროზია | მ | 18.02.72 | 175 | 72 |
| დავით კვირკველია | ნ | 27.06.80 | 176 | 67 |
| შალვა მუმლაძე | ნ | 18.08.78 | 175 | 76 |
| დავით ნარსია | მ | 03.08.82 | 178 | 72 |
| ელგუჯა პაპავა | მ | 26.01.74 | 185 | 78 |
| ვალერი ტორჩინავა | მ | 01.02.69 | 175 | 69 |
| გელა ფანჩულიძე | ნ | 19.02.68 | 175 | 70 |
| ზურაბ ქვაჩახია | მკ | 25.09.73 | 185 | 75 |
| მიხეილ ქობულაძე | მ | 17.09.74 | 187 | 80 |
| გოგიტა ქუნთელია | მ | 06.03.71 | 179 | 75 |
| ზაველ ღლონტი | ნ | 17.05.72 | 173 | 70 |
| ვაჟა ყურაშვილი | ნ | 16.09.81 | 175 | 77 |
| ლევან შავგულიძე | თ | 23.11.80 | 185 | 73 |
| ჯონი შალამბერიძე | ნ | 25.09.75 | 182 | 78 |
| ბიძინა ჩემია | მკ | 24.02.80 | 178 | 63 |
| ჰამლეტ წივწივაძე | თ | 28.01.74 | 181 | 76 |
| გიორგი ჭანტურიძე | ნ | 05.03.79 | 180 | 76 |
| დავით ხუჭუა | თ | 02.08.73 | 175 | 69 |

#### გასხვისებულები

ახალკაცი(ტორპედო), ფრანგიშვილი(სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია(დილა), კედელაშვილი(გორდა), დავითნიძე(მერანი), ბურკვაძე, თედეევი (კოლხეთი2), კრასოვსკი (?, უკრაინა), კიკლიაშვილი, გოგიაშვილი, გოჩა ჭანტურია, მაღლაკელიძე(?)

#### ახალწვეულები

ქვაჩახია, მ. ქობულაძე(ბათუმი), წივწივაძე(სიონი), მუმლაძე(იბერია ), შალამბერიძე (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩილავა, ყურაშვილი(კოლხეთი2), ხუროძე(ლოკომოტივი)

#### საკონტროლო მატჩები

ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0, 1:0, დინამო (სტავროპოლი, რუსეთი) 2:2, 0:2, ობოლონი (უკრაინა) 0:0, ბალკანი (ტემკანი, ბულგარეთი) 0:0, სლანჩევ ბრიაგი (ნესებრი, ბულგარეთი) 0:1, პომორია (ბულგარეთი) 1:0, შუქურა 1:0

# 6. მერანი

ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ გაბელიამ** მოამზადა საგაზაფხულო ეტაპისთვის „მერანი“, რომელიც ჯერ ბაკურიანში დაბანაკდა, მერე საკალათბურთო „დინამოს“ ბაზაზე გააგრძელა შეკრება. გაბელიამ საკონტროლო მატჩებში საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გამოსცადა და შემადგენლობაც შეარჩია ექვსეულში დასარჩენად:

— ჩემი გუნდის მზადყოფნას რაც შეეხება, 90 პროცენტით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ყველაფერი მთლად აჟურში არ არის. ათ პროცენტში იმას ვგულისხმობ, რომ ყველა ის ფეხბურთელი ვერ დავიმატეთ, რომლითაც „მერანის“ გაძლიერებას ვაპირებდით.

ნახევარდაცვაში გვმართებდა მოღონიერება და ეს, ცოტა არ იყოს, ვერ გამოგვივიდა.

— მთლიანობაში კი მოსამზადებელი პერიოდი ნორმალურად გავიარეთ. მართალია, უცხოური შეკრება არ გვქონია, მაგრამ ამის გარეშეც ღირსეულად მოვემზადეთ საგაზაფხულო ეტაპისთვის. საკონტროლო მატჩებიც ჩავატარეთ. საერთო ჯამში გუნდის მომზადების პირობებითა და დონით კმაყოფილი ვარ.

— ფინანსური სიტუაციის მხრივ „მერანში“ ყველაფერი რიგზეა. კლუბის ხელმძღვანელობას ფეხბურთელთა დავალიანება არა აქვს.

— „მერანის“ მიზანი ექვსეულში მოხვედრა და კარგი თამაშის ჩვენებაა, საამისო შანსები კი, ვფიქრობ, ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა.

**დავით თავართქილაძე**



ოთარ გაბელია

### თბილისის „მერანი“ 2001

პრეზიდენტი: დავით ფურცელაძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დავით ბოლქვაძე | ნ | 05.06.80 | 178 | 68 |
| რომეო გოგიტაძე | მ | 28.01.73 | 185 | 76 |
| დავით გოდერძიშვილი | თ | 13.05.73 | 170 | 65 |
| გოჩა გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | 185 | 76 |
| აკაკი დევაძე | მკ | 28.11.71 | 183 | 83 |
| იოსებ დევიძე | მ | 05.07.80 | 177 | 67 |
| ლევან თოლორდავა | თ | 27.02.74 | 178 | 73 |
| შალვა ივანიშვილი | მ | 07.06.72 | 177 | 74 |
| გიორგი ილურიძე | მ | 19.10.76 | 175 | 70 |
| ზაზა კვეკვესკირი | მ | 18.09.74 | 180 | 74 |
| ანდრო კოროშინაძე | მკ | 29.09.72 | 180 | 78 |
| ალექსანდრე კოშკაძე | ნ | 04.12.81 | 177 | 70 |
| მამუკა მინაშვილი | თ | 03.04.71 | 180 | 71 |
| ანდრეი მუხინი (უკრაინა) | ნ | 31.01.75 | 182 | 78 |
| რევაზ ნაჭყებია | მკ | 14.04.72 | 184 | 76 |
| კობა ოდიშარია | თ | 07.08.75 | 177 | 68 |
| ოთარ როსტიაშვილი | თ | 15.05.76 | 179 | 73 |
| ლევან სილაგავა | ნ | ??.??.84 | ??? | ?? |
| მიხეილ ფოცხვერია | თ | 12.08.75 | 181 | 75 |
| ალექსანდრე ჩანადირი | მ | 27.09.79 | 179 | 68 |
| გია ჩხაიძე | ნ | 27.02.70 | 182 | 75 |
| ზაზა ცქიფურიშვილი | მ | 10.01.75 | 182 | 75 |
| მალხაზ ჭინჭარაული | ნ | 22.04.77 | 183 | 71 |
| ავთანდილ ხორხელი | ნ | 26.03.75 | 177 | 71 |
| შალვა ხუჯაძე | ნ | 05.10.75 | 183 | 70 |

#### გასხვისებულები

პოდლესნი(ზარია, უკრაინა), კაკუბავა(?, რუსეთი), გ. კვეტენაძე, კობესაშვილი, ბაჯელიძე(?); დავით ჯიშკარიანი(მთავარი მწვრთნელი)

#### ახალწვეულები

ჩხაიძე(ტორპედო), ხუციშვილი(შერიფი, მოლდოვა), ზ. კვეკვესკირი(შუქურა), გოგიტაძე(ზუგდიდი), დავითნიძე(კოლხეთი), შ. ხუჯაძე(დინამო), ბ. ამბიძე(ვოლგარ გაზპრომი, რუსეთი); ოთარ გაბელია(მთავარი მწვრთნელი)

#### საკონტროლო მატჩები

დინამო 0:1, 2:0, იბერია 2:1, დილა 3:2, ლოკომოტივი 1:1

# 7. ბათუმი

**კალენდარში** ასე წერია. 28 თებერვალი, „ლოკომოტივი“ — „ბათუმი“. მძიმე მატჩი ელით დღეს ზღვისპირელებს. თითქმის სამთვიანი დასვენების შემდეგ პირველივე თამაში ბათუმელებს ჩემპიონატის ზამთრის ლიდერ „ლოკომოტივთან“ თბილისში უწევთ.

— რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით — გვითხრა „ბათუმის“ მწვრთნელმა ასლან ბალაძემ — მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილი ვარ. რაც დაგეგმილი გვქონდა, იმ საქმის 70-80 პროცენტი გაკეთებულია. დავიმატეთ რამდენიმე გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელი. თითოეულ სათამაშო რგოლში დიდი კონკურენციაა და ვიმედოვნებ, რომ ფეხბურთელები ყოველი მატჩისთვის კარგად მოემზადებიან. მათ უნდა იცოდნენ — ძირითად შემადგენლობაში ადგილი არავის აქვს განაღდებული. უდავოა, „ბათუმი“ გაზაფხულზე უფრო ძლიერი გუნდი იქნება, ვიდრე შემოდგომაზე. ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულია, ყველა მონდომებულია. „ბათუმი“ წინასწარ განწირული არც ერთ მეტოქესთანაც არ იქნება. თუ ასე გავაგრძელეთ, ერთ-ორ წელიწადში საკმაოდ კარგი გუნდი გვეყოლება. რაც მთავარია, ვთქვი, მოსამზადებელი პერიოდით, რომელიც ბულგარეთში გავიარეთ, კმაყოფილი ვარ, ასევე არიან ბიჭებიც. ისე კი ყველაფერი მაინც ჩემპიონატის მიმდინარეობისას გამოჩნდება. „ლოკომოტივთან“ მატჩში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ამირან მუჯირი ვერ ითამაშებს, მას სამი ყვითელი ბარათი აქვს და ამ მატჩის გამოტოვება მოუწევს. თუმც არა უშავს, მუჯირის ღირსეულ შემცვლელს გამოვძებნით.

**კობა ინასარიძე**



ასლან ბალაძე

### „ბათუმი“ 2001

პრეზიდენტი: თემურ ბეჟანიძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შალვა აფხაზავა | თ | 14.08.80 | 170 | 70 |
| გიზო ბაჩილავა | მ | 15.08.82 | 181 | 74 |
| დავით ბახტაძე | მ | 01.01.82 | 181 | 74 |
| ზაზა ბეჟანიძე | თ | 27.03.81 | 174 | 62 |
| ოლეგ გველესიანი | ნ | 16.09.80 | 179 | 70 |
| ვიტალი დარჩიძე | ნ | 23.09.81 | 178 | 63 |
| ბესიკ თედორაძე | მ | 23.03.82 | 182 | 70 |
| სულიკო კაკაბაძე | თ | 18.05.78 | 183 | 62 |
| ზურაბ მინდაძე | მ | 13.01.72 | 178 | 68 |
| ამირან მუჯირი | ნ | 20.08.74 | 182 | 73 |
| კახაბერ მჟავანაძე | მ | 02.10.78 | 174 | 69 |
| არჩილ რომანაძე | ნ | 09.10.80 | 170 | 60 |
| ზვიად პაპიძე | მ | 22.04.73 | 168 | 67 |
| ჯაბა სიამაშვილი | ნ | 15.05.80 | 182 | 76 |
| კახა ქაცარავა | მ | 15.10.81 | 170 | 59 |
| გელა ქორიძე | ნ | 28.08.75 | 184 | 75 |
| ავთანდილ ღლონტი | ნ | 19.03.74 | 173 | 64 |
| გოჩა ყულეჯიშვილი | თ | 16.12.73 | 178 | 74 |

#### გასხვისებულები

ბედიაშვილი, სოხაძე(გორდა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე(კოლხეთი), სიდამონიძე, ბ. შენგელია, გაბისონია (სიონი), ჩოხელი(ანჟი, რუსეთი), ქერაშვილი (თსუ), თარგამაძე, ჩლაიძე (იბერია), ბარქაია, სიხარულიძე(?)

#### ახალწვეულები

ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, თ. ტულუში (არ თამაშობდნენ)

#### საკონტროლო მატჩები

კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0, თსუ 3:1, იამბოლი 97 (ბულგარეთი) 1:0, ეტარი(ბულგარეთი) 3:0, სპორტკლუბი (ტრიავნა, ბულგარეთი) 2:0, ჩარდაფონი (გაბროვო, ბულგარეთი) 1:2

# 8. სიონი

**„სიონმა“** დასანანი ქულები გაანიავა შემოდგომაზე და ამით ექვსეულში მოხვედრის შანსი პრაქტიკულად დაკარგა. მიუხედავად ამისა, გუნდის მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე ჩინებულ ხასიათზე ხვდება ჩემპიონატის განახლებას:

„ასეთი რამ არასდროს მომხდარა „სიონის“ ისტორიაში. გუნდს აქამდე არ გაუვლია ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრება, წლეულს კი მხარში დაგვიდგა ხელმძღვანელობა და ათდღიანი, მართლაც შთამბეჭდავი მოსამზადებელი შეკრება გავიარეთ. ბიჭებსაც ვარჯიშის მეტი არაფერი ჰქონდათ საზრუნავი.“

შემოდგომაზე გუნდს ერთობ უჭირდა გატანა და ბოლნისელთა წარუმატებლობა უმეტესწილად ამანაც განაპირობა. დღეიდან ამ მხრივ ნაკლები პრობლემები შეექმნებათ არჩვაძის შეგირდებს:

„თავდასხმაში გამოცდილი ფეხბურთელები დავიმატეთ — სულიკო დავითაშვილი, კახა გოგოლაძე, ბესიკ შენგელია და გელა გაბისონია. მჯერა, ისინი საგრძნობლად აამაღლებენ „სიონის“ შედეგიანობას. ისე კი ყველაზე დიდ შენაძენად მაინც კახა სიდამონიძე მიმაჩნია. მისი შემართება და გამოცდილება გუნდს ძალიან გამოადგება.“

**ბაატა ძვანტალიანი**



სპარტაკ არჩვაძე

### ბოლნისის „სიონი“ 2001

პრეზიდენტი: ზურაბ ლობჟანიძე
მწვრთნელი: სპარტაკ არჩვაძე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გურამ | ასპინძელაშვილი | მ | 01.01.73 | 185 | 76 |
| პაატა | ბარნოვი | მ | 15.11.73 | 180 | 75 |
| გელა | გაბისონია | თ | 21.08.70 | 172 | 68 |
| კახა | გოგოლაძე | თ | 04.02.68 | 180 | 74 |
| მურმან | გოგოლაძე | თ | 26.07.70 | 183 | 79 |
| კახა | გოდერძიშვილი | მ | 06.09.76 | 178 | 70 |
| სულიკო | დავითაშვილი | თ | 11.12.77 | 173 | 70 |
| ნუგზარ | დალაქიშვილი | მკ | 01.05.71 | 180 | 76 |
| ივანე | დემურიშვილი | თ | 08.06.82 | 173 | 68 |
| თეიმურაზ | ვოლკოვი | მკ | 21.09.71 | 184 | 79 |
| გიორგი | ირემაშვილი | მ | 05.01.76 | 184 | 73 |
| შალვა | ისიანი | თ | 14.08.78 | 180 | 75 |
| ვასილ | მაისურაძე | მ | 10.01.71 | 188 | 80 |
| კოტე | მეტრეველი | თ | 27.08.74 | 185 | 74 |
| ნიკოლოზ | მინდიაშვილი | მ | 05.03.75 | 178 | 72 |
| ბახვა | მოსეშვილი | თ | 29.01.73 | 171 | 65 |
| თემურ | სამხარაძე | მ | 05.04.78 | 175 | 72 |
| მირზა | სამხარაძე | თ | 12.12.76 | 176 | 73 |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17.04.71 | 188 | 80 |
| დავით | სვანიძე | ნ | 14.10.79 | 181 | 72 |
| დავით | სოლოღაშვილი | ნ | 19.08.69 | 176 | 70 |
| ბესიკ | შენგელია | თ | 09.02.77 | 175 | 68 |
| დავით | შეყლაშვილი | მკ | ??.??.83 | ??? | ?? |
| ლაშა | ჩაგელიშვილი | ნ | 25.02.83 | 169 | 60 |
| დავით | ჯაფარიძე | ნ | 24.04.78 | 170 | 65 |

#### გასხვისებულები

წივწივაძე(კოლხეთი), დიმიტრიშვილი(?, ჰოლანდია), გამცემლიძე, პეტრიაშვილი(?)

#### ახალწვეულები

ბ. შენგელია, გაბისონია, სიდამონიძე (ბათუმი), ძაბირაძე (დაუდგენელი მინიფეხბურთის კლუბი, რუსეთი), დავითაშვილი (ლოკომოტივი), შეყლაშვილი (ბოლნისის საფეხბურთო სკოლა), ნონკოლაური (ს.ა. იბერია), კ. გოგოლაძე (დინამო)

#### საკონტროლო მატჩები

ვიტ ჯორჯია 1:2, გორდა 0:0, იბერია 0:0, 0:0, დინამო 1:2, 0:5

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 9. გორდა

**გია გეგუჩაძემ** საშემოდგომო ეტაპის გასრულების შემდეგ შეცვალა იასონ ალადაშვილი. „გორდა“ პირველი კლუბია გეგუჩაძე — მთავარი მწვრთნელისთვის. მისი მარიფათი კი გაზაფხულზე გამოჩნდება. „გორდას“ თავკაცი რომ იმედიანად ხვდება ჩემპიონატის განახლებას, ამას მისი სიტყვებიც მოწმობს:

„საშუასეზონო მზადებისას ჩემეული პროგრამა მქონდა, მაგრამ მისი განხორციელება ბოლომდე ვერ შევძელი. ჯერ ერთი, ცოტათი გვიან მომიხდა გუნდში მისვლა, შემდეგ კი შეფერხებები გვქონდა ქობულეთური შეკრებისას, ზღვისპირეთში უამინდობამ შეგვიშალა ხელი. მაგრამ უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. მოკლევადიანი შეკრება ნაყოფიერი იყო იმ თვალსაზრისით, ფეხბურთელებთან საერთო ენა გამოვნახე. კმაყოფილი დავრჩი იმითაც, რომ ვარჯიშებზე ყველა გულმოდგინედ, ბოლომდე იხარჯებოდა. ცოტა-ცოტა პრობლემა ყველა სათამაშო რგოლში გვაქვს. მიუხედავად ამისა, ამ კონტინგენტით არ უნდა გაგვიჭირდეს მიზნის მიღწევა. ქომაგს ვპირდებით, რომ „გორდა“ ყველა თამაშზე მოსაგებად გავა და თითოეული ფეხბურთელი ძალ-ღონეს არ დაიშურებს მიზნის მისაღწევად“.

**ბაათა ძვანტალიანი**



გია გეგუჩაძე

### რუსთავის „გორდა“ 2001

პრეზიდენტი: თემურ ბუილიშვილი
მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კახა ალადაშვილი | ნ | 30.08.75 | 174 | 68 |
| ლაშა ალადაშვილი | თ | 08.09.80 | 181 | 70 |
| სპარტაკ ბაჩილავა | ნ | 23.02.79 | 170 | 64 |
| გიორგი ბედიაშვილი | მკ | 07.02.80 | 186 | 81 |
| დავით ბერიძე | მ | 11.11.76 | 175 | 67 |
| პავლე ბექაური | მ | 02.01.72 | 170 | 61 |
| ალექსანდრე ბუკია | ნ | 28.05.81 | 185 | 72 |
| ალექსანდრე ბურნაძე | მ | 26.07.74 | 189 | 80 |
| მიხეილ გაბელაია | მ | 17.01.75 | 178 | 73 |
| ალექსანდრე გელაძე | თ | ??.??.72 | 184 | 78 |
| გია გონგაძე | მკ | 19.07.80 | 186 | 75 |
| კონსტანტინე გუგუნავა | მკ | 08.08.73 | 178 | 72 |
| ლევან კაპანაძე | თ | 29.07.81 | 180 | 68 |
| ამირან კედელაშვილი | მ | 10.08.76 | 178 | 67 |
| ალექსანდრე კიტეიშვილი | თ | 14.08.76 | 170 | 66 |
| ზურაბ ლაბაძე | მ | 22.02.78 | 180 | 72 |
| მამუკა მელაძე | ნ | 14.02.74 | 173 | 70 |
| თამაზ მეტრეველი | ნ | 21.12.69 | ??? | ?? |
| გიორგი გ. მიქაძე | თ | 09.05.82 | 172 | 67 |
| გიორგი მიშველიძე | ნ | 18.02.73 | 173 | 65 |
| ხვიჩა მჭედლიძე | მ | 12.01.78 | 172 | 68 |
| კახაბერ ოსკანაშვილი | ნ | 04.01.82 | 182 | 62 |
| ზაზა პატარიძე | თ | 10.10.73 | 179 | 71 |
| მიხეილ სახვაძე | მ | 30.12.77 | 175 | 68 |
| ლაშა სილაგაძე | მ | 24.01.79 | 178 | 72 |
| არჩილ სოხაძე | მ | 30.05.82 | 186 | 81 |
| შალვა ფოჩხუა | ნ | 27.07.79 | 172 | 62 |
| არმაზ ჯელაძე | თ | 28.06.73 | 172 | 68 |
| ივანე ჯულელი | თ | 14.04.69 | 179 | 74 |

#### გასხვისებულები

ივეჩიანი (იბერია შევარდენი), ნიკურაძე (?, ფინეთი); იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი)

#### ახალწვეულები

ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე (ჟემჩუჟინა), თ. მეტრეველი (?, საბერძნეთი), ჯულელი (გურია), გუგუნავა (თსუ), ჯელაძე (ლოკომოტივი), ლ. ალადაშვილი (აგროტიკოსი, საბერძნეთი); გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი)

#### საკონტროლო მატჩები

დინამო 3:4, მილანი 3:2, ლოკომოტივი 0:0, სიონი 0:0, თბილისი 2:0, ზოოვეტი 5:0, შუქურა 1:2, მეტალურგი 1:0

# 10. დილა

**რა** დღეშია გორის „დილა“? ქულების სიმწირე და არასახარბიელო პირობები — აი, ასე ეგებებიან გორელები ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპს.

„დილას“, რა თქმა უნდა, შეკრება არ გაუვლია. მხოლოდ საკუთარ „ცენტრალურზე“ ვარჯიშითა და საკონტროლო თამაშებით შემოიფარგლა. არასრულყოფილი მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ მწვრთნელს ვაჟა ხაჩირაშვილს სათქმელი რაღა დარჩენია...

— მიზანი ერთია, ლიგაში ადგილის შენარჩუნება. პრობლემები კი უამრავი. ახალწვეულები — ერაძე და ბოკერია ხუთი დღეა, რაც შემოგვიერთდნენ და რა თქმა უნდა, სასურველ ფორმაში არ იმყოფებიან. თანაც, ბოკერიას ფეხი აწუხებს. ვარჯიშისას დაგვიშავდა კოტორაშვილი, ტრავმირებულია გაგა ჩიტაია, სიცხე აქვს ხორგუაშვილს, ხოლო რევაზიშვილი დაქორწინდა და ერთი კვირით დავითხოვეთ.

ასე „სიონის“ძლევა და საკადრისი თამაში ძალიან ძნელია. ტრავმირებულების თამაშის შანსი დღეს მინიმალურია.

**მამუკა ძვანტალიანი**



ვაჟა ხაჩირაშვილი

### გორის „დილა“ 2001

პრეზიდენტი: გურამ ნოზაძე
მწვრთნელი: ვაჟა ხაჩირაშვილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვახტანგ აკოფიანი | მ | 15.08.75 | 180 | 75 |
| არჩილ ბოკერია | თ | 13.10.78 | 180 | 66 |
| მურთაზ ბურნაძე | ნ | 14.03.84 | 167 | 60 |
| ხვიჩა გაგნიძე | მ | 01.09.68 | 187 | 83 |
| ლევან გოჩაშვილი | მ | 26.08.79 | 175 | 75 |
| მიხეილ გრიგალაშვილი | მ | 05.11.76 | 177 | 70 |
| მალხაზ ერაძე | მ | 23.09.73 | 181 | 71 |
| დავით ეჯოშვილი | ნ | 07.04.76 | 178 | 70 |
| თამაზ ილურიძე | მკ | 04.11.75 | 186 | 76 |
| ვალერი კოტორაშვილი | ნ | 02.05.77 | 182 | 70 |
| გიორგი ლომიძე | ნ | 18.01.77 | 182 | 77 |
| დავით მაისურაძე | მ | 23.08.73 | 178 | 72 |
| არჩილ ოლგესაშვილი | ნ | 19.01.82 | 180 | 71 |
| გიორგი რევაზიშვილი | ნ | 31.03.77 | 182 | 68 |
| ალბერტ საყვარელიძე | ნ | 05.02.82 | 176 | 59 |
| რამაზ სოლოლაშვილი | მკ | 23.03.77 | 185 | 77 |
| პაატა ფეზუაშვილი | მ | 14.06.78 | 175 | 70 |
| ბექა ჩიტაია | თ | 02.04.80 | 180 | 72 |
| გიორგი ჩიტაია | მ | 12.08.78 | 178 | 69 |
| რევაზ ხაჭაპურიძე | მ | 01.12.74 | 174 | 62 |
| არჩილ ხაჩირაშვილი | მ | 09.01.84 | 180 | 72 |
| ამირან ხმალაძე | თ | 22.10.76 | 189 | 82 |
| ზურაბ ხორგუაშვილი | თ | 12.08.70 | 187 | 80 |

#### გასხვისებულები

მდივანი (ივერია), ციცქიშვილი, ხოხობაშვილი (ცხინვალი), გ. ტუღუში (თამაში მიატოვა)

#### ახალწვეულები

რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (ვიტ ჯორჯია), ერაძე, ბოკერია (თსუ)

#### საკონტროლო მატჩები

დინამო 0:4, ლოკომოტივი 2:1, თსუ 0:2, მერანი 2:3, ვიტ ჯორჯია 1:4, ივერია 5:0, ცხინვალი 2:2

# 11. თსუ

**ერთ-ერთმა** აუტსაიდერმა, თბილისურმა თსუ-მ სახე მნიშვნელოვნად იცვალა. კლუბის თავკაცებმა ნახევარი გუნდი დაითხოვეს, დანაკლისი კი „ვიტ ჯორჯიადან“ და მისი ფარმკლუბიდან შეივსეს. ისედაც ახალგაზრდული თსუ კიდევ უფრო გაახალგაზრდავდა.

ბოლო შეკრება სტუდენტებმა ქობულეთში გაიარეს. სასტუმრო „ჰასანაში“ პირობები კარგი იყო. სავარჯიშოდ კი, გრიგოლეთის ბაზაზე დაჰყავდა გუნდი *მერაბ კოჭლაშვილს:*

— მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ვარ. მართალია, არის უმნიშვნელო პრობლემები, მაგრამ ყველაზე დამაფიქრებელი გუნდის ახალგაზრდული ასაკია.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის არავინაა ტრავმირებული, სეზონს უდანაკარგოდ მაინც ვერ ვიწყებთ. სამი გაფრთხილების გამო ახალაძე ვერ ითამაშებს.

მიზანი კი ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. მეთორმეტე ეროვნულში უფრო მეტზე ოცნებასაც ვერ გავბედავთ.

**მამუკა ძვანტალიანი**



მერაბ კოჭლაშვილი

### თბილისის თსუ 2001

პრეზიდენტი: დავით გოდერძიშვილი
მწვრთნელი: თენგიზ კაცია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი არეშიძე | მ | 07.11.79 | 184 | 78 |
| კახა ახალაძე | მ | 19.05.79 | 174 | 68 |
| გიორგი ბერიანიძე | მ | 11.02.81 | 188 | 87 |
| ილია ბეროშვილი | თ | 29.12.81 | 182 | 75 |
| ზვიად გვაზავა | ნ | 17.09.78 | 188 | 77 |
| პაატა დათუნაიშვილი | ნ | 25.08.83 | 178 | 72 |
| კახა ებრალიძე | მ | 07.03.79 | 186 | 73 |
| ზვიად ლაბაძე | მ | 13.09.82 | 185 | 76 |
| აკაკი ლობჟანიძე | ნ | 13.01.82 | 185 | 75 |
| დავით მამარდაშვილი | მკ | 17.10.77 | 190 | 83 |
| ერეკლე მერებაშვილი | თ | 27.05.82 | 175 | 62 |
| ზურაბ მეტრეველი | თ | 27.03.79 | 182 | 78 |
| მიხეილ მესხი | თ | 07.04.78 | 178 | 72 |
| ლევან მინჯია | ნ | 20.10.82 | 178 | 62 |
| ბექა ნოზაძე | ნ | 09.02.82 | 174 | 62 |
| ზვიად სტურუა | მკ | 24.04.78 | 191 | 84 |
| ზვიად ფირცხალაიშვილი | მ | 11.04.82 | 184 | 78 |
| გიორგი ქერაშვილი | მ | 25.01.82 | 185 | 78 |
| კახა შოშიაშვილი | თ | 23.06.82 | 184 | 65 |
| ლევან ჯობავა | ნ | 04.04.82 | 174 | 65 |
| გურამ ხარებავა | ნ | 29.09.79 | 176 | 71 |

#### გასხვისებულები

გოცირიძე, ნუნუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა (გორდა), ერაძე, ბოკერია (დილა), სვანაძე (დინამო), ე. ალადაშვილი (მილანი), კვიციანი, მორჩილაძე, კ. ვადაჭკორია (?)

#### ახალწვეულები

ზ. გვაზავა, სტურუა (ვიტ ჯორჯია), ზ. მეტრეველი (იბერია), ქერაშვილი (ბათუმი) ბერიანიძე, ბეროშვილი, ჯობავა, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, მინჯია, დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია 2), ზვ. ფირცხალაიშვილი (თბილისი 2)

#### საკონტროლო მატჩები

ვიტ ჯორჯია 2 2:0, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 0:1, 0:1 ბათუმი 3:1, კოლხეთი 2 1:1, დილა 2:0, ასკ 4:1

# 12. იბერია

**ახალი** პრეზიდენტი, ახალი მწვრთნელი და ახალი ფეხბურთელები... მეთორმეტე ეროვნულის აუტსაიდერი სრულიად გადახალისებული ხვდება საგაზაფხულო ეტაპს. გუნდი საშინაო თამაშებს ნავთლუღში, „შევარდენის“ სტადიონზე გამართავს. „შევარდენის“ საფეხბურთო სკოლამ იკისრა შეფობა. ნუგზარ ნიკოლაიშვილს ფეხბურთში აქამდე უცნობი ჯამბულ წულაძე შეუერთდა, კლუბის პრეზიდენტის ფუნქციებსაც თანაბრად გაინაწილებენ. ნოდარ აკობიამ „იბერიაში“ დარჩენილთ, „შევარდენის“ საფეხბურთო სკოლიდანაც დაამატა ფეხბურთელები, თუმც ზოგი ისეთიც მიიწვია, ჩვენს ფეხბურთში ასე თუ ისე, თავი რომ გამოუჩენიათ.

თემურ ჩლაიძე, ვალერი გაგუა, ირაკლი თარგამაძე და ბიძინა ივეჩიანი... განაცხადს თუ თვალს გადაავლებთ, ნუ გაიოცებთ, აკობიას გუნდში ვეტერანი კახა კაჭარავა გამოჩნდა, ყოფილი დინამოელი ბოლოს გერმანულ „ვალდჰოფში“ ბურთაობდა. აღდგომა და ხვალეო და, იმასაც ვნახავთ, როგორ წაადგება კაჭარავას გამოცდილება სამტრედიელ-თბილისელებს. ვერ მოესწრო კობა ნინუას განაცხადში შეყვანა. კობა, რაც ბულგარეთიდან დაბრუნდა, თბილისურ „ლოკომოტივსაც“ ახლდა კვიპროსულ შეკრებაზე. იგი, ბულგარული პეტრიჩის „ბელასიცადან“ ტრანსფერს ელის და მისი განაცხადში შეყვანაც ამის მერე გახდება შესაძლებელი. აქვეა ზურაბ ხიზანიშვილის უფროსი ძმა გიორგიც. „იბერია“ კი დღეს თსუ-ს ეთამაშება.

**გიორგი ვაჩნაძე**



ნოდარ აკობია

### სამტრედიის „იბერია“ 2001

პრეზიდენტი: ნუგზარ ნიკოლაიშვილი
ჯამბულ წულაძე
მწვრთნელი: ნოდარ აკობია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ალექსანდრე ამისულაშვილი | მ | 20.08.82 | 185 | 72 |
| ამირან ბანძელაძე | მ | 25.02.79 | 176 | 70 |
| კახაბერ ბობოხიძე | თ | 02.09.79 | 185 | 80 |
| ვალერი გაგუა | თ | 26.02.80 | 175 | 68 |
| ნიკოლოზ გიორგაძე | ნ | 05.02.80 | 170 | 69 |
| ევგენი გულორდავა | ნ | 22.12.78 | 182 | 75 |
| ოთარ ვადაჭკორია | ნ | 11.02.94 | 164 | 60 |
| ლაშა ვაშაკიძე | ნ | 19.11.85 | 155 | 50 |
| ირაკლი თარგამაძე | ნ | 11.09.75 | 170 | 62 |
| ბიძინა ივეჩიანი | თ | 09.03.79 | 175 | 68 |
| აკაკი კაკაშვილი | თ | 18.12.74 | 190 | 76 |
| კახა კაჭარავა | თ | 19.09.66 | ??? | ?? |
| გიორგი კობახიძე | მკ | ??.??.?? | ??? | ?? |
| შალვა ლაცაბიძე | მ | 25.07.75 | 177 | 71 |
| ზაზა მიქელთაძე | მ | 02.02.74 | 181 | 80 |
| შმაგი ონიანი | მ | 23.03.81 | 175 | 70 |
| გოგა ჟვანია | მ | 16.01.82 | 174 | 70 |
| ირაკლი სანიკიძე | მ | 25.03.78 | 182 | 80 |
| დავით ლოლონაძე | ნ | ??.??.?? | ??? | ?? |
| თენგიზ ყურაშვილი | ნ | 09.07.80 | 171 | 70 |
| ლევან ჩაჩუა | თ | ??.??.81 | 186 | 78 |
| შალვა ჩიმაკაძე | ნ | 04.01.79 | 188 | 81 |
| თემურ ჩლაიძე | მკ | 19.10.74 | 186 | 82 |
| გიორგი ცინაძე | მკ | 19.08.82 | 193 | 86 |
| გიორგი ჭიაბრიშვილი | ნ | 07.10.79 | 170 | 65 |
| ვლადიმერ ჭოლაძე | ნ | 19.01.81 | 178 | 72 |
| ზურაბ ძამსაშვილი | ნ | 13.10.81 | 182 | 79 |
| გიორგი ხიზანიშვილი | მ | 20.01.80 | 186 | 76 |

#### გასხვისებულები

ს. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე (სამგურალი), ზ. მეტრეველი (თსუ), ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?); სოსოფრიძე (მთავარი მწვრთნელი)

#### ახალწვეულები

ძამსაშვილი, ამისულაშვილი (ტორპედო), ივეჩიანი (გორდა), ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), ცინაძე (ამირანი), კობახიძე, ლოლონაძე (შევარდენი), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), შ. ლაცაბიძე (მილანი), კაჭარავა (ვალდჰოფი, გერმანია), გულორდავა, ჩაჩუა (ლოკომოტივი 3), გაგუა (ლოკომოტივი), ჭიაბრიშვილი (თბილისი), ტარიელაშვილი (თორი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი); ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი)

#### საკონტროლო მატჩები

შევარდენი 3:2, საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები 1:2, სიონი 0:0, 0:0, მერანი 1:2, მილანი 1:2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მეტოქე

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN


„იტალიელი“ ერნან კრესპო იტალიელებს პირველად დაუპირისპირდება

## ამხანაგური მატჩები

# კრესპო ოცდახუთი წლის ბავშვია

**მსპანელთა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ თქვა, ვისაც დიდ ტურნირებში მონაწილეობა და გამარჯვება სურს, ჯერ ძლიერ მეტოქეებს ამხანაგურად უნდა გაეჯიბროს და დაამარცხოსო.**

**სრული ჭეშმარიტებაა, მით უმეტეს, რომ ეს სიტყვები კამაჩომდეც არაერთხელ თქმულა. ამიტომაც, თითქმის მთელი ევროპა გუშინ და დღეს საკუთარ მზადყოფნას ამოწმებს — ერთ თვეში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი განახლდება.**

**არგენტინამ მოძებნა იტალია, ესპანეთმა — ინგლისი, გერმანიამ — საფრანგეთი, საქართველომ კი — „კიოლნი“.**

### იტალია — არგენტინა

დღეს რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ დიდი ფეხბურთია. საქართველოს ეროვნული ნაკრების თანაჯგუფელი იტალია არგენტინას მასპინძლობს. ისინი ერთმანეთს 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დრამატული ნახევარფინალის მერე ალარ შეხვედრიან.

ის დღე, 1990-ის 3 ივლისი, იტალიელებს დღესაც მწარედ ახსოვთ. აბა, წარმოიდგინეთ, ნახევარფინალამდე „სკუადრა აძურამ“ ყველა მატჩი მოიგო, სიცილიელი ფორვარდის ტოტო სკილაჩის გოლებს, თითქოს ბოლო ალარ უჩანდა, მაგრამ თამაში ნეაპოლში ტარდებოდა — დიეგო მარადონას ქალაქში...

სკილაჩიმ იტალიელები მე-17 წუთზე დააწინაურა, მაგრამ 68-ზე გიორგი ნემსაძის ახლანდელმა თანაგუნდელმა კლაუდიო კანიჯამ მეკარე ძენგას დაასწრო და რაღაც უცნაური თავურით გაათანაბრა. ყველაფერი პენალტებით დასრულდა. იქ კი, მილანელმა დონადონიმ და ინტერელმა სერენამ ვერ გაიტანეს. არგენტინამ 4:3 მოიგო და 60 ათასი მაყურებელი პირღია დატოვა. წარმოგიდგენიათ მათი იმედგაცრუება? იტალია ხომ შინ თამაშობდა, ჩემპიონი კი სხვა უნდა გამხდარიყო...

არგენტინამ ფინალში გერმანიასთან წააგო. მერე მარადონამ ისიც თქვა, ვილაც-ვილაცეებმა იტალიასთან მოგება არ მაპატიეს და ფარული ომი გამომიცხადესო.

პირიქით მოხდა რვა წლით ადრე. ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთმანეთს მეორე წრეში შეხვდნენ. ტარდელისა და კაბრინის გოლებს არგენტინელებმა პასარელას ერთით უპასუხეს. იტალიამ, რომელიც მანამდე ჯგუფიდან გაჭირვებით გაძვრა, 2:1 მოიგო და სასწაულიც დაიწყო: ბრაზილია, პოლონეთი და გფრ ერთმანეთს მიაყოლა და მსოფლიოს თასი შინ წაიღო.

დღევანდელი მატჩი მათ შორის მეცამეტე იქნება. საინტერესოა, რომ თუ პენალტებით მოგებულს არ ჩავთვლით, არგენტინამ „ცისფერები“ სულ ერთადერთხელ, 1956 წელს დაამარცხა ბუენოს აირესში. ჯამში იტალიამ ექვსჯერ იმარჯვა, ხოლო ხუთჯერ ფრედ ითამაშეს. პირველად კი ერთურთს 1954 წლის 5 დეკემბერს შეეყარნენ რომში. ფრინანისა და გალის გოლებით იტალიამ 2:0 მოიგო.

„იტალია არგენტინის წინაალმდეგ? არა მგონია, ეს მხოლოდ ამხანაგური მატჩი იყოს — ამბობს რომის „ლაციოს“ არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო — დაიმახსოვრეთ, ეს დაპირისპირება, შესაძლოა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ფინალშიც გამეორდეს.

1990 წლის შემდეგ ალარ შევხვედრივართ. ის ნახევარფინალი კი ჩინებულად მახსოვს. მაშინ 15 წლისა ვიყავი და ტელევიზორს თვალს ვერ ვაშორებდი. არგენტინელი გულშემატკივრების სიხარულიც უსაზღვრო გახლდათ“.

კრესპო იმ შვიდი არგენტინელიდან ერთ-ერთია, რომლებიც იტალიაში თამაშობენ და მარსელო ბიელსას ნაკრებში მოხვდნენ. ამათგან ვერონი, სიმეონე და ჭაბუკი ვალტერ სამუელი რომაულ კლუბებში თამაშობენ და სტუმრებად ნამდვილად ვერ ჩაითვლებიან. აი, ერთი დიდი კაცი კი დააკლდებათ. გაბრიელ ბატისტუტა „ვიჩენცასთან“ ბოლო ტურის მატჩში დაშავდა და თავისიანებს ვერაფრით დაეხმარება.

იტალიელებს ახმახი შემტევის, კრისტიან ვიერის დაბრუნება ახარებთ. მას ნაკრების მაისურა უკვე წელიწადია ალარ მოურგია. მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი ერთ სიურპრიზსაც ამზადებს, ნახევარდაცვაში ბერგამოს „ატალანტას“ ტყუპი ძმების კრისტიან და დამიანო ძენონების გამოცდას აპირებს.

„არგენტინა კლასით დაახლოებით ჩვენი დარი გუნდია — განაცხადა ტრაპატონიმ — მათ ფეხბურთელებს კარგად ვიცნობთ და ვაფასებთ. ეს თამაში ჩვენთვის ისეთივე მნიშვნელოვანი იქნება, როგორც სამი თვის წინ ინგლისს ამხანაგურად რომ გავეჯიბრეთ“.

მაშ ასე, იტალია — არგენტინა თერთმეტი წლის შემდეგ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იტალია:** ბუფონი, კანავარო, ნესტა, მალდინი, დი ლივიო, დი ბიაჯო, ტაკინარდი, კოკო, ტოტი, ვიერი, ფ. ინძაგი

**არგენტინა:** ბურგოსი, სამუელი, აიალა, ვივასი, სორინი, ხ. ძანეტი, სიმეონე, ვერონი, კილი გონსალესი, კრესპო, გუსტავო ლოპესი

**მსაჯი:** ალან სარსი (საფრანგეთი)





ჯოვანი ტრაპატონიმ კრისტიან ვიერი ნაკრებში დააბრუნა

### ინგლისი — ესპანეთი

გუშინდელ „სარბიელში“ დევიდ ჯეიმსის, დევიდ ბექჰემის, მაიკლ ოუენისა და დევიდ სიმენის ჯგუფური ფოტო დაიბეჭდა, რომელზეც ამ ფეხბურთელებს ინგლისის ნაკრების ახალი ფორმა მოერგოთ. აქ საქმე მხოლოდ დიზაინში როდია, როგორც ამბობენ, ახალი მაისურები ძველზე ოცი პროცენტით მსუბუქია და ფეხბურთელის მოძრაობას ოდნავაც არ ზღუდავს.

მაისურა მაისურად, მაგრამ მთავარი მაინც ის ხალხია, ვისაც დღეს მისი ჩაცმის პატივი ხვდება წილად. იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისის ნაკრები ახალმა მწვრთნელმა ჩაიბარა, ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესო ხდება.

სვენ გორან ერიკსონმა თავდაპირველად 31 მოთამაშე შეარჩია და ნელნელა მათ გაცხრილვას შეუდგა, ზოგიც თავისით გაიცხრილა: პოლ სქოულზი, სტივ მაკმანამანი, რეი პარლოუ, მაიკლ კარდიფი და კირონ დაიერი — მათ ტრავმებმა დარია ხელი.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავ პოლ სქოულზს მუცელი ასტკივდა. ეს ორშაბათის ვარჯიშზე მოხდა. დაველოდოთ, რას იტყვიან ექიმებიო, უთქვამს ერიკსონს, სამშაბათსაც თუ ვერ ივარჯიშა, ოთხშაბათს ვერ ვათამაშებო.

გავიხსენოთ, რომ სტივ მაკმანამანმა „ლაციო“—„რეალის“ შეხვედრა ნატკენი ფეხის გამო გამოტოვა, მერე „დეპორტივოსთან“ ბოლო ნახევარი ითამაშა და ტრავმა გაუმიზეზდა. არადა, ისიც გვახსოვს, როგორ ელოდა მაკმანამანი ამ მატჩს, იმედი მაქვს, ერიკსონი ნაკრებში დამაბრუნებს, თან ჩემი რეალელი მეგობრების წინაალმდეგ ვითამაშებო.

რეი პარლოუს კიდევ გაუმართლა, იმ გაგებით, რომ პრემიერლიგის ბოლო ტურში 69-ე წუთზე დაშავდა და სხვა არსენალელებივით ბოლომდე არ იცოდვილა („მანჩესტერი“—„არსენალი“ 6:1).

კირონ დაიერს რა ხანია, წვივი აწუხებდა და „ნიუკასლი“—„სიტის“ შეხვედრაში გაუმიზეზდა. 19 წლის მაიკლ კარდიფსაც ფეხი უტკენია.

უკვე ვთქვით, ერიკსონს 31-კაციანი სია ჰქონდა ჩამოწერილიო და ისიც თქვა, ვინც ჯანმრთელად მყავს, დიდებული ფეხბურთელები არიან და თავს არ შეირცხვენენო. თუმცა აქ ერთი ფაქტორია — ოთხივე ტრავმირებული ნახევარმცველია, რასაც მწვრთნელი საგანგებოდ აღნიშნავს.

ნაკრების კაპიტანი, ამაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ, დევიდ ბექჰემი იქნება. მართალია, ბობი რობსონმა ერთხელ თქვა, ბექჰემი საკაპიტნო კაცი არააო, მაგრამ ეს რობსონის გადასაწყვეტი არაა. ფეხბურთელი თავის კაპიტნობას, ცხადია, დიდი კმაყოფილებით შეხვდა და ამაყად განაცხადა, ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ყოველთვის მექნება გასახსენებლად, რომ ინგლისის კაპიტანი ვიყავიო.

ინგლისის ნაკრებზე ისიც ვთქვათ, რომ მისი შემადგენლობა სამომავლოდ არაერთხელ შეიძლება შეიცვალოს. ერიკსონმა ბრძანა, ფეხბურთელთან ერთი საუბრით და ვარჯიშზე ერთხელ ნახვით მისი ვარგისიანობის განსაზღვრა არ შემიძლია, ამიტომაც დღევანდელი შემადგენლობა საბოლოო არ არისო.

ესპანეთის ნაკრებიდან ბოლო წამს ამოვარდა კაპიტანი ფერნანდო იერო.


დევიდ ბექჰემი: ახალი კაპიტანი ახალი მაისურით

უცბად ამოვარდნა, როგორც წესი, დამტვრევას ნიშნავს, მაგრამ იეროს შემთხვევაში მიზეზი... დისკვალიფიკაციაა.

საქმე ის გახლავთ, რომ ნოემბერში ჰოლანდიასთან შეხვედრაში იერო გააძევეს, დისკვალიფიცირებული კი რატომღაც არ იყო. ეს საკითხი ორშაბათს საბოლოოდ გაირკვა და რეალელი ნაკრებიდან ერთი მატჩით მოკვეთეს. იეროს, სავარაუდოდ, სარაგოსელი პაკო ხემესი შეცვლის.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ინგლისი:** ჯეიმსი, გ. ნევილი, ს. კემბელი, ბრაუნი, ეშლი კოული, ბარმბი, ბათი, ბექჰემი, ჯ. კოული, ჰესკი, ფაულერი

**ესპანეთი:** კასილიასი, მანუელ პაბლო, აბელარდო, ელგერა, სერხი, გვარდიოლა, ლუის ენრიკე, ეჩებერია, მენდიეტა, რაული, ურსაისი

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)


სვენ გორან ერიკსონს მოსვენება არა აქვს

### ჰოლანდია — თურქეთი

ამხანაგურ მატჩებში შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ გამონაკლისიც არსებობს. თუნდაც ამსტერდამული მატჩი, სადაც მეტოქეებმა შელახული თავმოყვარეობა უნდა დაიკმაყოფილონ.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ევროპულ ჯგუფში ჰოლანდია ფავორიტად ითვლება, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ანდორასა და კვიპროსს უსწრებს, თან კვიპროსელებზე ერთი მატჩით მეტი გაუმართავს.

თურქები მეოთხე ჯგუფის ლიდერები არიან, მაგრამ წინა ამხანაგურ შეხვედრაში ფრანგებთან 0:4 დამარცხდნენ, თან ისე, რომ ერთი ხეირიანი მომენტიც არ შეუქმნიათ.

ლუის ვან გაალს თორმეტი ფეხბურთელი აკლია — უმრავლესობა ტრავმების გამო. თუმცა ევროპულ დივიზიონებში იმდენი კარგი ჰოლანდიელია გაბნეული, რომ მწვრთნელს შემადგენლობის შერჩევა არ გაუჭირდა.

გუნდს დაუბრუნდა დაცვის ბურჯი იაპ სტამი, რომელსაც ფრანკ დე ბურთან წყვილში მოუწევს თამაში. სამაგიეროდ, ვან გაალს ვერაფრით დაეხმარებიან ბუდევინ ზენდენი და ეინდჰოვენური ტრიო: არნოლდ ბრუგინკი, კევინ ჰოფლანდი და ვილფრედ ბოუმა. თავდასხმაში პატრიკ კლუივერტის მხარდამხარ დეპორტივოელი როი მაკაი ითამაშებს, რომელმაც ახლახან მოიშუშა მსუბუქი ტრავმა და ჩინებულ ფორმაშია.

ჰოლანდიელებს ორი დებიუტანტიც ეყოლებათ — ვიტესელი ვიქტორ სიკორა და ეინდჰოვენელი ჯონ დე იონგი. „საფრანგეთთან შეხვედრაში ყველა რგოლმა ძალიან ცუდად ითამაშა. ახლა შეცდომები უნდა გამოვასწოროთ, თუმცა ძნელი კი იქნება, ჰოლანდია ხომ ძალიან ძლიერია“ — ეს თურქთა დამრიგებლის, სენოლ გუნეშის სიტყვებია.

ჰაქან შუქური, რომელიც მუდამ თურქთა სიდიადეს ქადაგებდა, ახლა ამბობს: „იტალიიდან თურქული ფეხბურთი საკმაოდ სუსტად მოჩანს“.

თურქთა შემადგენლობაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არაა. ყურადღებას მხოლოდ სერგენ იალჩინის დაბრუნება იპყრობს, რომელსაც ძველ მწვრთნელ მუსტაფა დენიზლისთან კონფლიქტის გამო ნაკრების დატოვება მოუხდა, გუნეშს კი მისთვის მოწყალე თვალით შეუხედავს.

და ერთი საინტერესო ფაქტიც. ჰოლანდიას თურქეთისთვის გოლის გატანა უჭირს. მათი ბოლოსწინა შეხვედრა სტამბოლში მასპინძლებმა შუქურის გოლით 1:0 მოიგეს, ხოლო ამსტერდამში უგოლოდ გაიყარნენ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ოიერი, სტამი, ფ. დე ბური, ვან ჰინტუმი, ვან ბომელი, კოკუ, დავიდსი, ზეედორფი, კლუივერტი, მაკაი

**თურქეთი:** რუშთუ, ოგიუნი, ფათიჰი, ალფაი, ოკანი, სერგენი, ემრე, თუგაი, ოქთაი, ჰაქან შუქური, ჰასან შაში

**სოლომონ გულისაშვილი**
**გიორგი დარჯანია**


იაპ სტამი ჰოლანდიელთა დაცვას მიხედავს

# იტალიელების კარგები და სხვების კარგებიც



ბაჯო „ბრეშაშიც“ ბაჯოა

**იტალიის** ჩემპიონატი, სერია A, განსაკუთრებით იტაცებს ფეხბურთის ქომაგთ და რაც კახა კალაძემ სახელოვანი „მილანის“ მაისურა მოირგო, ჩვენმა ინტერესმა აპენინელთა მიმართ ერთიორად იმატა. კალაძე ახალ კლუბში ურიგოდ არ ირჯება, გუნდის ძირითადშიც დამკვიდრდა და „მილანის“ აღიარებულ ვარსკვლავებსაც არ ჩამორჩება. ჩვენთვის ეს ფრიად სასიხარულოა, მაგრამ როგორია კალაძის მომავალი? მატჩისშემდგომ შეფასებებს თუ დავეყრდნობით, ქართველი ერთ-ერთი საუკეთესოა მილანურ გუნდში, მაგრამ ტრადიციულ, ტურისშემდგომ სიმბოლურ ნაკრებში ჯერჯერობით ვერ ხვდება. მეოცე ტურის საუკეთესოთა შორის „მილანიდან“ მხოლოდ პაოლო მალდინია დასახელებული. ურიგო არ იქნება, თვალი გადავავლოთ სერია A-ს ბოლო ტურის სიმბოლური ნაკრების ორ ვარიანტს, რომელთაგანაც პირველი რჩეულ თერთმეტ ლეგიონერს, ხოლო მეორე — სამშობლოში მობურთალ იტალიელებს აერთიანებს.

ამ უქმეებზე გამართულ მატჩებში უცხოტომელთაგან პირველობა ჰოლანდიელ კარის დარაჯს, ედვინ ვან დერ სარს ერგო. თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, ტურინელთა მეკარე თითქმის თვლემდა, მას მეტოქეთა თავდამსხმელები არცთუ ხშირად აწუხებდნენ, მაგრამ თითო-ოროლა სახიფათო მომენტი ოსტატურად გააუვნებლა. აღსანიშნავი კი, ლეონარდოს დარტყმის მოგერიებაა, რაც ფანტასტიკური, თითქმის დაუჯერებელი გახლდათ. არგენტინელი ვალტერ სამუელი, ლორან ბლანი, იგორ ტუდორი, ხავიერ ძანეტი ტურის ყველაზე საიმედო მცველებად მიიჩნიეს. სამუელმა კიდევ ერთი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა „რომას“ შემადგენლობაში და ყველას დაუმტკიცა, რომ მისი მეტსახელი, „არგენტინული კლდე“, გადაჭარბებული სულაც არაა. ლორან ბლანი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, „ინტერი“ — „უდინეზეს“ თამაშის გმირი გახლდათ. მისმა გამოცდილებამ „ინტერი“ მორიგი შერცხვენისგან იხსნა. უდინელი სოსას გატანილ ბურთს ორიოდ წუთში ბლანმა საკადრისად უპასუხა — ანგარიში გაათანაბრა. მის დაწყებულ საქმეს გუნდმაც აუბა მხარი და „ინტერმა“, ბოლო-ბოლო, გაიმარჯვა. ტუდორის გოლმა კი „იუვენტუსის“ წარმატებას დაუდო სათავე. მისი ძირითადში გამოჩენა მოულოდნელი იყო. მაგრამ ხორვატი გოლიათი შესანიშნავად გაისარჯა და როგორც ვხედავთ, არა მარტო დაცვაში.

აღნიშვნის ღირსია ხავიერ ძანეტის გამორჩეული თამაშიც. „ინტერის“ დაცვის ფლანგზე იგი განუყოფლად ბატონობდა და არც მოწინააღმდეგე „უდინეზეს“ მარჯვენა ფრთის დაპყრობა გასჭირვებია.

ნახევარმცველთა შორის „პარმას“ სამეული გამოარჩიეს. ახალგაზრდა კოლუმბიელი ხორხე ბოლანო ერთობ აოცებს პარმელ გულშემატკივარს. ბრაზილიელმა ჟუნიორმა კი მშვენივრად გაართვა თავი მარცხენა ნახევარმცველზე დაკისრებულ ფუნქციას, ხოლო ფრანგი იოან მიკუ, რომელიც გუნდის შეტევების დირიჟორად მოგვევლინა, შეუდარებელი გახლდათ.

ნახევარმცველთა სამეულს „ლაციო“ — ვერონას“ უხვგოლიან მატჩში საუკეთესო ხუან სებასტიან ვერონიც ამშვენებს. არგენტინელი და „პარმას“ ლეგიონი მართლაც შთამბეჭდავი და საიმედო თანავარსკვლავედია.

შეტევის ხაზში საუკეთესოებად „ლაციოს“ არგენტინელი ერნან კრესპო და „პარმას“ სერბი სავო მილოშევიჩი დასახელდნენ. მილოშევიჩმა ბოლო ოთხ დღეში ორი დუბლი გააზერხა.

სერბის კოლეგა ერნან კრესპო კი ნამდვილ სასწაულებს სჩადის. იტალიაში ყველაზე ძვირი ფეხბურთელისთვის „ლაციო“ — „ვერონას“ თამაშში გატანილი სამი გოლი მორიგი ჰეთ თრიქი გახლავთ. დინო ძოფის „ლაციოში“ მისვლას არგენტინელი სულ გადაურევია. პაპა დინოს თავკაცობით ჩატარებულ ცხრა მატჩში კრესპომ თორმეტჯერ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე.

რამდენიმე სიტყვა სერია A-ში მობურთალ ძირძველ იტალელებზეც ვთქვათ. მეოცე ტურის საუკეთესო მეკარე ლუიჯი ტურჩია. უდინელთა კარის დარაჯს თამაშის გადასარჩენად ცდა არ დაუკლია. მან ტურინელი დი ბიაჯოს თერთმეტმეტრიანიც კი მოიგერია, მაგრამ მისმა ოსტატობამ საბოლოოდ „უდინეზე“ მარცხისგან ვერ იხსნა.

ტურის ერთ-ერთ საუკეთესო მცველ ბრუნო ჩირილოს „ინტერის“ გულშემატკივრები სტვენით შეხვდნენ. ამან ფეხბურთელი სულაც ვერ დათრგუნა და ისე ითამაშა, რომ აგრესიულად განწყობილი და გაღიზიანებული მილანელი ტიფოზები მატჩის ბოლოს კმაყოფილნი დარჩნენ. ჩირილომ „ინტერის“ შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

ტურის სიმბოლურ ნაკრებში ყმაწვილი დარიო დაინელიც შეუყვანიათ. ამ ახალგაზრდას რამდენიმე კვირის წინ ცოტა თუ იცნობდა ხეირიანად. ამის მიუხედავად, სპეციალისტები თვლიან, რომ „ლეჩეს“ ახალბედა სეზონის ბოლოს მთელ იტალიას აალაპარაკებს.

საქმეში ჩახედულ ხალხს თერთმეტი რჩეულის დაცვის მარჯვენა ფრთაზე „ბრეშას“ ასევე ახალგაზრდა უკანახაზელი აიმო დიანა გაუმწესებიათ. მცველმა თავის გუნდში კიდევ ერთი კარგი მატჩი ითამაშა. დიანა მომავალ სეზონში „იუვენტუსში“ გადაბარგდება, ტურინელებმა კი კარგად იციან, ვისთან დაიჭირონ საქმე.

დაცვის ბურჯი მილანელი პაოლო მალდინია. მაყურებლისთვის კერპი ყოველთვის კერპია. პაოლოს ავტორიტეტიც ყოველთვის შეუვალია, „მილანის“ კაპიტანი ხომ მოედანზე მთლიანად იხარჯება. კარგი იქნებოდა, გუნდს მისთვის მიებაძა, მაშინ „მილანი“ ეგზომ სამარცხვინო შთაბეჭდილებას არ დატოვებდაო, ასე ამბობენ იტალიაში.

რჩეულ იტალიელთა ნახევარდაცვა კი ასეთია: ალესიო ტაკინარდი („იუვენტუსი“), დამიანო ტომაზი („რომა“) მაქს ტონეტო („ლეჩე“) და ფრანჩესკო კოცა („რეჯინა“). ტაკინარდი ბოლო დროს გაუმჯობესებული თამაშით არა მარტო ტურის სიმბოლურ, არამედ ეროვნულ გუნდშიც მოხვდა. ტრაპატონის ამ ნახევარმცველისა სჯერა და არცთუ უსაფუძვლოდ.

საინტერესოა თავდამსხმელთა მრისხანე წყვილიც: ოცდათოთხმეტი წლის რობერტო ბაჯო და თითქმის მისი კბილა ჯუზეპე სინიორი. „ბოლონიას“ თილისმამ, მუდამ აგრესიულმა ბეპე სინიორიმ ნაპოლელ ფონტანას ორი გოლი გაუტანა, ხოლო პატარა ბუდისტმა, რობერტო ბაჯომ სახელოვანი ტოლდო ამდენჯერვე დატოვა უშანსოდ.

ბაჯომ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა, ამჯერად „ბრეშას“ შემადგენლობაში — შეუძლია კი 34 წლის ფეხბურთელს დუბლის გაკეთება, როდესაც სათამაშო პრაქტიკა ასე აკლია? დიახ, შეუძლია, თუ იგი რობერტო ბაჯოა.

**გიორგი გამარდაშვილი**

## არგენტინა

მე-4 ტური: როსარიო სენტრალი — რივერ პლეიტი 1:1; ინდეპენდიენტე — ლანუსი 2:1; ბოკა ხუნიორსი — ნიუელს ოლდ ბოიზი 2:2; ჩაკარიტა ხუნიორსი — რასინგი 2:2; არგენტინოს ხუნიორსი — ხიმნასია (ლა პლატა) 2:1; კოლონი —ველეს სარსფილდი 2:0; ლოს ანდესი — ალმაგრო 1:1; სან ლორენსო — ბელგრანო 2:0; ტალერესი — ურაკანი 4:2; ესტუდიანტესი — უნიონი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:3 | 10 |
| უნიონი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:3 | 9 |
| კოლონი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ტალერესი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| როსარიო | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | 7 |
| სან ლორენსო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ინდეპენდიენტე | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| არგ. ხუნიორსი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:7 | 7 |
| რასინგი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| ბოკა ხუნიორსი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| ბელგრანო | 4 | 1 | 2 | 1 | 1:2 | 5 |
| ლანუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 4 |
| ოლდ ბოიზი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ხიმნასია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ჩაკარიტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ესტუდიანტესი | 4 | 0 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| ლოს ანდესი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 |
| ურაკანი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:12 | 3 |
| ალმაგრო | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| ველესი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | 2 |

## პორტუგალია

XXII ტური

**ბიმარაეში 1:2 სალგეირუში**

0:1 ბასილიუ (13), 1:1 სერჟიუ (84), 1:2 ჟოაუ პედრუ (89)

## იტალია

სერია B. XXIV ტური

**სალერნიტანა 0:1 ჯენოა**

0:1 ფრანჩიოზო (12)

სერია C1/b. XXIV ტური

**აკილა 2:0 ფერმანა**

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXIII ტური

**ჰანოვერი 1:1 ოსნაბრუკი**

0:1 ბრინკმენი (68), 1:1 კეიტა (90)

## თურქეთი

22-ე ტური: გალათასარაი — ქოჯაელი 2:3; ადანა — იოზგათი 3:3; ბურსა — დენიზლი 2:1; ტრაბზონი — ისთანბული 1:2; ერზერუმი — სამსუნი 1:2; ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში 3:1; რიზე — ანთალია 0:2; ანკარაგიუჯიუ — იეთფა 4:1; გაზიანთეფი — გენჩლერბირლიგი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 22 | 16 | 3 | 3 | 57:24 | 51 |
| გალათასარაი | 22 | 14 | 4 | 4 | 47:20 | 46 |
| გაზიანთეფი | 22 | 12 | 7 | 3 | 43:25 | 43 |
| ბეშიქთაში | 22 | 13 | 4 | 5 | 46:36 | 43 |
| ტრაბზონი | 22 | 10 | 5 | 7 | 44:33 | 35 |
| სამსუნი | 22 | 9 | 6 | 7 | 36:32 | 33 |
| გენჩლერბირ. | 22 | 10 | 3 | 9 | 30:31 | 33 |
| ანკარაგიუჯიუ | 22 | 8 | 8 | 6 | 35:37 | 32 |
| ისთანბული | 22 | 8 | 6 | 8 | 29:30 | 30 |
| დენიზლი | 22 | 7 | 8 | 7 | 29:34 | 29 |
| რიზე | 22 | 8 | 4 | 10 | 28:24 | 28 |
| ანთალია | 22 | 7 | 7 | 8 | 31:35 | 28 |
| იოზგათი | 22 | 6 | 8 | 8 | 30:29 | 26 |
| ბურსა | 22 | 6 | 6 | 10 | 33:42 | 24 |
| ქოჯაელი | 22 | 4 | 8 | 10 | 28:41 | 20 |
| ადანა | 22 | 2 | 9 | 11 | 33:46 | 15 |
| ერზერუმი | 22 | 3 | 4 | 15 | 24:57 | 13 |
| იეთფა | 22 | 2 | 6 | 14 | 24:51 | 12 |

## კვიპროსის ოთხთა ტურნირი

**უკრაინა 0:1დდ. (0:0) რუმინეთი**

0:1 ჩობოტარიუ (99)

უკრაინა: შოვკოვსკი (ლევიცკი 74), ბარციონოვი, ფრანოვსკი (ნესმაჩნი 57), გოლოვკო, ვაშჩუკი, პრისენკო, კარდაში, სნიტკო, იაშკინი, ვორობეი, მელაშჩენკო

მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი

რუმინეთი: პრუნია, დუმიტრუ, პროდანი, რადოი, ტამაში (მალდარასანუ 74), ჩობოტარიუ, ჟობანე, მარა, მოლდოვანი (მიჰალჩია 58), ტრიკა (ალიჩიტა 46), გ. ნიკულაე

მწვრთნელი: ლადისლაუ ბოლონი

1000 მაყურებელი

**კვიპროსი 1:2 ლიტვა**

1:0 იასემაკისი (29), 1:1 დანილევიჩუსი (83), 1:2 პოშკუსი (87)

კვიპროსი: ლეონი, თეოდორუ (პანაიოტუ 58), გეორგიოსი (ხ. ხარალამბუსი 85), ფილიპოუ, მ. ხარალამბუსი (იურევი 58), იოახიმი, ბუნასი, მელანარკიტისი (საციასი 46), იასემაკისი, სტილიანიდისი, ნეოპიტუ (პოიაცისი 46)

ლიტვა: ვ. ჟუტაუტასი, სკერლა, ჟვირგჟდაუსკასი, დედურა, გლევეცკასი, იოკშასი (დომეკა 46), რ. ჟუტაუტასი, მიკალაიუნასი, პოშკუსი, რაჟანაუსკასი, დანილევიჩუსი (ვენცევიჩუსი 84)

მწვრთნელი: ბენიამინას ზელკევიჩუსი

1000 მაყურებელი

**დღეს**

მატჩი მესამე ადგილისთვის

უკრაინა — კვიპროსი

ფინალი

რუმინეთი — ლიტვა



**ფრანგმა** მცველმა ლილიან ტურამმა ამას წინათ განაცხადა, იტალიის ჩემპიონობა მწადია და თუ „პარმას“ საამისო ამბიცია ვერ შევამჩნიე, კლუბს გამოვიცვლიო. სულ ახლახან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის შეძენის სურვილი „იუვენტუსმა“ გამოთქვა. გარდა ამისა, ტურინელებს „არსენალიდან“ ასევე ფრანგი ნახევარმცველის, პატრიკ ვიეირას გადაბირებაც განუზრახავთ. მათი თანამემამულე ზინედინ ზიდანი ამბობს: „კარგი იქნება, თუ ვიეირა და ტურამი „იუვენტუსში“ გადმოსვლას არჩევენ. ეს მათთვისაც უკეთესი იქნაბა და ტურინული კლუბისთვისაც“. ფრანგების გარდა „იუვენტუსმა“ „რეჯინას“ 20 წლის ნახევარმცველი სალვატორე ვიკარის დაადგა თვალი და 7 მილიონ დოლარსაც გაიღებს.

**გერმანიის ჩემპიონმა მიუნხენის „ბაიერნმა“ სურვილი გამოთქვა, „სპარტაკის“ ორი მოთამაშე — ეგორ ტიტოვი და იგორ მიტრეევსკი შეიმატოს. წარმოშობით მაკედონიელმა მიტრევსკიმ გაამხილა, რომ მას ბუნდესლიგელები უკვე შეეხმიანენ და მიუნხენში მიიწვიეს, თან პირობებიც დაუკონკრეტეს. აღსანიშნავია, რომ მიტრევსკი რუსეთის ჩემპიონებს მხოლოდ რამდენიმე თვის წინ შეუერთდა. მაკედონიელის სანაცვლოდ „ბაიერნი“ 5 მილიონ მარკას იხდის.**

**იტალიის** ჩემპიონ „ლაციოს“ მწვრთნელ დინო ძოფს „ინტერსა“ და „ალავესს“ შორის უეფას თასის მატჩში ესპანელთა რუმინელი მცველის კოზმინ კონტრას თამაში მოსწონებია და სურვილი გამოუთქვამს, იგი რომში გადაიყვანოს. აღსანიშნავია, რომ „ალავესის“ მარჯვენაფლანგელს „მიდლსბრომ“ და „ვალენსიამაც“ დაადგეს თვალი. როგორც ესპანური პრესა იუწყება, თუ ვიტორიელები კონტრას გაშვებას დათანხმდნენ, მის სანაცვლოდ სულ მცირე, 6 მილიონ დოლარს მოითხოვენ.

**ინგლისის მეორედივიზიონურმა „კემბრიჯ იუნაიტედმა“ მწვრთნელი როი მაკფარლანდი წარუმატებელი შედეგების გამო გაათავისუფლა. „დერბი ქაუნთისა“ და „ბოლტონის“ ყოფილი თავკაცი „კემბრიჯს“ 1996 წელს ჩაუდგა სათავეში და 1999 წელს გუნდი მესამედან მეორე დივიზიონში გადაიყვანა, თუმცა ბოლო ხანს „კემბრიჯმა“ აშკარად მოისუსტა და ბოლო 7 თამაშიდან 6 წააგო. ცხრილში კი ბოლოდან მეშვიდე ადგილზეა. მომავალ ტურში „კემბრიჯი“ შინ „ოლდემს“ ხვდება. როგორც ვარაუდობენ, ახალ მწვრთნელს შაბათამდე დაასახელებენ.**

**ინგლისური** „ჩელსის“ იტალიელი ნახევარმცველის სემ დალა ბონას შეძენის სურვილი „ფიორენტინამ“ გამოთქვა. 20 წლის ფეხბურთელი „სტემფორდ ბრიჯზე“ ორი სეზონის წინ მოხვდა. ლონდონში იგი ჯანლუკა ვიალიმ „ატალანტადან“ გადაიყვანა. „ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია. იგი ჯერ ახალგაზრდაა და უკვე დიდ კლუბში თამაშის გამოცდილება აქვს. ჩვენ მისი შეძენით დავინტერესდით“ — განაცხადა ფლორენციული კლუბის წარმომადგენელმა. იტალიელებმა ლონდონელებს 3 მილიონი გირვანქა შესთავაზეს.

**გერმანული „კაიზერსლაუტერნის“ შვეიცარიელმა მცველმა მურატ იაკინიმ მუხლის მძიმე ტრავმის გამო შესაძლოა კარიერა დაასრულოს. „დიაგნოზი ურთულესია. ერთი ვიცი, რომ ჩვეულ ფორმაში ველარასდროს ჩავდგები“ — განაცხადა იაკინიმ, რომელმაც ბოლოს დეკემბერში ითამაშა. აღსანიშნავია, რომ 26 წლის ფეხბურთელი „კაიზერსლაუტერნში“ სეზონის დაწყების წინ „ფენერბაჰჩედან“ ჩაირიცხა. გერმანელები თურქებისგან ახლა გარკვეული საკომპენსაციო თანხას ითხოვენ. თუმცა სტამბოლელები გადახდაზე არ თანხმდებიან. აცხადებენ, რომ ფეხბურთელს მათთან კონტრაქტი დაუსრულდა და გერმანიაში მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდა. მათ დავას ფიფა გაარჩევს.**

# ლივერპ-ულიე

## მომეცით ბევრი ფული და პრემიერლიგას ამოვაყირავებ, ამბობს ლივერპულელთა ფრანგი მწვრთნელი

**იყო დრო,** „ლივერპული“ ისევე მეფობდა ინგლისურ ფეხბურთში, როგორც დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი“. მაგრამ „ლივერპულის“ ოქროს ხანა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ისტორიის კუთვნილება გახდა. „ლივერპული“ ერთ ჩვეულებრივ გუნდად იქცა, როგორც ინგლისში, ისე ევროპაში. დიდი წარსულის მქონე კლუბს ჩემპიონთა ლიგაშიც ვერ შეუდგამს ფეხი და ამ სანუკვარ მიზანთან ყველაზე ახლოს წლეულს არის. ფაქტია, „ლივერპულს“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შემთხვევაში მიმდინარე სეზონი წარმატებულად ჩაეთვლება, თუმცა ინგლისური კლუბის ფრანგი თავკაცი ჟარარ ულიე ამას აღარ სჯერდება.



ჟერარ ულიემ თასის გემო გაიგო, ახლა ჩემპიონობის დასველებას აპირებს

„თუ გვსურს წარმატებას მივაღწიოთ, მაშინ გუნდში რაც შეიძლება, მეტი ბრიტანული საფეხბურთო სკოლის აღზრდილი უნდა გვყავდეს“ — განუცხადა „ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა გაზეთ „DAILY STAR“-ს და იქვე განმარტა, რომ წარმატებაში იგი მხოლოდ და მხოლოდ პრემიერლიგის ჩემპიონობას გულისხმობს.

ულიე მომავალ სეზონზე ახლავე ფიქრობს. მიზანი უკვე დაუსახავს — „ლივერპულს“ ჩემპიონის ტიტული უნდა მოაპოვებინოს, თუმცა ჯერ საამისო გზების ძიებაშია.

„მე ჩემს მოვალეობა-ვალდებულებებს მხოლოდ ერთში ვხედავ, „ლივერპულს“ პრემიერლიგა უნდა მოვაგებინო, ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, რომელსაც მალე გადავჭრით“ — იმუქრება ულიე.

„ლივერპული“ მომავალი სეზონისთვის სერიოზულად გაძლიერებას აპირებს. ფრანგმა მწვრთნელმა ჯო კოულსა და მაიკლ კარიკს დაადგა თვალი და მათ წითელ მაისურაში ხილვაზე ოცნებობს.

„ადრე სოლ კემპბელისა და რიო ფერდინანდის შეძენა მსურდა, მაგრამ მათი ყიდვა ძალიან ძვირი სიამოვნებაა — აღნიშნა ულიემ და დაამატა — ვთვლი, რომ გუნდის ძირითად ბირთვს ინგლისელი და მხოლოდ ინგლისელი ფეხბურთელები უნდა შეადგენდნენ“.

ასე რომ, ულიე გაისისთვის სერიოზულად ემზადება და ქომაგებს ჩემპიონობას ჰპირდება, რაც, თავად ულიეს სიტყვებიდან გამომდინარე, ცოტა არარეალურია. კემპბელი და ფერდინანდი კი გვინდა, მაგრამ მათი შეძენა ძვირი სიამოვნებააო, ამბობს მწვრთნელი. ჰოდა, ვისთვისაც კარგი ფეხბურთელი ძვირი სიამოვნებაა, ჩემპიონობაც ძვირად მისაღწევია. ასოციაციის თასი და მისნაირები კი სწორედ ამგვართათვისაა ზედგამოჭრილი.

**გიორგი გამარდაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქის ნაკვალევზე
## უჩინო მანჩინი ფლორენციაში


რობერტო მანჩინი

**ორშაბათს** „ფიორენტინას“ მწვრთნელის პოსტიდან თურქი ფათიჰ თერიმის გადადგომის შემდეგ კლუბის ვიცე-პრეზიდენტი მარიო სკონჩერტი ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში მიიწვიეს და უპირველესად გუნდის ახალი თავკაცის ვინაობის გამხელა სთხოვეს. მანაც არ დამალა: „ხუთშაბათს ფლორენციაში რობერტო მანჩინი ჩამოვა და ამიერიდან „ფიორენტინას“ იგი უხელმძღვანელებს. მას დაეხმარება ლუჩანო ჩიარუჯი, რომელიც აქამდე ახალგაზრდულ გუნდს ავარჯიშებდა“.

მანჩინის ხუთშაბათიდან უქმეებამდე ორიოდ დღე ექნება, რათა ახალ გუნდს შეეჩვიოს, მერე კი ფლორენციელებს აუტსაიდერ „ბარისთან“ სათამაშოდ გაიყვანს. მთავარი მწვრთნელის პოსტზე ეს რობერტოს დებიუტია, რადგან აქამდე მას მხოლოდ ასისტენტად მუშაობის გამოცდილება აქვს. გეხსომებათ, ცოტა ხნის წინ იგი „ლაციოს“ ყოფილ დამრიგებელ სვენ გორან ერიკსონს ეხმარებოდა. ამას წინათ მანჩინიმ კვლავ გადაწყვიტა, ფეხბურთი ეთამაშა და პრემიერლიგურ „ლესტერში“ გადაბარგდა, თუმცა იქ მხოლოდ რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზია მას ჯერ არ აქვს, რადგან საამისო კურსები არ გაუვლია.

რობერტო მანჩინი მწვრთნელად სულ ახალგამოცხადებული იყო, ფლორენციული კლუბის დირექტორის თანამდებობა ჯანკარლო ანტონიონიმ რომ დატოვა. ამბობენ, მან ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ „ფიორენტინას“ სათავეში „სამპდორიას“ და „ლაციოს“ ყოფილი მოთამაშე მივიდაო. ფლორენციული კლუბის 70-იანი წლების ფეხბურთელის აზრით, გუნდი აუცილებლად გამოცდილ სპეციალისტს უნდა დაემოძღვრა, 36 წლის მანჩინს კი მწვრთნელად არასდროს უმუშავია.

ანტონიონის წასვლის გამო სინანული გამოთქვა ვიცე-პრეზიდენტმა სკონჩეტიმ, თუმცა მან გაკვრით გააკრიტიკა მისი გადაწყვეტილება. აქა-იქ ლაპარაკობენ, რომ ანტონიონისა და კლუბის პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორის შორის უთანხმოება კარგა ხნის მომწიფებული ყოფილა და დირექტორმა თერიმის წასვლა და მანჩინის დანიშვნა მხოლოდ მოიმიზეზა, რათა გუნდს ჩამოშორებოდაო.

**ნიკა ზუბლაძე**


გაბრიელ ბატისტუტა

# რამ გააბრაზა კაპელო?
## ბატისტუტას ტრავმა მონტელას შანსია

**„რომას“** მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ბოლო დღეებში რამდენიმე არასასიამოვნო ამბავი შეიტყო. დავიწყოთ ყველაზე ცუდით. სერია A-ს ბოლო ტურში, „ვიჩენცასთან“ შეხვედრაში რომაელთა შეტევის მთავარმა ძალამ, გაბრიელ ბატისტუტამ მუხლი დაიშავა. ტრავმა, როგორც აღმოჩნდა, სერიოზულია. შიშობენ, რომ არგენტინელს ერთი თვე გაუცდება.

„დაზუსტებით არ ვიცით, რამდენი ხანი დასჭირდება ბატისტუტას მკურნალობას. ერთი კი ცხადია, ეს ჩვენთვის სერიოზული დანაკლისია“ — სინანულით განაცხადა კაპელომ.

ზედმეტი მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რა ძალაა გუნდისთვის გაბრიელ ბატისტუტა. დასტურად ესეც იკმარებს — იმ 38 გოლიდან, რომლებიც სერია A-ს ლიდერებმა წლეულს გაიტანეს, 14 არგენტინელის ანგარიშზეა. იგი ახლა ბომბარდირებში მეორეა და მილანელ ანდრეი შევჩენკოს ერთი ბურთით ჩამორჩება.

თუმცა, რადგანაც ფაბიო კაპელოს დარ მწვრთნელებს ჩივილი არ სჩვევიათ, მან უმალ დასძინა, ჩემს გუნდში სხვა ძლიერი თავდამსხმელებიც არიან და არგენტინელის არყოფნა იმას სულაც არ ნიშნავს, რომ „რომა“ ფარ-ხმალს დაყრის და ჩემპიონობისთვის აღარ იბრძოლებსო. „ბატისტუტას პოზიციაზე ჩინებულად შეუძლია თამაში ვინჩენცო მონტელას. მისი დრო დადგა და შანსი აქვს, საუკეთესო თვისებები გამოავლინოს“ — გაამხნევა მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე მჯდომი იტალიელი თავდამსხმელი.

ახლა კი მეორე ამბავიც, რის გამოც კაპელომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას საჯაროდ უსაყვედურა. საქმე ისაა, რომ რომაელთა რიგებში მოთამაშე ორ ბრაზილიელს — კაფუსა და ემერსონს სანაკრებო შეკრებაზე უხმეს. ბრაზილიელები 3 მარტს აშშ-ს ეთამაშებიან, ხოლო 7 მარტს — მექსიკას. „რომას“ კი 4 მარტს შინ რთული შეხვედრა ელის — „ინტერს“ მასპინძლობს. ორი წამყვანი მოთამაშის არყოფნა ლიდერისთვის დიდი დანაკლისია. თუმც, რადგან კლუბი ვალდებულია, ფეხბურთელი ნაკრებში გაუშვას, ფაბიო კაპელოც ვერაფერს იტყოდა, რომ არა შემდეგი ფაქტორი.

მოგეხსენებათ, მადრიდის „რეალის“ მცველი რობერტო კარლოსი და „ბარსელონას“ თავდამსხმელი რივალდოც ბრაზილიელები არიან და ეროვნული გუნდის ღირსების დაცვა მათაც ევალებათ. ნაკრებში კი ისინი არ გამოიძახეს, რადგან ამ უქმეებზე „რეალი“ და „ბარსელონა“ ხვდებიან ერთმანეთს. ალბათ, კლუბების თხოვნით, ბრაზილიელები ესპანეთში დატოვეს, კაპელოც ამან გააბრაზა.

**ნიკა ზუბლაძე**

# ორი ამბავი მიუნხენიდან
## სფორცას მზე ჩადის, ბალაკის ამოდის

**ჩირიაკო სფორცას** ბედმა უმუხლთა. შვეიცარიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელს რომ ბოლო დროს გერმანულ სუპერკლუბში საქმეები აურია, „სარბიელის“ მკითხველმა უკვე იცის. თითქოს ეს არ კმაროდაო, სფორცა ვარჯიშზე დაშავდა და ახლა მინიმუმ ექვსი კვირით დაისვენებს.

30 წლის შვეიცარიელს 3 თებერვლის მერე აღარ უთამაშია. მაშინ „ბაიერნი“ „ვოლფსბურგს“ ესტუმრა და 3:1 სძლია. ნამატჩევს სფორცა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გააკრიტიკა, ჩირიაკო ისე ცუდად გაისარჯა, მცველებს რომ დროულად არ დაეზღვიათ, ვერ მოვიგებდითო.

... და სფორცა გაირიყა. ბავარიული კლუბის ხელმძღვანელობამ დაუფარავად განაცხადა, შვეიცარიელი ძირითადს კარგა ხანს ვერ ეღირსებაო. ასეც იყო, „კაიზერსლაუტერნიდან“ შარშან ზაფხულს გადმსული ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამიდან უცქერდა „ბაიერნი“ — „შტუტგარტის“, „ბაიერნი“ — „სპარტაკისა“ და „უნტერჰახინგი“ — „ბაიერნის“ მატჩებს. და უეცრად სფორცას ძირითადში დაბრუნების შანსი გაუჩნდა. მის ნაცვლად ლიბეროდ გამწესებულ იენს იერემისს სამი ყვითელი ბარათი დაუგროვდა და ამის გამო ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის შეხვედრა, მოსკოვში, „სპარტაკის“ წინააღმდეგ, უნდა გამოეტოვებინა. ჰიცფელდი ლიბეროდ სფორცას გამწესებას აპირებდა, ისიც თავისი შესაძლებლობების დასამტკიცებლად ემზადებოდა, მაგრამ მოულოდნელად ვარჯიშზე დაშავდა, მუხლი იტკინა. თავიდან ფიქრობდა, ეგებ იოლად გადავრჩე და მინდორზე გასვლა მაინც შევძლოო, მაგრამ ტკივილმა შეაწუხა და ექიმს მიმართა, რომელმაც სასწრაფოდ ოპერაციის გაკეთება ურჩია.

„სფორცა სავარაუდოდ, აპრილის მეორე ნახევრამდე დაისვენებს. ეს იმ შემთხვევაში, თუ აღდგენითი პერიოდი გართულებების გარეშე ჩაივლის. ისე კი, არაა გამორიცხული, ჩირიაკომ მიმდინარე სეზონში ვერ ითამაშოს“ — ამცნო საზოგადოებას „ბაიერნის“ პრესატაშემ, მარკუს ჰიორვიკმა.

ამას წინათ „ბაიერნის“ განზრახვის შესახებაც შეგატყობინეთ. მიუნხენელებმა, „ლევერკუზენის“ ნახევარმცველ მიხაელ ბალაკს დაადგეს თვალი და ამომავალ გერმანელ ვარსკვლავს თავისთან ეპატიჟებიან. 24 წლის ლევერკუზენელს ბავარიელთა კაპიტანმა შტეფან ეფენბერგმაც გაუწია რეკომენდაცია. მომავალში ჩემი შემცვლელი თუ გსურთ, რას ელოდებით, ბალაკი გადმოიბირეთო, ურჩია უფროსობას. მიუნხენელებმაც ფეხბურთელს წინადადებით მიმართეს.

ბალაკმა თავიდან „ბაიერნზე“ ცივი უარი თქვა, სანამ მანდ ეფენბერგია, ძირითადს ვერ ველირსები, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა კი არ მაკმაყოფილებსო. ბოლოს კი დაამატა, ეგეც არ იყოს, უცხოეთში თამაში უფრო მიზიდავსო. ახლა კი, ეტყობა, გადაიფიქრა. „თუ „ბაიერნი“ მიმიწვევს, შეიძლება უარი არც ვთქვა. პირობებს განვიხილავ, ჩემსას ვიტყვი, თუ შევთანხმდით, რატომაც არა, ბავარიულ კლუბში სიამოვნებით ვითამაშებ“ — ფეხბურთელის ეს სიტყვები „მიუნხენერ აბენდცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა. ლევერკუზენელს არც ის დაუმალავს, თუ რატომ შეცვალა გადაწყვეტილება: „მინდა, ჩემპიონთა ლიგაში თამაშით დიდხანს ვისიამვნო, ნახევარფინალსა თუ ფინალსაც გავუსინჯო გემო. გერმანულ კლუბთაგან კი ამას მხოლოდ „ბაიერნში“ თუ შევძლებ“.

შეგახსენებთ, ბალაკს „ბაიერნის“ გარდა მადრიდის „რეალი“ და იტალიური „რომაც“ ეპატიჟებიან.

**მანო ოქროპირიძე**


ჩირიაკო სფორცა



მიხაელ ბალაკი

# ვიალის ხსენებაზე ციება

**ეს დღეებია,** უცხოური სააგენტოები განუწყვეტლივ იმეორებენ — თითქოს „ჩელსი“ ამჟამინდელი მწვრთნელის, კლაუდიო რანიერის საქმიანობით უკმაყოფილოა და მის თანამდებობიდან გათავისუფლებას აპირებსო. გუშინდელ „სარბიელში“ ისიც გაუწყეთ, რომ შესაძლოა ლონდონურ კლუბს დაუბრუნდეს ჯანლუკა ვიალი, რომელიც შარშან შემოდგომაზე სწორედ რანიერიმ შეცვალა. ამიერიდან ამ თემაზე ყოველგვარი საუბარი უნდა შეწყდეს, რადგან „ჩელსის“ თავმჯდომარემ, კენ ბეიტსმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მწვრთნელით კმაყოფილია, მას მხარს უჭერს და „სტემფორდ ბრიჯიდან“ არ გაუშვებს. მეტიც, სასამართლოშიც კი უჩივლებს იმ სააგენტოს ან გაზეთს, რომელიც კვლავ შეეცდება, მსგავსი დეზინფორმაცია გაავრცელოს.

„ჩვენი იურისტი პიტერ კარტერ ჩაკი ამ საკითხს შეისწავლის და, შესაძლოა, ცრუ ინფორმატორებმა მალე სასამართლოშიც ირბინონ“ — ბრძანებს ბეიტსი. ცრუ ინფორმატორი კი, როგორც ამბობენ, ცნობილი ტაბლოიდი „NEWS OF THE WORLD“-ია.


კენ ბეიტსი

„კლაუდიო რანიერი „ჩელსიში“ მხოლოდ რამდენიმე თვეა მუშაობს და კონტრაქტის პირობით კიდევ კარგა ხანს ლონდონში უნდა დარჩეს. ჩვენ მისით კმაყოფილი ვართ, საპრეტენზიო თითქმის არაფერი გვაქვს. ვერ ვხვდები, რატომ უნდა გავრცელებულიყო ასეთი ცნობა“ — ესეც თავმჯდომარის სიტყვებია.

**ნიკა ზუბლაძე**

ზე-12. პირველი ტური. 23-24 თებერვალი

# ავსტრალიელებმა ახალზელანდიელები ძალიან დაიბრიყვეს



ბრისბენი — ველინგტონი. დერილ ლილი ბრისბენელ სტივ კეფუს ბოჭავს

**დანიდინი 23:8 ოკლენდი**

დანიდინი: 3ლ: ვაჰაფოლაუ (2), როპატი; 1გ და 2ს: ბრაუნი
ოკლენდი: 1ლ: ჰოულეტი; 1ს: სპენსერი

**დურბანი 30:17 პრეტორია**

დურბანი: 3ლ: ლუბშერი, კეიზერი, სმიტი; 3გ და 3ს: ჯეიმსი
პრეტორია: 2ლ: ლომბარდი; 4ს: სტეინი

**კანბერა 51:16 კრაისტჩერჩი**

კანბერა: 6ლ: ფინეგანი (3), სმიტი, როფი, ბონდი; 6ლ: 2ს: მორტლოკი; 1ა: გრეგანი
კრაისტჩერჩი: 1ლ: სომერვილი; 1გ: მაუგერი; 3ს: ბლეირი

**ბრისბენი 27:18 ველინგტონი**

ბრისბენი: 2ლ: ნ. უილიამსი, ლეითემი; 1გ: ფლეტლი; 5ს: ფლეტლი (4), ილზი
ველინგტონი: 2ლ: ფლემინგი, უმაგა; 1გ და 2ს: ლილი

**სიდნეი 42:23 ჰამილტონი**

სიდნეი: 5ლ: ვესტი, პინკერტონი, ბერკი, ვოფი, პეინი; 4გ და 3ს: ბერკი
ჰამილტონი: 2ლ: რენდლი, რეიჰანა; 2გ და 3ს: ჰილი

**კეიპტაუნი 24:29 იოჰანესბურგი**

კეიპტაუნი: 2ლ: მონტგომერი, ფან სტრაატენი; 1გ და 4ს: ფან სტრაატენი
იოჰანესბურგი: 2ლ: კოენი, მალდერი; 2გ და 5ს: კოენი

წლევანდელი ზე 12 შარშანდელის ფინალით დაიწყო. პირველ ტურში ავსტრალიურმა კანბერამ ახალზელანდიურ კრაისტჩერჩს უმასპინძლა, ისევე როგორც გასული სეზონის ბოლო მატჩში. მაშინ სტუმრებმა ერთი ქულით (20:19) გაიმარჯვეს და ზედიზედ მესამედ გახდნენ ტურნირის ჩემპიონები. ამჯერად მოვლენები სხვაგვარად წარიმართა და მასპინძლებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს — 51:16. შეჯიბრის ისტორიაში კრაისტჩერჩს უფრო დიდი ანგარიშით მარცხი მხოლოდ ერთხელ, 1996 წელს განუცდია ბრისბენთან (16:52). სტუმრებს აკლდათ თავიანთი მთავარი ძალა, ენდრიუ მერთენსი. „ოლ ბლექსის" დამრტყმელი ტრავმირებულია და შეიძლება მეორე ტურშიც ვერ მიეხმაროს თავისიანებს.

თუმცა წაგებას მხოლოდ მერთენსის არყოფნით ვერავინ გაამართლებს. კანბერასაც არ ჰყავდა ორი წამყვანი მოთამაშე, ლარკემი და გიფინი, მაგრამ მაინც ბრწყინვალედ ითამაშა. მატჩი, ფაქტობრივად, ცალკარა იყო. ავსტრალიელებმა თავიდანვე დიდი ძალებით შეუტიეს მეტოქეს და უკვე პირველ ტაიმში მოახერხეს 11 ქულით დაწინაურება (20:9). შესვენების შემდეგ მათ შეტევის სურვილი არ ჩაცხრომიათ, კიდევ ოთხჯერ დაალელოვეს მეტოქე და პრემიალურ ქულასაც გამოჰკრეს ხელი. კრაისტჩერჩს სანუგეშოდ ისღა დარჩენია, რომ ზე 12-ს ძლიერად არასდროს იწყებს ხოლმე...

სამხრეთ აფრიკაში გაფრენამდე 24 საათით ადრე დანიდინმა ტურნირის ორგზის ჩემპიონი ოკლენდი მიიღო და მოუგო კიდეც. ახალი მე-8 ნომრის, სამიუ ვაჰაფოლაუს ორი და ცენტრ რომი როპატის ერთი ლელოს წყალობით მასპინძლებმა მშვენიერი სტარტი აიღეს. „მთიელების" დაცვა კარგად იყო ორგანიზებული და მათ ძირითადად სწორედ ამის ხარჯზე იმარჯვეს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმში სტუმრებს ორჯერ გაუძევეს კაცი 10-10 წუთით. მსაჯმა კოლინ პოუკმა ყვითელი ბარათი ჯერ ორენე აიის უჩვენა, შემდეგ კი — ჩარლზ რიჩელმენს.

„ლურჯების" მთავარი მწვრთნელი ფრენკ ოლივერი მეტად გულდაწყვეტილი ჩანდა და სამართლიანადაც. მისმა გუნდმა პირველი ორმოცწუთეული უმეტესად მეტოქის ნახევარზე გაატარა, მაგრამ ჰოულეტის ერთი ლელოსა და სპენსერის საჯარიმოს გარდა ვერაფერს გამორჩა. მანამდე კი მასპინძლების ერთ-ერთი იშვიათი შეტევა ვაჰაფოლაუმ დააგვირგვინა. შესვენებამდე ანგარიში 8:8 იყო და თითქოს მეორე ტაიმში ძალიან დაძაბული ბრძოლა უნდა გამართულიყო, მაგრამ ოკლენდელები ერთგვარად აირივნენ, არაზუსტი პასები მოიმრავლეს, უხეშობას უმატეს და დაისაჯნენ კიდეც. ვაჰაფოლაუმ მეორედ გამოიჩინა თავი, ბრაუნმაც ზუსტად შეასრულა გარდასახვა და დანიდინი 15:8 დაწინაურდა.

იქნებ მატჩის ბედის შემობრუნება შევძლოთო და სტუმრები გააფთრებულ იერიშებზე გადავიდნენ, ოღონდ მათ თამაშში ტექნიკური ხარვეზები ვერ აღმოიფხვრა. ჰოდა, სპენსერის სტენლისადმი განკუთვნილი პასი რომი როპატიმ ჩაჭრა, დაახლოებით 40 მეტრი ირბინა და ლელოც მიითვალა. ბოლოს ტონი ბრაუნმა ერთი საჯარიმოც შეაგდო და — 23:8.

დურბანში შარშანდელი ზე 12-ის აუტსაიდერები შეხვდნენ ერთმანეთს. მასპინძლებმა სამჯერ კი დაალელოვეს მოწინააღმდეგე, მაგრამ მათ დამრტყმელ ბაჩ ჯეიმსს რომ არ ეყოჩაღა, შეიძლება გარჯა წყალში ჩაჰყროდა. იოსტ ფან დერ ვესტჰოიზენით გაძლიერებულ „ხარებს" არაფრის დათმობა არ სურდათ და პრეტორიაში უქულოდ გაბრუნებას არ აპირებდნენ. თუმცა მაინც წააგეს. „ზვიგენებს" კი შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, რადგან იმდენი გამარჯვება უკვე მოიპოვეს, რამდენიც შარშან.

შაბათს, ჩვენი დროით გამთენიისას, მარკ მაკბეინის გაწვრთნილმა ბრისბენმა ველინგტონი დააჩოქა და შინ უქულოდ გაუშვა. ჯონ კონოლის შემცვლელმა მაკბეინმა ახალ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე განაცხადა, ჩემი მთავარი მიზანია, გუნდი უფრო სანახაობრივად ავათამაშოო. ვერაფერს იტყვი, აასრულა კიდეც სიტყვა.

საწყის თხუთმეტ წუთში ბურთს თითქმის სულ მასპინძლები ფლობდნენ. ფლეტლი ყოველნაირად ცდილობდა, თავისი სამმეოთხედელები — სტივ კეფუ და დანიელ ჰერბერტი აეთამაშებინა, მაგრამ სტუმრები ხშირად არღვევდნენ თამაშის წესებს. ელტონ ფლეტლიც საკმაოდ ზუსტად ურტყამდა და 26-ე წუთისთვის „ვოლაბთა" წევრის გარჯით „ქვინსლენდელი წითლები" 9:0 დაწინაურდნენ. ბრისბენმა რომ დაინახა, ლელოს გატანა ძლიერ მიჭირსო, საჯარიმოებით ფონს გასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ტაქტიკამ არ გაამართლა.

ერთ-ერთი იშვიათი შეტევისას რამდენიმე ხნის წინ სამმეოთხედელთა ფრთიდან ცენტრში გადაბარგებულმა ტანა უმაგამ ბრედ ფლემინგს მშვენიერი პასი მიაწოდა. მასპინძელთა დამიენ სმიტი კრისტიან კალენს მეურვეობდა, მაგან თუ ბურთი მიიღო, რაღა შეაჩერებსო. სმიტის წამიერი ყოყმანით ფლემინგმა ისარგებლა და ავსტრალიელთა ჩათვლის მოედანსაც უწია. წარმატებამ ახალზელანდიელებს ფრთები შეასხა და მათაც გაათკეცებული ენერგიით შეუტიეს, შედეგად ამჯერად თავად უმაგამ ივაჟკაცა და ლილის გარდასახვასთან ერთად სტუმრები სამი ქულით დაწინაურდნენ — 12:9. თუმცა შესვენებამდე ფლეტლიმ ანგარიშის გათანაბრება მაინც მოახერხა.

მატჩი სამიოდე წუთის განახლებული იყო, როცა ბენ ტიუნის დროებითმა შემცვლელმა ნათან უილიამსმა ბურთი ველინგტონის ლელოს მარჯვენა კუთხეში დაამიწა. ამ პერიოდში სტუმრები რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ, რადგან პირველი ტაიმის მიწურულს ფლემინგმა ყვითელი ბარათი დაიმსახურა. 47-ე წუთზე ლილიმ ანგარიშში სხვაობა საჯარიმოთი შეამცირა (17:15). ამის მერე სტუმრებს წინ გაჭრაც შეეძლოთ, მაგრამ მსაჯმა კალენის ლელო არ ჩათვალა.

დაახლოებით ტაიმის შუაწელში „წითლებისა" და „ვოლაბების" უკანახაზელმა კრის ლეითემმა მეტოქეთა შეცდომა გამოიყენა, ბურთს დაეუფლა და სტუმრები მეორედ დაალელოვა. შემდეგ დამრტყმელებმაც შეაგდეს რამდენიმე საჯარიმო და თამაშის დამთავრებას თითქმის აღარაფერი უკლდა, ბრისბენი 24:18 რომ იგებდა, ანუ ველინგტონი შინ 7 ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის განკუთვნილ ერთ პრემიალურ ქულას წაიღებდა. ეს ამბავი დიდად არ ეჭაშნიკა ჯონ ილზს. ავსტრალიელთა კაპიტანმა, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა, ბოლო საჯარიმოს შესრულება თავად ინება და ახალზელანდიელები შინ უქულოდ გაისტუმრა.

პრემიალური ქულა მოიპოვა სიდნეიმ, ოღონდ — ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის დაწესებული. „უდიდესი ძალისხმევა დაგვჭირდა ამ პრემიალური ქულის მოსახვეჭად. მართალია, ვცოდავდით, მაგრამ მთლიანობაში მაინც ძალიან კარგად ვითამაშეთ" — ასე შეაფასა თავისი გუნდის გარჯა სიდნეელთა დამრტყმელმა მეტ ბერკმა, რომლის ანგარიშზეც 22 ქულაა. სიდნეი წლეულს სულ სხვა გუნდია, ვიდრე შარშან და ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი ახალი მთავარი მწვრთნელის ბობ დვაიერის დამსახურებაა. ეს ის დვაიერია, რომლის ხელმძღვანელობითაც „ვოლაბები" 1991 წელს მსოფლიოს თასს დაეპატრონნენ.

ჰამილტონი კი, შარშანდელის მსგავსად, ახალზელანდიელთა შორის ისევ ყველაზე სუსტ გუნდად ჩანს. მასპინძლები თავიდან 17:0 დაწინაურდნენ და იფიქრეს, ეგაა და მიწასთან გავასწორეთ მეტოქეო და თავს მოდუნების უფლება მისცეს. თუმცა ზე 12-ში რაც უნდა სუსტი იყო, თითქმის გაჩერებულ მეტოქეს მაინც აჯობეს. ჰამილტონმაც ნელ-ნელა გამოასწორა მდგომარეობა და ტაიმი მხოლოდ 13:17 დათმო.

შესვენებაზე დვაიერმა, ეტყობა, კარგად დაუცაცხანა შეგირდებს და მათაც მეორე ნახევარი უფრო ყურადღებით ჩაატარეს. განსაკუთრებით მანუელ ედმონდსი გამოირჩეოდა და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ეს თავად დვაიერმაც აღნიშნა. საბოლოოდ სიდნეიმ 42:23 მოიგო და გათამაშების ცხრილის თანამემამულე კანბერასთან ერთად ხუთი ქულით ჩაუდგა სათავეში.

ტურის ბოლო მატჩი კეიპტაუნში გაიმართა, სადაც სამხრეთაფრიკელთაგან ნახევარფინალში გაღწევის რეალური კანდიდატები შეეჯახნენ ერთმანეთს. მატჩი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა და შარშანდელი ნახევარფინალისტის, იოჰანესბურგის გამარჯვებით დასრულდა. მასპინძელთა ცოდვა ლამის მთლიანად სტუმართა გარე ნახევარმცველმა ლუის კოენმა დაიდო, რომელმაც ლელოთი, ორი გარდასახვითა და ხუთი საჯარიმოთი იმდენივე ქულა გააკეთა, რაც მთელმა კეიპტაუნმა ერთად.

**გაგი გურული**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი რგოლი

# გახდება ოსაკა ტოკიო?

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ წარგზავნილი 17-კაციანი ინსპექტორთა რაზმი, რომელსაც ამავე ორგანიზაციის წევრი ჰეინ ვერბრიუგენი მთავარსარდლობს, ჩინეთიდან იაპონიას გადაფრინდა. მისი მიზანია, დაზვეროს და შეისწავლოს ამომავალი მზის ქვეყნის დასავლეთით მდებარე მეტროპოლისი ოსაკა.

ოსაკას, რომელიც რომელიც იაპონიაში სიდიდით მხოლოდ ტოკიოსა და იოკოჰამას ჩამოუვარდება, პეკინის, ტორონტოს, პარიზისა და სტამბოლის დარად 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა სურს. ოსაკელებს სჯერათ, რომ თუ მათი ქალაქი ასეთ პატივს მოიპოვებს, ისეთივე ცნობ გახდება, როგორიც ტოკიოა.

— როდესაც ხალხი იაპონიაზე ფიქრობს, მათ მხოლოდ ტოკიო ახსენდებათ — ამბობს ერთ-ერთი ოსაკელი.

გახდება თუ არა ოსაკა ტოკიო, ამას 134 დღეში შევიტყობთ, მანამდე კი კანსაის საერთაშორისო აეროპორტში გადავინაცვლოთ. იქ მასპინძლებმა სოკელ კომისრებს კიმონოში გამოწყობილი გოგონა მიაგებეს. გოგონას „ზურგს უმაგრებდნენ" ქალაქის მერი ტაკასუმი ისომურა და საგარეო საქმეთა მინისტრი იოჰეი კონო.

ჩასვლისთანავე ინსპექტორთა „კაპიტანმა" ვერბრიუგენმა იაპონელები „დაამშვიდა", მზად ვართ, თქვენი ქალაქი თხემით ტერფამდე შევისწავლოთო.

ოსაკასათვის ოლიმპიადის მასპინძლობის შანსებს თავისებურად აფასებენ ქალაქელებიც. ზოგს მიაჩნია, რომ წარმატების არანაირი იმედი არ უნდა ჰქონდეთ, ნაწილი კი საერთოდ წინააღმდეგია ოლიმპიადის მასპინძლობისა. ისინი ფიქრობენ, რომ ეს უფრო დაამძიმებს ისედაც ვალებში ჩაფლული ქალაქის მდგომარეობას, რომელსაც მუნიციპალიტეტის თითქმის ხუთი ტრილიონი იენი (42, 88 მილიარდი აშშ დოლარი) მართებსო.

ოპონენტები პირიქით ფიქრობენ და აცხადებენ, რომ ოსაკას ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ოლიმპიადის მასპინძლობა უებარი საშუალებაა.

— ვფიქრობ, ოლიმპიადა ოსაკას დასასუსტებელ ეკონომიკას მოაღონიერებს — აცხადებს ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელი.

ასეა თუ ისე, იკამათებენ მანამ, სანამ არ გაცხადდება ის რჩეული, რომელიც ამ გრანდიოზული ღონისძიების ჩატარების უფლებას მოიპოვებს.

მიუხედავად იმისა, რომ ოსაკა სტამბოლთან ერთად აუტსაიდერად ითვლება, იმედიანადაა ქალაქის მერი.

— იმ ქალაქებთან შედარებით, რომლებსაც ოლიმპიადის მასპინძლობა სურთ, ოსაკას საუკეთესო ინფრასტრუქტურა და სპორტული ნაგებობები გააჩნია. სწორედ ამაზე უნდა მივუთითოთ სოკ-ს — თქვა ტაკასუმო ისომურამ და ოსაკას იაპონიის ჩიკაგო უწოდა.

# ნაცნობი ისტორია უცნობი ამბით, ლირიკული გადახვევითა და მოსალოდნელი ეპილოგით



სიდნეის ოლიმპიადის გახსნა: კეტი ფრიმენმა ოლიმპიური ცეცხლი აანთო

### ნაცნობი ისტორია

სიდნეის ოლიმპიური თამაშების გახსნის მრავალსაათიანი საზეიმო ცერემონიალი ბოლოს იმით სრულდება, რომ სტადიონის ფიალაზე ოლიმპიიდან წამოღებულ ცეცხლს აგუზგუზებენ.

ამგუზგუზებელი ჩაცმულობითაც ყველასგან გამორჩეულია. მისკენ ჩვენი პლანეტის 3,7 მილიარდ მაყურებელს მიუპყრია მზერა. რჩეული 400 მეტრზე რბენაში ატლანტის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი და სიდნეის მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრალიელი აბორიგენი კეტი ფრიმენია.

მაყურებელი ოვაციებით ეგებება ფრიმენს.

ფრიმენმა ოლიმპიური ჩირაღდანი აღმართა, მერე კი კიბეზე აირბინა. მის წინ ტერასიდან წყალი ჩანჩქერივით გადმოედინება.

ფრიმენმა წყალში შეაბიჯა, ჩირაღდანი დახარა და შემდეგ რაღაც რკალის მაგვარი შემოხაზა.

წყალს ცეცხლი მოედო. მერე ცეცხლოვანი რკალი წყალს გამოეყო და ზემოთ, კენწეროსკენ დაიძრა.

აბორიგენთა სიამაყე წყალში დარჩა.

სტადიონზე შეკრებილნი ამ სანახაობით გაოგნებულან, მთავარი მოქმედი გმირი კი გალუმპულა, მაგრამ ცეცხლოვანი პოდიუმის ამბავი ამით არ გასრულებულა.

### „ლირიკული" გადახვევა

კეტი ფრიმენის მიერ ოლიმპიური ცეცხლის დანთების ამსახველი სატელევიზიო კადრები 2 000 წლის სახედ ალიარეს. ამასთან დაკავშირებით ტელეტრანსლაციის ოფიციალურმა ორგანიზატორმა „SYDNEY OLIMPIC BROADCASTING ORGANISATION"-მა (SOBO) მონტე კარლოში მიიღო საპატიო პრიზი, ეგრეთ წოდებული SPORTEL-ის „ოქროს პოდიუმი".

კეტი ფრიმენის ცეცხლოვან პოდიუმთან დაკავშირებული ამბები არც ამით გასრულებულა. ცოტამ თუ იცის, რა მოხდა მერე, როცა სიდნეის ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ფრიმენი კოსტიუმის, უფრო სწორედ კომბინიზონის გამოსაცვლელად გაემართა. კი ბატონო, გამოიცვალა.

გამოიცვალა და...

### უცნობი ამბავი

კეტი ფრიმენის წარმომადგენელი გევინ დევისი: „მთელი ამ პროცესის განმავლობაში კოსტიუმი დასველდა. ამიტომ მისი გამოცვლა გახდა საჭირო.

ამის მერე კოსტიუმი გაქრა. ეტყობა, მოიპარეს. ეს იყო ღირსსახსოვარი მოვლენა. ამიტომაც ფრიმენს იმ კოსტიუმის, როგორც სამახსოვრო ნივთის, დაბრუნება სურს".

ინციდენტის მერე დევისი აცხადებს, რომ სიდნეის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ფრიმენს იმ კომბინიზონის ასლი გადასცეს, თუმცა „დაზარალებულს" ორიგინალი სურს. ორიგინალი ორგანიზატორებს 50 ათასი ავსტრალიური დოლარი (26, 650 აშშ დოლარი) დაუჯდათ.

### მოსალოდნელი ეპილოგი

რამდენიმე ან ათეული წლის შემდეგ აუქციონზე იყიდება სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების მთავარი მეჩირაღდნის კოსტიუმი.

რამდენიმე ათეული ათასი ერთი, ათეული ათასი ორი...

გაყიდულია!

მყიდველი ვინაა?

**გიგა გურასაშვილი**

## სლოვენია

# კოტე ტულუში ხასიათზეა

XX ტური

კრკა — ჰელიოსი 85:80, როგლა — ტრიგლავი 75:76, ლოკა კავა — კემოპლასტი 89:90, პივოვარნა — კრაშკი ზიდარი 84:73, ზაგორიე — ოლიმპია 78:115

**სლოვანი 100:77 სავინსკი**

სლოვანი: პავიჩი (21), ჯურკოვიჩი (18), ლაკოვიჩი (16), გრბეშიჩი (11), მარავიჩი (11), ნოვაკი (7), ცქიტიშვილი (14 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა), უგრეხელიძე (18 წუთი, 6 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი), ტულუში (10 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა), კოკალი

სავინსკი: რუჩიგაი (17), ციზეი (12), კადიჩი (11), ჰიუზი (10), მილაჩიჩი (8), ჩატოვიჩი (7), გორიუპი (5), კობალე (3), იოვანოვიჩი (2), სიმიჩი (2), პრიმცი

XXI ტური

სავინსკი — როგლა 79:82, ტრიგლავი — კრკა 81:91, ჰელიოსი — ლოკა კავა 87:71, კემოპლასტი — პივოვარნა 96:102, კრაშკი ზიდარი — ოლიმპია 57:82

**სლოვანი 101:91 ზაგორიე**

სლოვანი: ლაკოვიჩი (17), პავიჩი (16), ნოვაკი (14), კოკალი (13), ჯურკოვიჩი (10), **უგრეხელიძე** (26 წუთი, 9 ქულა, 2 მოხსნა), **ცქიტიშვილი** (18 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა), მარავიჩი (6), ჟაკელი (6), **ტულუში** (1 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა), გრბეშიჩი (2)

ზაგორიე: ჩოპი (20), ლებანი (16), პრიმორაცი (13), რიტუპერი (10), ბუკვა (9), კანჟიჩი (9), კლეპო (9), სუბოტიჩი (5)

**ლიუბლიანის** „სლოვანმა", სადაც ოთხი ჩვენებური კალათბურთელი თამაშობს, ოთხმატჩიან წაგებათა ციკლს წარმატებული სვლა შეუნაცვლა. სტუმრად „ტრიგლავის" ძლევის შემდეგ „სლოვანმა" „სავინსკის" და „ზაგორიეს" უმასპინძლა და ორივე შეხვედრა თავისთვის სასურველი შედეგით დაამთავრა. მოედანზე კვლავ არ გამოჩენილა „სლოვანისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი ვლადიმერ ბოისა. ფეხის ტრავმის შემდეგ მან სრულფასოვანი ვარჯიში კი დაიწყო, მაგრამ ვოვას თამაშში ჩართვას, ჩანს, კვლავაც ერიდება „სლოვანის" მთავარი მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი.

„ახლა უკვე სრულ მზადყოფნაში ვარ. მეგონა, „ზაგორიესთან" მათამაშებდა მწვრთნელი, მაგრამ მაჰორიჩმა ამჯერადაც თავი შეიკავა. მატჩის შემდეგ მიზეზს რომ დავეკითხე, მითხრა, რომ მე მას ექვსეულის თამაშებისთვის უფრო მეტად ვჭირდები და ეშინია, მანამდე ტრავმა არ გამიმიზეზდეს. ჩემი უთამაშებლობის მიზეზი ისიცაა, რომ გუნდის წამყვან უკანახაზელებს, ჟაკელს და კოვაჩს, ტრავმები აწუხებთ და მათ ნაცვლად მაჰორიჩმა სწორედ ამ რგოლის მოთამაშეები შეიყვანა შემადგენლობაში" — გვითხრა ვლადიმერ ბოისამ, რომელსაც გუშინ სლოვენიაში დავუკავშირდით.

ახლა დანარჩენ „სლოვენიელებზეც" ვთქვათ. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ „სლოვანის" უკანასკნელ ორ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ამ კლუბის კიდევ ერთმა ქართველმა ახალწვეულმა კოტე ტულუშმა. ბოისასგან შევიტყვეთ, რომ მაჰორიჩი კოტეს ძირითადად გამთამაშებლობას ავალებს და მისი თამაშით კმაყოფილიც გახლავთ. ყველაზე მეტად მწვრთნელს თურმე ტულუშის შეუპოვარი ხასიათი მოსწონს, სულ იმას ამბობს, უშიშარი ბიჭიაო.

„სავინსკისთან" ტულუშმა 10 წუთი გაატარა მოედანზე და საკმაოდ ნაყოფიერადაც. ოთხ ქულასთან ერთად კოტემ 3 მოხსნაც მიითვალა, რაც გამთამაშებლის კვალობაზე საკმაოდ კარგი შედეგია. დავით უგრეხელიძის საამმატჩო მონაგარი 6 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი გახლავთ, ნიკა ცქიტიშვილმა კი 14 წუთში ასევე 6 ქულა და 2 მოხსნა დააგროვა.

„ზაგორიესთან" ტულუშმა მხოლოდ ერთი წუთი დაჰყო მოედანზე, თუმც თავის გამოჩენა მაინც მოასწრო: 2 ქულა, 1 მოხსნა. უგრეხელიძე 9, ცქიტიშვილი კი 6 ქულით შეეწივნენ გუნდს. ამათ ანგარიშზე შესაბამისად 2 და 4 მოხსნაც მოდის, ცქიტიშვილმა ერთი ჩაჭრაც გაახერხა.

გუშინ „სლოვანი" ამხანაგურ მატჩს გამართავდა „ჰელიოსთან". ამ შეხვედრაში, ალბათ, აუცილებლად ითამაშებდა ვლადიმერ ბოისაც. მაჰორიჩს ვოვასთვის ამის შესახებ დილის ვარჯიშზე უცნობებია.



კოტე ტულუშს „სლოვანში" შეუპოვრობას უქებენ

შაბათს „სლოვანი" „როგლას" ესტუმრება და ამით რეგულარულ ჩემპიონატსაც დაამთავრებს, კვირის თავზე კი ექვსეულის თამაშებიც დაიწყება.

**გიორგი გიძაშვილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 21 | 20 | 1 | 1997:1391 | 41 |
| კრკა | 21 | 20 | 1 | 1847:1540 | 41 |
| პივოვარნა | 21 | 14 | 7 | 1872:1780 | 35 |
| სლოვანი | 21 | 13 | 8 | 1725:1652 | 34 |
| კრაშკი ზიდარი | 21 | 11 | 10 | 1593:1692 | 32 |
| როგლა | 21 | 10 | 11 | 1744:1801 | 31 |
| ჰელიოსი | 21 | 9 | 12 | 1686:1701 | 30 |
| კემოპლასტი | 21 | 8 | 13 | 1855:1905 | 29 |
| ტრიგლავი | 21 | 8 | 13 | 1570:1676 | 29 |
| სავინსკი | 21 | 5 | 16 | 1640:1859 | 26 |
| ზაგორიე | 21 | 5 | 16 | 1681:1914 | 26 |
| ლოკა კავა | 21 | 3 | 18 | 1631:1929 | 24 |

## საფრანგეთი

# მესამე სამი თვის თავზე

XIX ტური

რასინგი — შალონი 58:69, მონპელიე — გრაველინი 87:79, დიჟონი — ანტიბი 78:72, პო ორტეზი — ბურგი 88:69, ბეზანსონი — შოლე 69:83, ლე მანი — ევრე 96:72, სტრასბური — ნანსი 86:69, ვილერბანი — ლე ავრი 108:71

**შაბათ** საღამოს მშობლიურ „ასტრობალში" „ლე ავრის" იოლად დამარცხების შემდეგ „ვილერბანმა" ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და თავიანთი გამარჯვება წამითაც არ დაუყენებიათ ეჭვქვეშ. ჰავრელებს ტრავმების გამო ორი ტანმაღალი კალათბურთელი — ტოფენი და ჯონსი აკლდათ, ამიტომაც ვილერბანელები ყოველნაირად ცდილობდნენ, თამაში ფარქვეშ გადაეტანათ. ამით მათი ცენტრი ფრიგუ დიდად ხეირობდა და ყველაზე შედეგიანიც იყო თავისიანთა შორის (23 ქულა). საფრანგეთის ნაკრების წევრმა ფრიგუმ პირველ მეოთხედში 12 ქულას მოუყარა თავი, პაშუტინი (20 ქულა) და ედვარდსიც (18 ქულა) მიეხმარნენ და „ვილერბანმა" საწყისი 10 წუთი 29:17 მოიგო, მე-12 წუთზე კი უკვე 41:19 დაწინაურდა.

თუმცა გორის კარგი თამაშის წყალობით (26 ქულა) ნორმანდიელებმა ტაიმის დასრულებამდე ცოტათი შეძლეს ანგარიშში სხვაობის შემცირება და მეორე ნახევარიც ალმავლობით დაიწყეს. 24-ე წუთზე ისინი 11 ქულამდე (60:49) მიუახლოვდნენ მეტოქეს, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ მოახერხეს და მწარე მარცხი იწვნიეს. „ვილერბანმა" ამ სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით გაიმარჯვა.

ასევე იოლად აჯობა „პო ორტეზმა" პრო A-ს მეორე დებიუტანტ „ბურგს", რომელსაც პირველ წრეშიც მოუგო. ბეარნელები წინა ტურში ანტიბში, შემდეგ კი სუპროლიგაში, ლევერკუზენში სუსტი თამაშის შემდეგ, ეტყობა, გამოერკვნენ და მეთორმეტე საშინაო გამარჯვება მიითვალეს. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდნენ და ტაიმი თითქმის ოცი ქულით (51:33) მოიგეს, რაც განსაკუთრებით მათი გამთამაშებლის, ფოტუს (17 ქულა) დამსახურებაა. პოელებმა ხუთშაბათს თელ ავივის „მაკაბისთან" შეხვედრისთვის ძალები შემოინახეს და მეორე ტაიმში მოედანი სათადარიგოებს დაუთმეს, რომლებმაც ანგარიშში სხვაობა ოდნავლა გაზარდეს.

ტურის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული მატჩი დიჟონში გაიმართა. იქაურებმა თამაში ცოტა მძიმედ დაიწყეს და მხოლოდ თავიანთ ახალწვეულ ბერგერსენს უნდა უმადლოდნენ, რომ პირველი მეოთხედი 19:18 მოიგეს. შემდეგ დიჟონელებმა დაცვა გააძლიერეს და „ანტიბი" უფრო ჩამორჩა (მე-17 წუთი, 38:26). სტუმრებმა მერე შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და ლეარის წყალობით (21 ქულა) ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდეც შეამცირეს. მატჩის ბოლო წუთები კი დიჟონელებმა უფრო მობილიზებულად ჩაატარეს და დამსახურებულადაც მოიგეს.

30 ნოემბრის შემდეგ გაუხარებელმა „მონპელიემ" შაბათს, როგორც იქნა, მესამე საშინაო გამარჯვება მოიპოვა. თავიდან ნელჩამ გაილაღა და მასპინძლები 13:9 დააწინაურა. თუმცა შემდეგ სტრონგის (30 ქულა) სამქულიანების წყალობით „გრაველინმა" მატჩის სათავისოდ შემობრუნება შეძლო და მე-8 წუთზე 26:17 წინაც გაიჭრა, ხუთ წუთში კი სულაც 19-ქულიანი (39:20) უპირატესობა მოიპოვა. ამ დროს „მონპელიეს" ფინელმა ლეგიონერმა კუისმამ გამოიღო ხელი და ზედიზედ ცხრა ქულა მოიხვეჭა, რითაც თავისიანებს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა. მართალია, ფინელს მეტი ქულა აღარ გაუკეთებია, მაგრამ სხვებმა ივაჟკაცეს და მასპინძლებმა ტაიმი მხოლოდ 46:49 დათმეს. ანგარიშში ასეთი სხვაობა თითქმის ბოლომდე არ შეცვლილა, საფინალო სირენამდე სამიოდ წუთით ადრე კი „მონპელიემ" იფეთქა და სამი თვის თავზე საკუთარი მაყურებლის თვალწინ იმარჯვა.

**გაგი გურული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 18 | 17 | 1 | 1508:1241 | 35 |
| ლე მანი | 19 | 13 | 6 | 1623:1522 | 32 |
| სტრასბური | 18 | 13 | 5 | 1486:1326 | 31 |
| შალონი | 19 | 12 | 7 | 1374:1340 | 31 |
| პო ორტეზი | 18 | 12 | 6 | 1483:1334 | 30 |
| ნანსი | 19 | 11 | 8 | 1518:1467 | 30 |
| რასინგი | 19 | 10 | 9 | 1420:1415 | 29 |
| დიჟონი | 18 | 10 | 8 | 1375:1294 | 28 |
| შოლე | 19 | 9 | 10 | 1507:1469 | 28 |
| ანტიბი | 19 | 9 | 10 | 1500:1500 | 28 |
| ბურგი | 19 | 7 | 12 | 1442:1535 | 26 |
| გრაველინი | 17 | 7 | 10 | 1425:1454 | 24 |
| ევრე | 19 | 4 | 15 | 1471:1629 | 23 |
| მონპელიე | 18 | 5 | 13 | 1457:1617 | 23 |
| ბეზანსონი | 19 | 4 | 15 | 1365:1584 | 23 |
| ლე ავრი | 18 | 5 | 13 | 1339:1566 | 23 |



AFP სტრასბურიდან

სტრასბური — ნანსი. მაიკლ ჯეიმსი სტრასბურელ დევიდ რობინსონს გაექცა

## საბერძნეთი

XVI ტური

პაოკ — არისი 77:76, დაფნი — ირაკლიონი 93:91, მარუსი — პერისტერი 82:87, ნიარ ისტი — მილონი 93:74, ირაკლისი — აეკ 82:80, მაკედონიკოსი — ოლიმპიაკოსი 66:70, პანათინაიკოსი — პანიონიოსი 82:68

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პერისტერი | 16 | 15 | 1 | 1289:1147 | 31 |
| ოლიმპიაკოსი | 16 | 15 | 1 | 1335:1141 | 31 |
| პანათინაიკოსი | 16 | 13 | 3 | 1336:1166 | 29 |
| აეკ | 16 | 12 | 4 | 1337:1183 | 28 |
| პანიონიოსი | 16 | 10 | 6 | 1378:1251 | 26 |
| ირაკლისი | 16 | 10 | 6 | 1367:1335 | 26 |
| პაოკ | 16 | 8 | 8 | 1191:1215 | 24 |
| მარუსი | 16 | 7 | 9 | 1374:1364 | 23 |
| ნიარ ისტი | 16 | 5 | 11 | 1273:1353 | 21 |
| დაფნი | 16 | 5 | 11 | 1269:1317 | 21 |
| არისი | 16 | 4 | 12 | 1209:1347 | 20 |
| ირაკლიონი | 16 | 4 | 12 | 1296:1404 | 20 |
| მილონი | 16 | 3 | 13 | 1294:1506 | 19 |
| მაკედონიკოსი | 16 | 1 | 15 | 1215:1434 | 17 |

## ესპანეთი

XXII ტური

ხირონა — კოსტაბლანკა 85:72, ბრეოგანი — პამესა 62:64, ესტუდიანტესი — ტაუ 75:88, ფორუმი — კანარიასი 95:82, ბარსელონა — ფუენლაბრადა 81:58, ორენსე — უნიკახა 69:77, კასერესი — კანტაბრია 88:71, ხუვენტუდი — რეალი 59:73, ხიხონი — კახა სან ფერნანდო 69:73

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 22 | 20 | 2 | 1985:1669 | 42 |
| უნიკახა | 22 | 17 | 5 | 1890:1677 | 39 |
| პამესა | 22 | 17 | 5 | 1828:1672 | 39 |
| რეალი | 22 | 17 | 5 | 1766:1618 | 39 |
| ტაუ | 22 | 16 | 6 | 1898:1656 | 38 |
| ფუენლაბრადა | 22 | 13 | 9 | 1815:1736 | 35 |
| ესტუდიანტესი | 22 | 12 | 10 | 1776:1774 | 34 |
| ფორუმი | 22 | 11 | 11 | 1819:1785 | 33 |
| სან ფერნანდო | 22 | 10 | 12 | 1699:1715 | 32 |
| კასერესი | 22 | 10 | 12 | 1655:1717 | 32 |
| ხირონა | 22 | 9 | 13 | 1731:1758 | 31 |
| კანარიასი | 22 | 9 | 13 | 1701:1851 | 31 |
| ხუვენტუდი | 22 | 7 | 15 | 1730:1813 | 29 |
| ბრეოგანი | 22 | 7 | 15 | 1720:1803 | 29 |
| კანტაბრია | 22 | 7 | 15 | 1603:1843 | 29 |
| ორენსე | 22 | 6 | 16 | 1649:1793 | 28 |
| ხიხონი | 22 | 5 | 17 | 1685:1825 | 27 |
| კოსტაბლანკა | 22 | 5 | 17 | 1685:1825 | 27 |

## იტალია

XXIII ტური

იმოლა — ფორტიტუდო 81:90, მონტეკატინი — მიულერი 113:100, სკავოლინი — ტრიესტი 70:67, სნაიდერო — ადეკო 88:94, სიენა — აეროპორტი 79:71, ვარეზე — რიმინი 108:88, რეჯანა — კანტუ 93:95, კინდერი — აველინო 99:83, ბენეტონი — კორდივარი გადაიდო

XXIV ტური

ტრიესტი — რეჯანა 84:77, მონტეკატინი — კინდერი 80:93, ფორტიტუდო — სიენა 76:66, ბენეტონი — სკავოლინი 91:90, რიმინი — აეროპორტი 78:96, ადეკო — იმოლა 103:100, მიულერი — ვარეზე 104:101, აველინო — კანტუ 75:76, კორდივარი — სნაიდერო 86:70

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 24 | 23 | 1 | 2140:1755 | 47 |
| ფორტიტუდო | 24 | 17 | 7 | 1931:1744 | 41 |
| სკავოლინი | 24 | 16 | 8 | 2112:1949 | 40 |
| აეროპორტი | 24 | 16 | 8 | 1990:1920 | 40 |
| ბენეტონი | 23 | 14 | 9 | 1943:1850 | 37 |
| სიენა | 24 | 13 | 11 | 1937:1889 | 37 |
| მიულერი | 24 | 13 | 11 | 2208:2224 | 37 |
| კორდივარი | 23 | 13 | 10 | 1874:1854 | 36 |
| სნაიდერო | 24 | 11 | 13 | 1968:1988 | 35 |
| აველინო | 24 | 10 | 14 | 1976:2028 | 34 |
| რიმინი | 24 | 10 | 14 | 2073:2148 | 34 |
| მონტეკატინი | 24 | 10 | 14 | 2005:2100 | 34 |
| ადეკო | 24 | 10 | 14 | 2041:2177 | 34 |
| რეჯანა | 24 | 8 | 16 | 2025:2101 | 32 |
| კანტუ | 24 | 8 | 16 | 1897:1999 | 32 |
| ტრიესტი | 24 | 8 | 16 | 1874:1983 | 32 |
| ვარეზე | 24 | 8 | 16 | 2126:2239 | 32 |
| იმოლა | 24 | 7 | 17 | 2050:2222 | 31 |

## თურქეთი

XVIII ტური

ანტბირლიკი — ტელეკომი 88:108, ბუიუქ კოლეჯი — ტროი 112:92, დარუშაფაკა — გალათასარაი 79:91, ეფესი — ბეშიქთაში 94:88, ქარშიაქა — მაიდენოსი 83:75, ალთაი — ქომბასანი 83:90

**ულქერი 85:77 ფენერბაჰჩე**

ულქერი: ლოლისი (9), ჰენდლოგტენი (24), გოლიოვიჩი (14), ერდენაი (13), გიულერი, აჩიკი (10), გონლუმი (8), ილდირიმი (7), სარიჯა (2)

ფენერბაჰჩე: ფარსი (2), ბერდი (10), აბი (9), ენდენი (6), თექინალფი, ევლიაოღლუ (18), მილზი (16), ლუკოვსკი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დარუშაფაკა | 18 | 15 | 3 | 1456:1307 | 33 |
| ულქერი | 18 | 15 | 3 | 1617:1368 | 33 |
| ეფესი | 18 | 14 | 4 | 1550:1388 | 32 |
| ტელეკომი | 18 | 13 | 5 | 1519:1396 | 31 |
| ფენერბაჰჩე | 18 | 12 | 6 | 1497:1389 | 30 |
| ბეშიქთაში | 18 | 11 | 7 | 1539:1463 | 29 |
| ტროი | 18 | 10 | 8 | 1557:1513 | 28 |
| ქარშიაქა | 18 | 8 | 10 | 1568:1568 | 26 |
| ქომბასანი | 18 | 7 | 11 | 1456:1609 | 25 |
| მაიდენოსი | 18 | 6 | 12 | 1384:1425 | 24 |
| ბუიუქ კოლეჯი | 18 | 5 | 13 | 1467:1538 | 23 |
| გალათასარაი | 18 | 5 | 13 | 1337:1422 | 23 |
| ანტბირლიკი | 18 | 3 | 15 | 1392:1719 | 21 |
| ალთაი | 18 | 2 | 16 | 1360:1594 | 20 |

**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპის ჩემპიონატი

EUROBASKET 2001

31 აგვისტო 9 სექტემბერი.
ანკარა, ანთალია, სტამბოლი (თურქეთი)

# დიდთა ნახელავი

## ევრობასკეტ-2001 ვარსკვლავებმა დაალაგეს

*31 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე თურქეთის ქალაქებში ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატი გაიმართება. გუშინწინ სტამბოლში ამ შეჯიბრების კენჭისყრა მოეწყო. თექვსმეტი ნაკრები ოთხ ჯგუფში განაწილდა და ჯგუფური ეტაპის განრიგიც გაირკვა.*

*ორგანიზატორებმა მრავალი სტუმარი მიიწვიეს, ხოლო ევროკალათბურთის წარსულის თექვსმეტი დიდი მოთამაშე უშუალოდ კენჭისყრაში ჩართეს. თითო ქვეყანას თითო ვეტერანი კალათბურთელი წარმოადგენდა, ისინი ილებდნენ კალათებიდან ბურთულებს და თავ-თავიანთ გუნდებს ამა თუ იმ ჯგუფში ადგილს უჩენდნენ. მიკი ბერკოვიცის (ისრაელი), დრაჟენ დალიპაგიჩის (იუგოსლავია), ვლადიმირ ტკაჩენკოს (რუსეთი), ხოსე მონტეროს (ესპანეთი), ჯუზეპე ჯერჯას (ხორვატია), დინო მენეგინის (იტალია), ერვე დიუბისონის (საფრანგეთი), შარუნას მარჩულიონისის (ლიტვა), ეფე აიდანის (თურქეთი) და სხვათა ხელებმა ეს დაადგინეს:*

| **A ჯგუფი.** ანკარა |
|---|
| საფრანგეთი<br>ლიტვა<br>ისრაელი<br>უკრაინა |
| 31 აგვისტო |
| **ისრაელი — საფრანგეთი** |
| **უკრაინა — ლიტვა** |
| 1 სექტემბერი |
| **ლიტვა — ისრაელი** |
| **საფრანგეთი — უკრაინა** |
| 2 სექტემბერი |
| **საფრანგეთი — ლიტვა** |
| **უკრაინა — ისრაელი** |

| **B ჯგუფი.** ანკარა |
|---|
| ესპანეთი<br>თურქეთი<br>სლოვენია<br>ლატვია |
| 31 აგვისტო |
| **სლოვენია — ესპანეთი** |
| **ლატვია — თურქეთი** |
| 1 სექტემბერი |
| **თურქეთი — სლოვენია** |
| **ესპანეთი — ლატვია** |
| 2 სექტემბერი |
| **ესპანეთი — თურქეთი** |
| **ლატვია — სლოვენია** |

| **C ჯგუფი.** ანთალია |
|---|
| იუგოსლავია<br>გერმანია<br>ხორვატია<br>ესტონეთი |
| 31 აგვისტო |
| **ხორვატია — იუგოსლავია** |
| **ესტონეთი — გერმანია** |
| 1 სექტემბერი |
| **გერმანია — ხორვატია** |
| **იუგოსლავია — ესტონეთი** |
| 2 სექტემბერი |
| **იუგოსლავია — გერმანია** |
| **ესტონეთი — ხორვატია** |

| **D ჯგუფი.** ანთალია |
|---|
| იტალია<br>რუსეთი<br>საბერძნეთი<br>ბოსნია |
| 31 აგვისტო |
| **საბერძნეთი — იტალია** |
| **ბოსნია — რუსეთი** |
| 1 სექტემბერი |
| **რუსეთი — საბერძნეთი** |
| **იტალია — ბოსნია** |
| 2 სექტემბერი |
| **იტალია — რუსეთი** |
| **ბოსნია — საბერძნეთი** |

| ჯვარედინი სანუგეშო მატჩები | | | |
|---|---|---|---|
| 3 სექტემბერი | | | |
| ანკარა | | ანთალია | |
| **მატჩი №25:** | **A2-B3** | **მატჩი №27:** | **C2-D3** |
| **მატჩი №26:** | **B2-A3** | **მატჩი №28:** | **D2-C3** |

| მეოთხედფინალი | | | |
|---|---|---|---|
| სტამბოლი | | | |
| 5 სექტემბერი | | 6 სექტემბერი | |
| **მატჩი №29:** | **A1-№27 მოგ** | **მატჩი №31:** | **C1-№25 მოგ** |
| **მატჩი №30:** | **B1-№28 მოგ** | **მატჩი №32:** | **D1-№26 მოგ** |

| ნახევარფინალი | | | |
|---|---|---|---|
| სტამბოლი | | | |
| 8 სექტემბერი | | | |
| **მატჩი №35:** | **№29 მოგ-№30 მოგ** | **მატჩი №36:** | **№31 მოგ-№32 მოგ** |

| მესამე ადგილისთვის |
|---|
| სტამბოლი |
| 9 სექტემბერი |
| **№35 წაგ-№36 წაგ** |

| ფინალი |
|---|
| სტამბოლი |
| 9 სექტემბერი |
| **№35 მოგ-№36 მოგ** |

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ალენმა ალენს აჯობა

26 თებერვალი

**ფილადელფია 91:98 მილუოკი**

ფილადელფია: აივერსონი (26), მუტომბო (21 ქულა, 16 მოხსნა), ჰილი (20 ქულა, 10 მოხსნა)

მილუოკი: ალენი (42), რობინსონი (19), კასელი (17)

**ბოსტონი 85:82 სიეტლი**

ბოსტონი: უოლკერი (25 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), პირსი (24)

სიეტლი: ვილიამსი (21), პეიტონი (20)

**შარლოტი 82:72 ინდიანა**

შარლოტი: მაშბურნი (24 ქულა, 11 მოხსნა)

ინდიანა: როუზი (26), მილერი (24), ონილი (11 ქულა, 16 მოხსნა, 6 დაფარება)

**ჩიკაგო 78:84 გოლდენ სტეიტი**

ჩიკაგო: ბრენდი (24 ქულა, 12 მოხსნა), ჰოიბერგი (18 ქულა, 10 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (24 ქულა, 12 მოხსნა)

**ჰიუსტონი 89:95 პორტლენდი**

ჰიუსტონი: ოლაჯუონი (16 ქულა, 11 მოხსნა), ანდერსონი (15)

პორტლენდი: ვოლესი (27), სტუდემაიერი (18)

**დენვერი 86:93 ორლანდო**

დენვერი: მაკდაიესი (24 ქულა, 21 მოხსნა), ლაფრენცი (17 ქულა, 9 მოხსნა, 6 დაფარება)

ორლანდო: მაკგრეიდი (36 ქულა, 12 მოხსნა)

**იუტა 99:82 ატლანტა**

იუტა: მელოუნი (21), სტოქტონი (14 ქულა, 10 პასი)

ატლანტა: ტერი (22), ჰენდერსონი (18), მუჰამედი (16)

**კლიპერსი 92:103 დალასი**

კლიპერსი: ოდომი (22 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი)

დალასი: ფინლი (23), ნოვიცკი (22)



REUTERS

ფილადელფია — მილუოკი. დიკემბე მუტომბომ (მარცხნივ) მილუოკელ ერვინ ჯონსონს ჩაუტენა

დიკემბე მუტომბოს ლიგის საუკეთესო ფართამპყრობელის სახელი კი დაუგდია, მაგრამ მისი თამაში გუნდისთვის ავტომატურ გამარჯვებას რომ არ ნიშნავს, ამაში „ფილადელფიაც" დარწმუნდა. ლიგის პირველ მომხსნელს ურიგოდ არ უთამაშია, იგი „სიქსერზში" თავის მესამე, ახალ ქალაქში კი პირველ შეხვედრას ატარებდა და 16 მოხსნასთან ერთად შეტევაშიც რიგიანად გაისარჯა, 21 ქულა გააზერხა. თუმც „ფილადელფია" მაინც დამარცხდა. იმ დღეს ატლანტიკის დივიზიონში, აღმოსავლეთ კონფერენციასა და ლიგაში პირველი „სიქსერზი" კონფერენციის მეორე გუნდს, „მილუოკის" მასპინძლობდა და მუტომბოს გარდა ალენ აივერსონის იმედიც ჰქონდა. ამ უკანასკნელმა კი, რომელიც ზოგადად გაცილებით უკეთესი მოთამაშეა, ვიდრე მილუოკელი რეი ალენი, მასთან პირადი დუელი პირწმინდად წააგო. სიდნეის ოლიმპიადის ოქროს მედალოსან ალენს ერთი სურვილი ამოძრავებდა — აივერსონისთვის ეჯობნა, რადგან კარგად ახსოვდა მილუოკური შეხვედრა, სადაც ფილადელფიელმა დაჩაგრა და 49 ქულას მოუყარა თავი. ახლა კი მილუოკელის ჯერი იყო, რევანშიც სრულფასოვნად შედგა: რეი ალენმა კარიერაში სარეკორდო, 42 ქულა მოიხვეჭა, აქედან ზუსტად ნახევარი ბოლო, გადამწყვეტ მეოთხედში, რაზეც აივერსონმა და მისმა გუნდმა ბევრი ვერაფრით უპასუხეს.

„რევანში არაფერ შუაშია. უბრალოდ, ჩვენ წინ ვიხედებით და ვთვლით, რომ ეს იყო აღმოსავლეთის ორი საუკეთესო გუნდის შეხვედრა. არაა გამორიცხული, პლეი ოფშიც შევხვდეთ ერთმანეთს, ასე რომ, ეს გამარჯვება რწმენის გასაძლიერებლად გვჭირდებოდა. დღეს დავრწმუნდით, რომ „სიქსერზთან" ტოლ-სწორად თამაში შეგვიძლია" — ეს მატჩის საუკეთესო მოთამაშის, რეი ალენის სიტყვებია.

„რეიმ დღეს აშკარად მაჯობა და ამას არც ვუარყოფ — თქვა აივერსონმა — ვფიქრობ, დაცვაში ცუდად არ ვირჯებოდით, მაგრამ მისი გაუვნებლება ვერ შევძელით და ალბათ, ვერც სხვები შეძლებდნენ. მან რამდენიმე დიდებული ბურთი ჩააგდო, რამაც რწმენა გაულვივა და მერე ველარც გავაჩერეთ. ვიცი, რასაც გრძნობდა, როცა ბურთს ბურთზე აგდებდა. ეს ჩემთვის ნაცნობი სიამოვნებაა, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ვერ განვიცადე".

„მილუოკიმ" ზედიზედ მეხუთედ მოიგო და კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა ცენტრალურ დივიზიონში.

„მილუოკის" არც მდევარი „შარლოტ ჰორნეტსი" ჩამორჩა, რომელმაც შინ საკმაოდ ღვარა ოფლი „ინდიანას" დასამარცხებლად. „ინდიანა" წინა სეზონის ლანდად ქცეულა და ვინძლო პლეი ოფშიც ვერ მოხვდეს. ამ არასახარბიელო პერსპექტივით დამფრთხალმა ვიცე-ჩემპიონებმა ძალა მოიკრიბეს და ზედიზედ ოთხი მეტოქე გაამწარეს, „შარლოტთან" კი ვერას გახდნენ, თუმც თავი არ დაუზოგავთ. ბოლო მეოთხედის დასაწყისში სტუმარმა ჯალენ როუზმა ზედიზედ ათი ქულა მიითვალა და თორმეტწუთეულის შუაწელში თავისი გუნდი ოთხი ქულით (59:63) დააახლოვა მეტოქესთან, მაგრამ მას არც შარლოტელმა ჯამალ მაშბურნმა დაუდო ტოლი, ორი დროული სამქულიანითა და ერთი ორიანით საფინალო სირენამდე ოთხნახევარი წუთით ადრე თავისიანები 71:59 დააწინაურა. სულ მან ბოლო მეოთხედში 14 ქულა მოინაგრა. სტუმრებმა, რომლებმაც წინა შეხვედრაში 14 სამქულიანი ჩააგდეს და კლუბის რეკორდიც დაამყარეს, ახლაც შორეული სროლებით სცადეს წახდენილი საქმის გამოსწორება, მაგრამ ამაოდ. როუზს, რეჯი მილერსა და ტრევის ბესტს ოთხჯერ მოეცარათ ხელი და ფარ-ხმალიც დაყარეს.

აღმოსავლეთ კონფერენციის მერვე ადგილისთვის და შესაბამისად, პლეი ოფის საგზურისთვის „ინდიანას" მოცილე „ბოსტონმა" კი კონკურენტზე უკეთ გაართვა თავი საქმეს. მან შინ მძიმე ბრძოლაში „სიეტლ სუპერსონიქსი" დაამარცხა, რომელსაც ასევე სათუოდ გახდომია პლეი ოფში მოხვედრა და ყოველი გამარჯვება ძვირად უღირს. „ბოსტონმა" პირველი ნახევარი რვა ქულით მოიგო და ისე ჩანდა, იოლადაც იმარჯვებდა, რადგან მასპინძლებმა მეორე მეოთხედში თამაშის რიტმიდან ამოაგდეს „სიეტლის" ლიდერი გერი პეიტონი. თუმც სტუმრებს მშველელად სათადარიგო შემონდ ვილიამსი მოევლინა, რომელმაც საამმატჩო 21 ქულიდან ყველა მეორე ნახევარში მოინაგრა. მისი შეწევნით „სიეტლი" შეხვედრის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე 73:71 დაწინაურდა, თუმც დარჩენილი მონაკვეთი მთლიანად მასპინძელთა ლიდერების დუეტისა იყო. ამ ექვს წუთში „ბოსტონმა" 14 ქულა მოიპოვა, აქედან 12 პოლ პირსმა და ანტუან უოლკერმა თავიანთ ანგარიშზე ჩაიწერეს. ამპლუით თავდამსხმელმა უოლკერმა, რომელსაც უკანახაზელის ფუნქციის შეთავსებაც შეუძლია, დატანჯა გამოკვეთილი მეფარე, მეურვე ვინ ბეიკერი. იგი პერიმეტრზე ამოდიოდა, ბეიკერსაც აიძულებდა, ფარქვეშეთი დაეტოვებინა, რითაც პოლ პირსს სათარეშო სივრცე უთავისუფლდებოდა და ბურთს ბურთზე ყრიდა. შედეგად გამარჯვება „ბოსტონს" დარჩა, პირველად ბოლო ხუთ თამაშში.

ჩიკაგოში იქაური „ბულზი" „გოლდენ სტეიტ ვორიორზს" შეეჭიდა. „ხარებს" თავიდან გამარჯვების იმედი ჰქონდათ. მართალია, ასე უსუსურები არსებობის მანძილზე არ ყოფილან, მაგრამ არც მათი მეტოქე ატარებს კარგ სეზონს. „გოლდენ სტეიტს" აქამდე ზედიზედ რვა თამაში წაეგო. „ბულზმაც" სცადა, ეს სერია გაეგრძელებინა და მეტოქეს ლამის თავი შეაკლა. მასპინძლები პირველი ტაიმის შემდეგ 50:45 იგებდნენ, მაგრამ მესამე მეოთხედის ერთი მონაკვეთი 4:18 წააგეს და მოწინააღმდეგეს 11 ქულით ჩამორჩნენ. მათ ბოლოჯერაც გაიბრძოლეს, რაც მატჩის დამთავრებამდე 19 წამით ადრე მასპინძელი ბრენდის ორქულიანით აღნიშნა. ამ ბურთმა სხვაობა ოთხ ქულამდე, 78:82 დაიყვანა, ამის მეტი კი „ხარებმა" მეტოქეს ვერაფერი შესთავაზეს.

სერია დაასრულა „გოლდენ სტეიტის" მეზობელმა სატურნირო ცხრილში „ლოს ანჯელეს კლიპერსმაც", მხოლოდ არა წაგებების, არამედ მოგებების. „კლიპერსს", სანამ „დალასთან" წააგებდა, ზედიზედ ოთხჯერ მოეგო, რაც კლუბის საუკეთესო შედეგია ბოლო ოთხ წელიწადში.

დასავლეთ კონფერენციაში ბევრ მძლავრ გუნდს მოუყრია თავი და როგორც სეზონის დაწყებამდე წინასწარმეტყველებდნენ, „ჰიუსტონ როკეტსს" პლეი ოფში გასვლის თითქმის არანაირი შანსი არ ჰქონდა. თუმც „რაკეტები" პროგნოზებს ყურს არ უგდებენ, თამაშობენ, როგორც შეუძლიათ და კონფერენციაში მეცხრე ადგილზე იმყოფებიან, რაც დიდი მოულოდნელობაა. ტეხასელებმა ზედიზედ ოთხ მეტოქეს აჯამეს ალიყური და „პორტლენდსაც" მიაყოლებდნენ, მათ ლიდერებს, ფრენსისსა და მობლის ოდნავ უკეთ რომ ეთამაშათ. „ჰიუსტონი" 38 წლის ჰაკიმ ოლაჯუონის ამარა ემბებოდა დასავლეთის საუკეთესო გუნდს და ბოლო მეოთხედის დასაწყისში რვა ქულითაც უგებდა. „პორტლენდი" შერცხვენისგან რაშიდ ვოლესმა იხსნა, რომელმაც ბოლო რვა წუთში 10 ქულა გააზერხა და რაც ჩააგდო, ყველა მნიშვნელოვანი.

**ირაკლი ფირაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩები

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 001 | მაინცი-დუისბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 002 | ალემანია-კიკერსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 22.00 | 003 | ზანქტ პაული-როიტლინგენი | 1,65 | 3,1 | 5,3 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 011 | ზვოლე-კამბური | 1,55 | 3,2 | 5,0 |

### ლიბერტადორესის თასი

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 504 | კობრელოა (ჩილე)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 04.10 | 505 | ელ ნასიონალი (ეკვადორი)-რივერ პლეიტი (არგენტ.) | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 05.00 | 506 | ორიენტე (ბოლივია)-დეპორტივო (კოლუმბია) | 1,8 | 3,0 | 4,2 |

1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 507 | სპორტინგ კრისტალი (პერუ)-ემელეკი (ეკვადორი) | 1,55 | 3,4 | |
| 5,6 | | | | | |
| 05.00 | 508 | სტრონგესტი (ბოლივია)-გუარანი (პარაგვაი) | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 06.00 | 509 | სან ლორენსო (არგენტინა)-კონსეპსიონი (ჩილე) | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 510 | იამაიკა-ტრინიდადი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.15 | 511 | ბელგია-სან მარინო | 1,02 | 10,0 | 20,0 |
| | 512 | ბელგია-სან მარინო 0:3 | 1,7 | 4,4 | 2,3 |
| 01.00 | 513 | პორტუგალია-ანდორა | 1,02 | 10,0 | 20,0 |
| | 514 | პორტუგალია-ანდორა 0:3 | 1,7 | 4,4 | 2,3 |
| 04.30 | 515 | აშშ-მექსიკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 05.00 | 516 | კოსტა რიკა-ჰონდურასი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### ამხანაგური მატჩები

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 519 | სლოვენია-ურუგვაი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 520 | საბერძნეთი-რუსეთი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.30 | 521 | ბოსნია-უნგრეთი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 522 | ხორვატია-ავსტრია | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 21.00 | 523 | შვეიცარია-პოლონეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 524 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| 23.00 | 525 | ლუქსემბურგი-ფინეთი | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| 23.00 | 526 | მაკედონია-ჩეხეთი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 23.30 | 527 | ირლანდია-დანია | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.30 | 528 | მალტა-შვედეთი | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| 23.30 | 529 | ჰოლანდია-თურქეთი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 530 | იტალია-არგენტინა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 24.00 | 531 | ინგლისი-ესპანეთი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 24.00 | 532 | ჩრდილოეთ ირლანდია-ნორვეგია | 3,8 | 3,0 | 1,9 |

### კალათბურთი

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 807 | ინდიანა-მილუოკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 808 | ატლანტა-ტორონტო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 04.30 | 809 | შარლოტი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 810 | მინესოტა-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 811 | ფილადელფია-მაიამი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 812 | ჩიკაგო-ჰიუსტონი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 06.00 | 813 | იუტა-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 06.00 | 814 | ფინიქსი-ორლანდო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.30 | 815 | დენვერი-ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 07.30 | 816 | გოლდენ სტეიტი-საკრამენტო | 3,1 | 12,0 | 1,25 |

1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 817 | კლივლენდი-სიეტლი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 818 | ნიუ იორკი-ბოსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 819 | მილუოკი-ჰიუსტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 820 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 821 | პორტლენდი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

### კალათბურთი. სუპროლიგა

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 822 | ცსკა-რაანანა | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 21.00 | 823 | ირაკლისი-ბაიერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |

1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 824 | ულქერი-ცეპტერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 21.00 | 825 | ლიეტუვოს რიტასი-სიენა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 826 | სპლიტი-ვილერბანი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 23.30 | 827 | კრკა-პლანია | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 828 | სკავოლინი-ოსტენდე | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 829 | ალბა-პანათინაიკოსი | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 23.30 | 830 | პარტიზანი-ეფესი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 831 | პო ორტეზი-მაკაბი | 2,0 | 12,0 | 1,5 |

### კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 832 | ტაუ-ოლიმპიაკოსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 833 | რეალი-ფორტიტუდო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 834 | ოლიმპია-კინდერი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 835 | ბენეტონი-აეკ | 1,25 | 12,0 | 3,1 |

### ჰოკეი

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 908 | კოლუმბუსი-ფინიქსი | 2,8 | 4,0 | 1,65 |
| 04.30 | 909 | ტორონტო-სან ხოსე | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 910 | მონრეალი-პიტსბურგი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 911 | რეინჯერსი-ფლორიდა | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 06.00 | 912 | ედმონტონი-სენტ ლუისი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.00 | 913 | ვანკუვერი-დალასი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 07.30 | 914 | ანაჰაიმი-დეტროიტი | 2,7 | 4,0 | 1,7 |

29 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 915 | ბოსტონი-ტამპა ბეი | 1,4 | 4,0 | 4,4 |
| 04.00 | 916 | ოტავა-სან ხოსე | 1,85 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 917 | ვაშინგტონი-ტორონტო | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 04.30 | 918 | აილენდერსი-კაროლინა | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 04.30 | 919 | ფილადელფია-ბუფალო | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 05.00 | 920 | ნეშვილი-კოლუმბუსი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 05.30 | 921 | ჩიკაგო-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 922 | კალგარი-მინესოტა | 1,75 | 4,0 | 2,6 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

მსოფლიოს თასი

# გოეჩლი ყველგან მეორეა

**შაბათს** თოვლმა, კვირას კი ნისლმა სრულებით ჩაშალა მომავალი ზამთრის ოლიმპიადის სარბიელზე, სოლტ ლეიკ სიტიში დაგეგმილი ვაჟთა სწრაფდაშვების და სუპერგიგანტის სათასო ეტაპები. პირველის გამართვის ახალი თარიღი უკვე დადგინდა: კვირის ბოლოს ნორვეგიული კვიტფიელი თავის წილ სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტამდე სწრაფდაშვების გადადებულ ეტაპს უმასპინძლებს. სუპერგიგანტის შესახებ კი არაფერია ცნობილი.

ბუნება უხასიათოდ იყო შვეიცარულ ლენდერჰაიზეშიც, სადაც ვაჟკაცთა ანალოგიურ ღონისძიებებს მანდილოსნები გეგმავდნენ. ოთხშაბათს საწვრთნელი სრიალი მოესწრო, ხუთშაბათსა და პარასკევს ჩაიშალა, თუმცა შაბათს თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის (ფის) ავტორიტეტებმა ვითარება შეისწავლეს და დაასკვნეს, სრიალი უსაფრთხოაო. მეტიც: შუა შეჯიბრისას მზემ გამოიხედა.

საერთოდ, ბროლის გლობუსებისთვის ბრძოლამ კულმინაციას უწია. ბოლო ეტაპებზე იზოლდე კოსტნერს სწრაფდაშვების პატარა გლობუსის თავისად გაფორმება შეეძლო, რეჟინ კავანიუს იგივე პერსპექტივა სუპერგიგანტში ულიმოდა, მაგრამ ერთმაც და მეორემაც საფირმო სახეობებში უშნოდ ისრიალეს და პირიქით, კავანიუ სწრაფდაშვებაში მეორე იყო, ხოლო კოსტნერმა სუპერგიგანტი მოიგო. მოკლედ, უქმეები დიდად არეული გამოდგა.

სწრაფდაშვება ამერიკელმა კირსტენ კლარკმა მოიგო, მისი წარმატება იმ დიდი სამუშაოს ნაყოფია, რომელსაც ამერიკელები სამთო თხილამურობაში ატარებენ. უბრალო თხილამურობაში მათი კვალი ჯერაც უაღრესად მკრთალია, რისი საბუთიც ლაჰტის მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, ხოლო სამთოელები, პიკაბო სტრიტის გამარჯვებებიდან მოყოლებული, ოკეანისგამოღმელთა თვალში უკვე მომეტებული პატივით სარგებლობენ. შაბათს სწრაფდაშვების პირველ ათეულში კიდევ ორი იანკი მოხვდა: იგივე სტრიტი, ტრავმის მოშუშების შემდგომ ფორმაში ჩასადგომად რომ მუშაობს და ალიასკელი ინდიელი, მეგან გერეტი. „ბავშვებმა გამახარეს და მე მათით ვამაყობ, — თქვა სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში ამერიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯიმ ტრეისიმ — მაგრამ არაფერი გამკვირვებია, ჩვენ წარმატება მოვამზადეთ და მისი მოსვლა მხოლოდ დროის ამბავი იყო“. კლარკის გამარჯვებაში წილი მზემაც დაიდო, რადგან ტრასა ზუსტად ამერიკელის სრიალისას გააშუქა და მერე ისევ ღრუბლებში შეიმალა, ხოლო მზისა და ხილვადობის სამთოსათხილამურო მნიშვნელობა ამ საქმეში ჩახედულებს კარგად მოგეხსენებათ.

კვირას კოსტნერმა და რენატე გოეჩლმა სუპერგიგანტში დიდი მეტოქეობა გასწიეს, ხოლო დისციპლინის ლიდერი კავანიუ შუა დაშვებისას უხეშად შეცდა და 24-ე შედეგი უჩვენა. კოსტნერის დრო 1:36,61 გახლდათ, გოეჩლისა 1:36,69 და თუ იტალიელს სუპერგიგანტის 100 ქულას სწრაფდაშვებაში იმის ნახევარიც ბევრად ერჩია, ავსტრიელისთვის 80 პუნქტით მაღლა აწევა უაღრესად დროული და საჭირო ფაქტი იყო: ახლა გოეჩლი გვარიანად დაუახლოვდა კავანიუს სუპერგიგანტის ერთიან ცხრილში და, რაც მთავარია, საერთო ჩათვლაში ხელის გაწვდენა, ანუ 39 ქულა აშორებს სლალომის გენიოს იანიცა კოსტელიჩისგან. ყველა სიკეთესთან ერთად, გოეჩლი მეორეა სწრაფდაშვების ცხრილშიც, მას მხოლოდ კოსტნერი უსწრებს. საინტერესო სურათი იხატება: მსოფლიოს თასის მოქმედ პატრონს, რომელიც წლეულს მაინცდამაინც არ ბრწყინავდა, უეცრად დიდი და ორი პატარა ბროლის გლობუსის ერთად მოხვეჭის შანსები მიეცა, თუმცა გოეჩლი პატარა გლობუსების ამბავს სკეპტიკურად უყურებს. „ბედი ყოველთვის როდი გამიღიმებს — ამბობს იგი — რეჟინი (კავანიუ) და იზი (კოსტნერის მოფერებითი სახელია) ერთხელ ჩავარდნენ, მეორედაც იგივე თუ მოხდა, სასწაული იქნება. საერთო ჩათვლისა კი დიდად მეიმედება. მთლიანად მასზე უნდა ავეწყო“.

**დავით გულუა**


REUTERS

სუპერგიგანტის მომგები იზოლდე კოსტნერი სწრაფდაშვების ჩათვლის ლიდერად დარჩა

| ქალები. სწრაფდაშვება |
|---|
| 1. კირსტენ კლარკი (აშშ) 1:27,07; 2. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 1:27,41; 3. პეტრა ჰალტმაიერი (გერმანია) 1:27,71 |
| სუპერგიგანტი |
| 1. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 1:36,61; 2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 1:36,69; 3. კაროლ მონტიე (საფრანგეთი) 1:36,74 |
| სწრაფდაშვების ჩათვლა |
| 1. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 516 ქულა; 2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 455; 3. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 360 |
| სუპერგიგანტის ჩათვლა |
| 1. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 517 ქულა; 2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 434; 3. კაროლ მონტიე (საფრანგეთი) 355 |
| საერთო ჩათვლა |
| 1. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1196 ქულა; 2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 1157; 3. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 1027 |

# მოსახდენი მოხდა

## როი ჯონსი კვლავ უძლეველია

სხვა შედეგს არავინ ელოდა — „ტამპა აის პალასში“ როი ჯონსმა დერიკ ჰერმონი დაამარცხა. ჰერმონმა და მისმა რაზმმა მეათე რაუნდის შემდეგ კაპიტულაცია გამოაცხადეს. ჯონსი სწრაფად ჩხუბობდა, მუშტებს ძლიერად იქნევდა და გააზრებულ კომბინაციებს ატარებდა.

ბრძოლა რომ დამთავრდა, გამარჯვებულმა, სახელდახელოდ მიცემულ სავალდებულო ტელეინტერვიუში („ტამპა აის პალასიდან“ რეპორტაჟი HBO-მ მოაწყო) მომავალში საჩხუბრად დარიუშ მიხალჩევსკიც გამოიწვია და ფელიქს ტრინიდადიც. არადა, ორი დღით ადრე მხოლოდ მიხალჩევსკიზე ლაპარაკობდა, რადგან ტრინიდადს ჯერ საშუალო წონის ტურნირები ელის და მის ქვემძიმეში ამოსვლას ვერ დაველოდებიო.

საბოლოოდ ასეა: როი ჯონსი მსოფლიო სპორტის ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად ითვლება და მაყურებელი მისგან მხოლოდ სერიოზულ ბრძოლას ელის.

პირველ რაუნდში ჯონსმა მშვიდად იკრივა, ისევე როგორც ერიკ ჰარდინგთან წინა ბრძოლის დროს, ხოლო ჰერმონი აგრესიული ჩანდა. მოგვიანებით, ჯონსმა მუშტები გაააქტიურა და მართალია მოქნეულთაგან ბევრი ააცილა, რაუნდი მაინც 10:9 მოიგო. ასეთივე ანგარიში განმეორდა მეორე და მესამე რაუნდებში, ხოლო მეოთხე რაუნდი ჰერმონისთვის გამოდგა საუკეთესო. ამ ჯერზე მან საქმიანად ამუშავა მარცხენა ხელი და ტანითაც კარგად მოქმედებდა. გაიმარჯვა კიდეც, 10:9.

მეხუთე რაუნდში ჯონსმა ყურადღება მოიკრიბა და ჩხუბი მიზანში გარტყმის ვარჯიშს დაამსგავსა. მართალია ჰერმონმა ორ ეპიზოდში იყოჩაღა, მაგრამ შედეგი ასეთი გამოდგა — 10:9 ჯონსის სასარგებლოდ.

ჯონსის უპირატესობა გადავიდა მეექვსე და მეშვიდე რაუნდებშიც, ხოლო მერვესა და მეცხრეში ბრძოლა შენელდა და რინგზე ერთადერთი მოკრივე გამოჩნდა — ცხადია, კვლავ ჯონსზე მოგახსენებთ.

მეათეში ჰერმონი აღარ არსებობდა. მართალია მისი საბოლოო განადგურებისთვის არც ჯონსს მოუკლავს მაინცდამაინც თავი, მაგრამ ერთმა მარცხენა ჰუკმა, რომელიც რაუნდის ბოლოს აგემა მოწინააღმდეგეს, დიდი როლი ითამაშა — ჰერმონი ტკივილისგან დაიმანჭა და ბოგირს მიენარცხა, თუმცა იხტიბარი არ გაიტეხა.

ამის შემდეგ კი, როგორც მოგახსენთ, ბრძოლა შეწყდა. კაცმა რომ თქვას, ჰერმონი სახეზე დიდად ნაცემი არ გახლდათ, მაგრამ კრივს აზრი აღარ ჰქონდა. მოგვიანებით დამარცხებულმა განაცხადა, რომ ამ დროისთვის მარჯვენა ყურში აღარაფერი ესმოდა.


როი ჯონსმა პროფესიულ კარიერაში 44-ე ბრძოლა მოიგო

ამრიგად, დღეს როი ჯონსის კარიერა რიცხვებით ასე გამოიხატება, 44-1 (36), რაც იმას ნიშნავს, რომ მან 44 ბრძოლა მოიგო, რომელთაგან 36 შემთხვევაში მოწინააღმდეგე დაანოკაუტა, ხოლო ერთხელ დამარცხდა. უფრო სწორად დისკვალიფიკაცია მისცეს. ჯონსთან დამარცხების შემდეგ დერიკ ჰერმონის შედეგი გახდა 20-2 (10)

წერილის ბოლოს კი ორიოდ სიტყვით ქვემძიმე წონის უპირობო (WBC-ს, WBA-ს, IBF-ისა და IBO-ს) ჩემპიონის), როი ჯონსის ზოგად თვისებებს შევეხოთ. ის 1969 წლის 16 იანვარს ფლორიდის შტატში, პენსაკოლაში დაიბადა. მისი თვისებებიდან სისხარტეს, გონივრულ თავდაცვას, უნიკალურ სტილსა და მარად უძლეველის იმიჯს გამოარჩევენ. ჯონსის სისუსტედ იმას თვლიან, რომ რაგინდ ბევრი ილაპარაკოს და მოინდომოს, არსით სუპერ-საშუალო წონოსანია და მძიმე ვერასდროს გახდება, ვერასდროს ფლობდა ერთი მოქნევით გამარჯვების ხელოვნებას და არაა გამორიცხული თავის ნიჭთაგან, ამა თუ იმ ბრძოლაში, ბევრი უბრალოდ ვერ გამოიყენოს.

**ტუტა სიხარულიძე**

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# პრონგერი ორი დღით გამოჩნდა და პლეი ოფამდე გაქრა

26 თებერვალი

**რეინჯერსი 2:3 ოტავა (1:0 0:1 1:2)**
1:0 მესიე 19 (10), 1:1 ჯ. იორკი 22 (6), 2:1 მ. იორკი 52 (13), 2:2 უაიტი 53 (1), 2:3 ალფრედსონი 57 (16)

**ნიუ ჯერსი 5:3 ფლორიდა (1:1 1:2 3:0)**
0:1 ბერი 4 (2), 1:1 ნემჩინოვი 9 (7), 1:2 პ. ბურე 21 (42), 2:2 ელიაში 22 (23), 2:3 პ. ბურე 29 (43), 3:3 ელიაში 52 (24), 4:3 მედენი 56 (19), 5:3 სტივენსი 60 (7)

**კალგარი 3:2 დალასი (1:0 1:0 1:2)**
1:0 ბურე 9 (21), 2:0 იგინლა 21 (24), 3:0 პეტროვიცკი 45 (1), 3:1 მოროუ 46 (16), 3:2 მოროუ 58 (17)

**მინესოტა 2:5 ვანკუვერი (1:2 1:2 0:1)**
0:1 ლაშანსი 4 (3), 0:2 დ. სედინი 5 (16), 1:2 ჰენდრიქსონი 11 (12), 2:2 პელერინი 22 (11), 2:3 ბერტუცი 26 (22), 2:4 ნესლუნდი 38 (36), 2:5 მორისონი 44 (14)

**სენტ ლუისი 7:2 სან ხოსე (1:0 3:1 3:1)**
1:0 რიზონერი 7 (2), 1:1 ჰარვი 21 (7), 2:1 ჰეხტი 21 (16), 3:1 ნაგი 31 (6), 4:1 ჰეხტი 39 (17), 4:2 კოროლიუკი 46 (8), 5:2 მაიერსი 48 (8), 6:2 რიზონერი 50 (1), 7:2 ხავანოვი 53 (7)

გასული კვირის უქმეები უხვი, შთამბეჭდავი მოვლენებით იყო აღსანიშნავი. მარტო ის რად ღირს, რომ სამ სახელოვან მცველს, რომლებიც სხვადასხვა დროს „ნორის ტროფს“ ფლობდნენ, ამ უქმეებზე ერთგვარი დებიუტი ჰქონდა. ეს განსაკუთრებით ერთ მათგანზე ითქმის — აწ უკვე კოლორადოელ ბლეიკს ჩინებულად გამოუვიდა ახალ გუნდში ჩატარებული თავისი პირველი ორი მატჩი. ბლეიკი დენვერელთა ორივე მოგებულ შეხვედრაში მთავარი ფიგურა იყო. მინესოტასთან მან შედეგიანი პასით გახსნა პირადი ანგარიში, ხოლო ატლანტასთან გოლი და პასი მიითვალა.

დანარჩენ ორზე სიტყვა „დებიუტი“ პირობითად ითქმის. მძიმე ტრავმისა და 44 მატჩის გამოტოვების შემდეგ დეტროიტს კრის ჩელიოსი დაუბრუნდა. ჰოკეისთან ასე ხანგრძლივად განშორება მას სულაც არ ეტყობოდა: ჩვეულად საიმედოდ თამაშობდა.

შაბათს სენტ ლუისს შეემატა ისეთი მოთამაშე, რომელიც გუნდში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. ალბათ მიხვდით, რომ საუბარია კრის პრონგერზე. წინა სეზონის MVP-მ 15 თამაშის გამოტოვების შემდეგაც კი ყველას თვალნათლივ აჩვენა, რას ნიშნავს მისი გუნდში ყოფნა. ბოსტონთან თამაშში სენტლუისელებმა მისი ძალისხმევით არა მარტო ორი გოლი გაქვითეს, არამედ ოვერტაიმში კრისის მიერ წამოწყებული იერიშის შემდეგ მეტოქეს მოგება გამოგლიჯეს ხელიდან. „ბლუზმენთა“ ქომაგების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ორშაბათს სან ხოსესთან თამაშში პრონგერმა კიდევ უფრო მძიმე ტრავმა მიიღო. მატჩის მე-10 წუთზე მას შაიბა მოხვდა ხელზე და... როგორც გაირკვა, უკეთეს შემთხვევაში იგი მხოლოდ პლეი ოფისთვის დაბრუნდება.

ერთბაშად ხუთი ტრავმირებული ფორვარდიდან ერთ-ერთის, ალექსანდრ მოგილნის დაბრუნება საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ნიუ ჯერსის მკვეთრად გაეუმჯობესებინა შედეგიანობა. თავად მოგილნიმ ვერ გაიტანა, მაგრამ ორჯერ პარტნიორებს დაეხმარა, ფლორიდას კი ვერც მისი ლიდერის, პაველ ბურეს მონაგარმა ორმა გოლმა (10 გოლი ბოლო 5 მატჩში) უშველა.

სამაგიეროდ, მისი ძმის, ვალერის შაიბამ კალგარის დალასთან მოგებას ჩაუყარა საფუძველი. აღსანიშნავია, რომ კალგარი, რომელიც ალბათ პლეი ოფში ვერ მოხვდება, თავდადებით ებრძვის სატურნირო ცხრილში მასზე მაღლა მდგომ გუნდებს (იგივე დალასთან აგერ უკვე მე-7 თამაშია, არ დამარცხებულა), მაგრამ აუტსაიდერებთან ერთობ ფლანგავს ქულებს.

ეს უქმეები სხვა მოვლენებითაც იყო აღსანიშნავი. ზურგის ქრონიკულმა ტკივილმაც ვერ შეუშალა ხელი მარიო ლემიეს მორიგ დღესასწაულს — აილენდერსთან შეხვედრაში გაკეთებული ორი პასიდან პირველი მის კარიერაში მე-900 აღმოჩნდა, მეორემ კი ყველა დროის ასისტენტთა სიაში მე-13 ადგილზე მყოფ ლეგენდარულ ბრაიან ტროტიეს გაატოლა.

ფინიქსელი ჯერემი რენიკი ნჰლ-ის ისტორიაში მესამე აშშ-ში დაბადებული ჰოკეისტი გახდა, ვინც 400-გოლიანი ნიშნული გადალახა. მანამდე ეს მხოლოდ ჯო მულენმა (502) და პეტ ლაფონტენმა (468) მოახერხეს. რენიკმა ეს იუბილე ბუფალოსთან საუცხოო თამაშით გაალამაზა და კარიერაში მე-9 ჰეთ თრიკს პასიც დაამატა.

**სამველ ლარიბიანი**

## კვირის მოთამაშე

### პეტერ ფორსბერგი (კოლორადო)



**კოლორადოელმა** პეტერ ფორსბერგმა გასულ კვირაში შესანიშნავად ითამაშა — ორი ოთხქულიანი (2 გოლი, 2 პასი) თამაშის შემდეგ მინესოტასთან გოლი და 2 პასიც მიითვალა და ატლანტასთანაც თანაგუნდელ ჯო საკიკს შეუწყო ხელი. შედეგად შვიდს 4 თამაშში 12 (5 გოლი, 7 პასი) ქულა დაუგროვდა და მეორე ათეულიდან ბომბარდირთა საუკეთესო ხუთეულში აღმოჩნდა. არადა, სეზონის პირველ ნახევარში პეტერს არც ისე კარგად მისდიოდა თამაში და ზოგიერთი კრიზისზეც კი ალაპარაკდა. ფორსბერგმა ყველას დაუმტკიცა, რომ წელიწადში 10 მილიონ დოლარამდე გასამრჯელოს ტყუილად არ უხდიან და უაღრესად დიდი ოსტატებით აღსავსე კოლორადოში ერთ-ერთ უმთავრეს ვარსკვლავად რჩება.

**საუკეთესო ექვსეული.** 19-25 თებერვალი

ტომი სალო (ედმონტონი 3), ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი, 3) — რობ ბლეიკი (კოლორადო, 4); ჯო საკიკი (კოლორადო, 5) — პეტერ ფორსბერგი (კოლორადო, 2) — ალექსეი კოვალიოვი (პიტსბურგი, 3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შედეგები

## ტრამპლინიდან ხტომა

მსოფლიოს ჩემპიონატი
ლაჰტი (ფინეთი)

K-90 (პირადი): 1. ადამ მალიში (პოლონეთი) 246,0 ქულა; 2. მარტინ შმიტი (გერმანია) 233,0; 3. მარტინ ჰოლვარტი (ავსტრია) 223,0

K-90 (გუნდური): 1. ავსტრია (ანდრეას გოლდბერგერი, ვოლფგანგ ლოიტცლი, მარტინ ჰოლვარტი, შტეფან ჰორნახერი) 953,5 ქულა; 2. ფინეთი (მატი ჰაუტამაეკი, რისტო იუსილაინენი, ვილე კანტეე, იანე აჰონენი) 951,1; 3. გერმანია (სვენ ჰანავალდი, მიხაელ ურმანი, ალექსანდერ ჰერი, მარტინ შმიტი) 911,5

K-116 (გუნდური): 1. გერმანია (სვენ ჰანავალდი, მიხაელ ურმანი, ალექსანდერ ჰერი, მარტინ შმიტი) 939,8; 2. ფინეთი (რისტო იუსილაინენი, იანი სოინინენი, ვილე კანტეე, იანე აჰონენი) 900,2; 3. ავსტრია (ანდრეას გოლდბერგერი, ვოლფგანგ ლოიტცლი, მარტინ ჰოლვარტი, შტეფან ჰორნგახერი) 880,2

## სათხილამურო ორჭიდი

მსოფლიოს ჩემპიონატი
ლაჰტი (ფინეთი)

ტრამპლინიდან ხტომა და 7,5 კმ. სპრინტი: 1. მარკო ბააკე (გერმანია); 2. სამპა ლაიუნენი (ფინეთი); 3. რონი აკერმანი (გერმანია)

## ციგაობა

მსოფლიოს ჩემპიონატი
კალგარი (კანადა)

### ვაჟები

ერთეულები: 1. არმინ ზოგელერი (იტალია) 1:30,139; 2. გეორგ ჰაკლი (გერმანია) 1:30,485; 3. მარკუს პროკი (ავსტრია) 1:30,766

წყვილები: 1. ანდრე ფლორშუტცი და ტორსტენ ვუსტლიხი (გერმანია) 1:28,628; 2. შტეფან შკელი და შტეფან ვიოლერი (გერმანია) 1:28,689; 3. მარკუს შიგლი და ტობიას შიგლი (ავსტრია) 1:28,896

### ქალები

ერთეულები: 1. სილკე ოტო (გერმანია) 1:29,393; 2. სილკე კრაუზჰაარი (გერმანია) 1:29,681; 3. ბარბარა ნიდერნჰუბერი (გერმანია) 1:29,861

## მძლეოსნობა

გენტის (ბელგია)
დარბაზის პირველობა

### ვაჟები

400 მ: 1. ჯეიმი ბოლჩი (დიდი ბრიტანეთი) 46,74; 2. რამონ კლეი (აშშ) 47,11; 3. ირჟი მუჟიკი (ჩეხეთი) 47,54

800 მ: 1. ჟოაო პირესი (პორტუგალია) 1:47,97; 2. ემანუელ კემბოი (კენია) 1:48,44; 3. პასკალ ოვორი (უგანდა) 1:48,90

60 მ: 1. ტიმ მონტგომერი (აშშ) 6,53; 2. დეჯი ალიუ (ნიგერია) 6,54; 3. გრეგ სედლერი (აშშ) 6,55

60 მ. თარჯრბენი: 1. შონ ბოუნსი (სამხრეთ აფრიკა) 7,52; 2. რობერტ კრონბერგი (შვედეთი) 7,62; 3. სტანისლავას ოლიარი (ლატვია) 7,62

200 მ: 1. პატრიკ ვან ბალკომი (ჰოლანდია) 20,85; 2. ენტონი ფერო (ბელგია) 21,09; 3. კრისტოფ შევალი (საფრანგეთი) 21,50

1000 მ: 1. ნოა ნგენი (კენია) 2:17,26; 2. მეჰდი ბაალა (საფრანგეთი) 2:17,36; 3. რუი სილვა (პორტუგალია) 2:17,36

3000 მ: 1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 8:09,89; 2. პოლ ბიტოკი (კენია) 8:20,55; 3. საიდ ბერიუი (მაროკო) 8:21,16

ჭოკით ხტომა: 1. რადიონ გატაულინი (რუსეთი) 5,70; 2. რომენ მესნილი (საფრანგეთი) 5,60; 3. ადამ პტაჩეკი (ჩეხეთი) 5,60

სიგრძეზე ხტომა: 1. გრეგორ ჩანკარი (სლოვენია) 7,94; 2. ალექსეი ლუკაშევიჩი (უკრაინა) 7,87; 3. ბოგდან ტაურუსი (რუმინეთი) 7,72

### ქალები

800 მ: 1. შტეფი გრაფი (ავსტრია) 1:58,82; 2. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1:58,85; 3. ჰელენა ფუხსოვა (ჩეხეთი) 1:59,89

60 მ: 1. პეტია პენდარევა (ბულგარეთი) 7,12; 2. მერსი ნკუ (ნიგერია) 7,17; 3. სუსანთიკა ჯაიასინგჰი (შრი ლანკა) 7,20

60 მ. თარჯრბენი: 1. ანიანეტ კირკლენდი (აშშ) 7,94; 2. ლასენა გოლდინგი (იამაიკა) 8,00; 3. სვეტლანა ლაუხოვა (რუსეთი) 8,07

სიმაღლეზე ხტომა: 1. ვენელინა ვენევა (ბულგარეთი) 1,95; 2. მონიკა იაგარდინესკუ (რუმინეთი) 1,92; 3. ოლგა კალიტურინა (რუსეთი) 1,92

ლიევენის (საფრანგეთი)
დარბაზის პირველობა

### ვაჟები

60 მ: 1. დეჯი ალიუ (ნიგერია) 6,55; 2. გრეგ სედლერი (აშშ) 6,56; 3. კობი მილერი (აშშ) 6,59

60 მ. თარჯრბენი: 1. ენტონი დისი (აშშ) 7,52; 2. შონ ბოუნსი (სამხრეთ აფრიკა) 7,54; 3. სტანისლავას ოლიარი (ლატვია) 7,58

2000 მ: 1. ნოა ნგენი (კენია) 4:56,40; 2. ჯონ მეიოკი (დიდი ბრიტანეთი) 4:57,09; 3. იუსეფ ბაბა (მაროკო) 4:58,93

200 მ: 1. კრისტიან მალკოლმი (დიდი ბრიტანეთი) 20,56; 2. კობი მილერი (აშშ) 20,55; 3. ალინ კონდონი (დიდი ბრიტანეთი) 20,72

### ქალები

60 მ: 1. მერსი ნკუ (ნიგერია) 7,11; 2. პეტია პენდარევა (ბულგარეთი) 7,15; 3. მარინა კისლოვა (რუსეთი) 7,19

60 მ. თარჯრბენი: 1. მიშელ ფრიმენი (იამაიკა) 7,83; 2. გლორი ალოზიე (ნიგერია) 7,84; 3. ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი) 7,94

1500 მ: 1. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 4:03,42; 2. ნატალია გორელოვა (რუსეთი) 4:03,51; 3. კარლა საკრამენტო (პორტუგალია) 4:04,11

800 მ: 1. შტეფი გრაფი (ავსტრია) 1:57,53; 2. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1:58,02; 3. ჰელენა ფუხსოვა (ჩეხეთი) 1:58,37

სიმაღლეზე ხტომა: 1. მონიკა იაგარ-დინესკუ (რუმინეთი) 1,97; 2. ინგა ბაბაკოვა (უკრაინა) 1,94; 3. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) 1,94

ჭოკით ხტომა: 1. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 4,48; 2. ანჟელა ბალახონოვა (უკრაინა) 4,43; 3. პავლა ჰამაჩკოვა (ჩეხეთი) 4,43

## ძიუდო

მიუნხენის (გერმანია) გრან-პრი

### ვაჟები

60 კგ: 1. სედრიკ ტაიმანსი (ბელგია); 2. ოსკარ პენიასი (ესპანეთი); 3. ბუ კიუნგ იუნგი (კორეა) და იასინ დუმა (საფრანგეთი)

66 კგ: 1. კიმ ჰიუნგ იუ (კორეა); 2. მიჩიჰირო ომიგავა (იაპონია); 3. ანდრეას მიტერფელნერი (ავსტრია) და იორდანის არენსიბია (კუბა)

73 კგ: 1. ანატოლი ლარიუკოვი (ბელარუსი); 2. ჩოი იუნგ სინი (კორეა); 3. ექტორ ლომბარტი (კუბა) და კუნ სლეექსი (ბელგია)

81 კგ: 1. ფარხოდ ტურაევი (უზბეკეთი); 2. ლაშა ფიფია (რუსეთი); 3. გაბრიელ არტიაგა (კუბა) და მასაჰიკო ტომოუჩი (იაპონია)

90 კგ: 1. იოსვან დესპაინი (კუბა); 2. იუტა იაზაკი (იაპონია); 3. ტიერი მასტენბრუკი (ჰოლანდია) და ვალენტინ გრეკოვი (უკრაინა)

100 კგ: 1. მიხაელ იურაკი (გერმანია); 2. იური სტიოპკინი (რუსეთი); 3. პატრიკ ნებუტი (გერმანია) და რადუ ივანე (რუმინეთი)

მძიმე წონა: 1. ტამერლან ტმენოვი (რუსეთი); 2. ფრანკ მიოლერი (გერმანია); 3. იანუშ ვოინაროვიჩი (პოლონეთი) და დენის ვან დერ გეესტი (ჰოლანდია)

### ქალები

48 კგ: 1. ალინა დუმიტრუ (რუმინეთი); 2. ან სიმონსი (ბელგია); 3. ვანესა არენასი (ესპანეთი) და რი კიონგ ოკი (ჩრდილოეთ კორეა)

52 კგ: 1. ინგე კლემენტი (ბელგია); 2. აიკო სატო (იაპონია); 3. იოანა დინია (რუმინეთი) და სალიმა სუაკრი (ალჟირი)

57 კგ: 1. კიე სუნ ჰუი (ჩრდილოეთ კორეა); 2. იურისლეიდის ლუპეტი (კუბა); 3. ჩინზია კავაძუტი (იტალია) და მარისაბელ ლომბა (ბელგია)

63 კგ: 1. ილენია სკაპინი (იტალია); 2. სარა ალვარესი (ესპანეთი); 3. აიუმი ტანიმოტო (იაპონია) და ლი ბოკ ჰე (კორეა)

70 კგ: 1. ულა ვერბრუკი (ბელგია); 2. ანეტ ბიომი (გერმანია); 3. სესილია ბლანკო (ესპანეთი) და რეგლა სულუეტა (კუბა)

78 კგ: 1. სანდრა ბორდერიე (საფრანგეთი); 2. ლუჩია მორიკო (იტალია); 3. მირანდა ვან დენ ბრუკი (ჰოლანდია) და ლი სო იეონი (კორეა)

მძიმე წონა: 1. კატრინ ბაინროტი (გერმანია); 2. სიმონ კალენდერი (დიდი ბრიტანეთი); 3. თეა დონღუზაშვილი (რუსეთი) და ივის დუენიასი (კუბა)

ფეხბურთი



ბაჩო კომახიძის ფოტო

**ახლახან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა და არჩევნები გაიმართა, სადაც პრეზიდენტად ლევან ახვლედიანი აირჩიეს. ქართულ ფეხბურთს სპორტის სხვა სახეობებზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ უჭირს. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ ჩვენებურებს სანაკრებო დონეზე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არასოდეს უთამაშიათ. ეს იმ დროს, როცა ფეხბურთი მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება, აღარაფერს ვამბობთ პლაჟის ფეხბურთზე, რომელიც ოლიმპიადების პროგრამაში შეიტანეს. ამიტომ, დაგვეთანხმებით, ახალ პრეზიდენტთან საუბარი საჭირო და დროული იყო.**

# ლევან ახვლედიანი: მინუსით ვიწყებთ

— ქართული ფეხბურთის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა საქმის არათუ ნულიდან, მინუსებიდან დაწყება გვიწევს. 1995 წელს ჩვენი იუნიორები ხორვატიაში ევროპის პირველობაზე ვერ წავიდნენ და ჯარიმა დაგვეკისრა. ამ თანხას ყოველ წელს პროცენტები ემატებოდა და მართალია, ახლა ვალის ნაწილი ჩამოგვაწერეს, მაგრამ რამდენიმე ათასი დოლარი კიდევ დარჩა. შემდეგ, ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, არ არსებობს, ფედერაციის ბალანსზე ფეხბურთის დარბაზიც არ არის. მსოფლიოსა (ფივბ) და ევროპის (სევ) ფეხბურთის ფედერაციის წევრები ვართ, მაგრამ მათ რეიტინგებში ჩვენი ნაკრები არ ჩანს, რაც ბუნებრივია, აქამდე ერთი ოფიციალური შეხვედრაც კი არ გაგვიმართავს. მოკლედ, სამუშაო უამრავია. ვალებს და ნაკრების შექმნას პირველ რიგში უნდა მივხედოთ.

**— ვისი იმედი გაქვთ, ფინანსებს როგორ მოიზიდავთ?**

— ალბათ სპონსორები გამოჩნდებიან...

**— ფიქრობთ, რომ ისინი ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადებას მოისურვებენ?**

— დიახ. ფეხბურთი მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული და კომერციულად მომგებიანი სპორტია. მე თურქეთის შესახებ მაქვს მონაცემები და იმათ მოგაწვდით: ოთხი წლის წინ იქ ფეხბურთში 13 მილიონი დოლარის ინვესტიციები იდო და ცენტრალური ტელეარხები წელიწადში 2 თამაშს უჩვენებენ, წლეულს ეს რიცხვი შესაბამისად 100 მილიონი და 150 თამაში გახდა. 21-დან 45 ათასამდე გაიზარდა მოთამაშეთა რაოდენობა და რამდენადაც დაუჯერებელი უნდა იყოს, თურქეთში ფეხბურთმა პოპულარობით კალათბურთს გაუსწრო. იგი ახლა მეორე სახეობაა ფეხბურთის შემდეგ. ევროპაში რეგულარულად ჩემპიონთა ლიგა ტარდება, რომელსაც ცნობილი ფირმა „კინდერი" სპონსორობს. პლაჟის ფეხბურთის ბუმია და ასე შემდეგ. ანუ, სპონსორებმა იციან, რომ ფეხბურთში ჩადებული ფული მათ დიდი მოგებით დაუბრუნდებათ.

**— ბიუჯეტიდან თუ გერგებათ რამე?**

— იმედი მაქვს. მე ვიცი სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის, ირაკლი მეძმარიაშვილის პოზიცია, რომლის აზრითაც, თანხები სპორტის ყველა სახეობაზე უნდა განაწილდეს, რათა სახეობები სულ არ ჩაკვდეს. ჩვენც, ალბათ, ცოტას მაინც მივიღებთ.

**— ვალის გასტუმრება პირველი საქმეა, შემდეგ რას აპირებთ?**

— როგორც აღვნიშნე, უპირველეს მნიშვნელობას ნაკრების შექმნას ვანიჭებ. 2002 წელს ბრაზილიაში ქალთა და არგენტინაში ვაჟთა მსოფლიოს პირველობები ტარდება, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ უკვე დავაგვიანეთ: განაცხადი გასული წლის პირველ ივნისამდე უნდა ჩაგვებარებინა. შემდგომ ციკლში ნაკრები უკვე გამოვა. ლეგიონერები გვყავს, საფრანგეთში, მონაკოში თამაშობს ვიქტორია რავა, საფრანგეთშივეა მისი მეუღლე, ამირან ჯაოშვილი. გავიგეთ, თითქმის იქაური მოქალაქეობის მიღება უნდათ. თუ ასე მოხდა, მათ დავკარგავთ. არიან კიდევ რომან გავაშელი, ვახტანგ ჩიქოვანი, სულხან ახვლედიანი, ნინო მეტრეველი... აქაურებს დავამატებთ და ურიგო ნაკრებები არ გამოგვივა. ზაფხულში მათთვის სანკტ პეტერბურგში 18-დღიანი შეკრების მოწყობას ვაპირებთ. 2002 წელსვე ევროპის იუნიორთა პირველობა შედგება. იქ კი აუცილებლად გამოვალთ.

**— ნაკრების მწვრთნელები უკვე დანიშნეთ?**

— მარტის პირველ ნახევარში გაიმართება ფედერაციის აღმასკომის სხდომა, სადაც კანდიდატურებს განვიხილავთ და მისალებს დავამტკიცებთ კიდეც.

**— ახლა შინაურ ასპარეზობებზეც.**

— ავად თუ კარგად, საქართველოს ჩემპიონატი ყოველწლიურად იმართებოდა და ამისთვის მინდა, მადლობა ვუთხრა ფედერაციის ძველ ხელმძღვანელობას. ფეხბურთი პოპულარულია რამდენიმე რეგიონში. მაისში საქართველოს თასი გათამაშდება, ოქტომბერში კი ახალ ჩემპიონატს დავიწყებთ.

დიდ ყურადღებას დავუთმობთ ბავშვთა ფეხბურთს და აგრეთვე სტუდენტურს, რომელიც ჩვენში მუდამ მაღალი დონისა იყო. ჩავატარებთ სემინარებს მწვრთნელებისთვის და ვეცდებით, დასავლეთიდან საუკეთესო სპეციალისტები ჩამოვიყვანოთ. ადრე ძალიან ცნობილი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები გვყავდა, ახლა კი აღარ და ეს პრობლემაც მოსაგვარებელია.

მასმედიის ხელშეწყობის იმედი მაქვს. ვფიქრობ, პრესას და ტელევიზიას ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის დიდი საქმის გაკეთება შეუძლია.

**დავით გულუა**

ჭადრაკი

ლინარესის სუპერტურნირი

# მთქნარებების ქრონიკა

ლინარესის სუპერტურნირზე სამი ტურის შემდეგ, საბედნიეროდ, დასვენების დღე გამოერია და ერთმა კომენტატორმა ორგანიზატორებს გონივრულად ურჩია, მოჭადრაკეები კორიდაზე წაიყვანეთ, ეგებ სიცოცხლე დაეტყოთო. გაცოფებულნი არიან ჟურნალისტები, მაყურებლები და ესპანელი ლუის რენტერო, ტურინის თავიდათავი. წარმოგიდგენიათ, სათამაშოდ მიიწვიო კასპაროვი, კარპოვი, შიროვი, იუდით პოლგარი, ლეკო, გრიშჩუკი და მაყურებელს დარბაზში ეძინებოდეს! უკვე 9 პარტია გათამაშდა და ყველა ყაიმით დამთავრდა, ამიტომ იგივე კომენტატორი, რომელმაც კორიდის იდეა წამოაყენა, ავ პროგნოზს აკეთებს, ერთი ამგვარი ტურიც და მოჭადრაკეებს რომელიმე არომატული ხილით დაბომბავენო. განსაკუთრებით ახალგაზრდობის ინერტულობაა გასაკვირი. პეტერ ლეკოსა და ალექსანდრ გრიშჩუკის მესამე ტურის პარტია ყველაზე მოსაწყენი იყო. უნგრელი ისედაც პოზიციური სტილის მოთამაშეა, გრიშჩუკისგან გვიკვირს. დელიში, ფიდეს მსოფლიოს პირველობაზე 17 წლის რუსი ნახევარფინალში მეტად სასეირო თამაშით გაიდა და იქიდანაც აგდებდა შიროვს, სილამაზეს მეტისმეტად რომ არ გადაჰყოლოდა. ლინარესში გრიშჩუკი პრაგმატული ჩანს და ძლიერ არ გაემტყუნება: 17 წლის ყმაწვილი ამგვარ ტურნირზე ყაიმების მიღწევას ყველა წარმატებად ჩაუთვლის.

სხვებისგან მხოლოდ მანდილოსანი გამოირჩევა. იუდით პოლგარმა მეორე ტურში შავებით კასპაროვს გაუძლო, მესამეში კი თეთრებით მისცხო და მისცხო კარპოვის მყარად ნაშენ პოზიციას. ბუნდოვანი წიაღსვლების შემდეგ თეთრები ენდშპილში ზედმეტი პაიკით გადავიდნენ, მაგრამ მოგება აღარ შეეძლოთ. შიროვს კასპაროვთან თეთრი ფიგურები ჰყავდა, მაგრამ ვერ ივარგა. პირიქით, ექსჩემპიონმა შეუტია, შავი მეფე ერთგან შეამწყვდია და მერე რატომღაც გაუშვა. შედეგად — აქაც ყაიმი და წესისამებრ ბოლოში სატურნირო ვითარება უნდა აგვესახა, მაგრამ რა აზრი აქვს?



გარი კასპაროვს ლინარესში ხუთი მეტოქე ჰყავს

**დავით გულუა**




REUTERS სტამბოლიდან

# წილისყრა სტამბოლში

სტამბოლის ჯირაღანის სასახლეში ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის წილისყრა გაიმართა. 31 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე ანკარასა და ანტალიაში ევროპის თექვსმეტი უძლიერესი გუნდი შეეტაკება ერთმანეთს. რჩეული რვა კი საპლეიოფო ბრძოლას გააგრძელებს სტამბოლის ფინალისათვის. წილისყრამ ამ ღონისძიებისთვის ჩვეული ხმაურობით და აღმოსავლურ ფუფუნება-ლაღობით ჩაიარა. ევროპული კალათბურთის ელიტა კენჭისყრაში ხალისით ჩაბმული იყო. თურქული კალათბურთის ლეგენდამ, ულვაშა ეფე აიდანმა ბურთულა ამოიღო და თურქეთის ნაკრები ესპანელებთან, სლოვენებთან და ლატვიელებთან მოხვდა ჯგუფში. იტალიელეთა გუნდის უფროსი, განთქმული დინო მენეგინი არანაკლებ ბრძოლებს ელის თავისი გუნდისთვის — იტალიელები ჯგუფში არიან ბერძნებთან, რუსებთან და ბოსნიელებთან.

და მაინც, ჩემპიონატამდე ჯერ შორია და წილისყრასთან ერთად, ხუმრობაც ბევრი იყო. აი, როგორ მასხრობდნენ ფიბას ერთ-ერთი თავკაცი, ასევე ძველი ვარსკვლავი ლუბომირ კოტლება და ბერძნული საკალათბურთო სასწაულის ერთ-ერთი შემოქმედი, ან პოლიტიკოსი პანაიოტის ფასულასი.





REUTERS სტამბოლიდან

# მონტოია ელის

ქარტის რბოლებიდან ფორმულაში გადაბარგებული განთქმული კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია სიდნეიშია და იქაური ოპერის კიბეზე ჩამომჯდარი თავის სარბოლო ჩაფხუტს გვიჩვენებს. „უილიამსის“ გუნდის წევრი მონტოია ამ კვირის ბოლოს ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებაში ჩაერთვება. მელბურნის ტრასა სადებიუტო იქნება მონტოიასთვის ფორმულის რბოლებში.



REUTERS სიდნეიდან

# საუკეთესო ფოტო

ეს ფოტო გასული წლის შემოდგომაზე, ტუნისში გადაუღია ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ ფოტოგრაფს ბობ ვილინგემს. ახალგაზრდათა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩაჩხაკუნებული სურათი ძიუდოს წლის ფოტოდ ულიარებიათ ძიუდოსავე თავკაცებს. ჩვენთვის კი ის არის სასიხარულო, რომ ამ ფოტოს გმირი ქართველი მოჭიდავე ზურაბ ზვიადაური გახლავთ. მას გრძელი მოგვერდით წამოულია კანადელი კაჩური და საუკეთესო ფოტოც გაუმზადებია.






AP სენტ ლუისიდან

# ჩასრისა

**სენტ ლუისელ**

დალას დრეიკს ბორტის კუთხეში ჩაუსრესია სან ხოსელი ალექსანდრ კოროლიუკი და ამისთვის ორწუთიანი ჯარიმა მიუღია. ზოგჯერ კაცი იფიქრებს, რომ ჩრდილოამერიკულ ჰოკეის ლიგაში ლმობიერი კანონებია. „სენტ ლუისმა“ 7:2 მოიგო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge